


წიგნაკრები საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

17 მარტი 2023წ. №4 (4064) ბამოცემის 92-ე წელი ვაზი 2 ლარი



92-ე ოთახი

დღეს 17 მარტია, გალაკტიონის ხსენების დღე. 64 წელი მისი უკანასკნელი ფრენიდან.

„პოეტისათვის კარგი სიკვდილი უკანასკნელი კარგი ლექსია“ (გიორგი შატბერაშვილი).

ესეც, რა თქმა უნდა, პოეტური ხარკია, თორემ კარგი სიკვდილი ვინ თქვა.

იმ „უკანასკნელმა კარგმა ლექსმა“ სიცოცხლეს დასდო ფასი. თუ კიდევ შემორჩნენ ძველები ან ძველმოდურები, ავლენ მთანმინდაზე, ჭიქას წაუქცევენ უცვლელ კერპს.

ჩატარდება ერთი-ორი პათეტიკური საღამოც. თბილისელები სხვა თვალთვალს გახედავენ ვაკეში, ცათამბჯენი ტყუპის ძირში მდგარ როდენისტულ ძეგლს – ჯუნა მიქაბაძის მიერ შექმნილს.

არ მოგვწონდა ადგილი. ახლა ამაზე აღარ ვფიქრობთ. შევეგუეთ. შეგვეგუა.

ახლა მთელი ყურადღება აქეთ არის, ყოფილი ლექსომბინატის მხარეს, ისევე ვაკეში, უნივერსიტეტის მეორე კორპუსთან: ის საბედისწერო 92-ე ოთახი, უკანასკნელი ფრენის არეკნი, მესამე სართულზე. ხელუხლებლად, ოღონდ თანამედროვე ჩარჩოებში – გალაკტიონის მუდმივი მემორიალური ექსპოზიცია.

ესეც ძეგლია, ახალი თაობის გემოვნებით შექმნილი, თავისუფალი არქიტექტურით, მოდერნისტული სულისკვეთებით, სტერეომეტრიული ესთეტიკით.

აღვიგე ძეგლი, მზისა მსგავსება, დავიწყებით რომ არ იხავსება, საიმსოფლიო და სამსოფლო დაფასებისთვის, გმადლობ, სამშობლო!

(გალაკტიონი)

გაივლის დრო და ლექსომბინატის 92-ე ოთახიც, თავისი პაეროვანი ოვალით, რიგითი ძეგლი გახდება – ზოგისთვის მოსაწონი, ზოგისთვის დასაწუნი – მაგრამ მაინც რიგითი და, ამდენად, ბუნებრივი, რეალური, საჭირო.

მალხაზ ივანიძე

მოგავლის პისაღოვებთან

ეს ალბათ დროთა გადაკვეთაა. ლიტაივანი. „ლიტერატურული საქართველო“ ისტორიული შენობა, სადაც ჩვენი სამშობლოსათვის ძალზე მნიშვნელოვანი საკითხები წყდებოდა 1980-იანი წლების ბოლოსა და 90-იანების დასაწყისში; სადაც ოცი წლის განმავლობაში მუშაობდა ქართული სალიტერატურო პრესის ფლაგმანი.


ფოტოსურათი პარასკევს, 2023 წლის 3 მარტს არის გადაღებული, მაშინ, როდესაც ქვეყანა დედის დღეს აღნიშნავდა, გამოსული იყო „ლიტერატურული საქართველოსა“ და „ლიტერატურული გაზეთის“ ახალი ნომრები, რუსთაველის თეატრში მაყურებელი ტერენს მაკნელის „მარია კალას“ ელოდა, მარჯანიშვილში კი ტოლსტოის „კრეიცერის სონატას“. თბილისში წვიმადა გაბმულად, მონოტონურად. ოღონდ აღარ ციოდა.

პრემია „ლიტაივანის“ მიღებას ულოცავდნენ პირველ ლაურეატებს. იყო აღტაცება, მორიდება, უხერხულობა და იმედი, რომ მომავალში ყველაფერი უფრო კარგად იქნება.

ამ ისტორიულ ფოტოზეც მთავარი გმირი ლიტაივანია. დანარჩენი არიან ისინი, ვინც ამ ისტორიას ინახავენ და განაგრძობენ, – მარცხნიდან მარჯვნივ: უჩა შერაზადიშვილი, „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორის მოადგილე, გურანდა ბერია – გამარჯვებული პოეზიის ნომინაციაში, ოლანი ბინაძე – გამარჯვებული პროზის ნომინაციაში და პოეტი დათო მაღრაძე. მათ გვერდით უნდა ყოფილიყო ლაურეატი კრიტიკოსი გუგა მგელაძეც, მაგრამ ვერ მოახერხა ბათუმიდან ჩამოსვლა.

ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე წყნარი, მშვიდი, უხმაური დაჯილდოება, რაც ბოლო დროს გვინახავს.

ვაჟა ბათიალი



ოთარ ჭილაძე – 90

ოთარ ჭილაძის დრო

ის იყო თავისუფალი იმდენად, რამდენადაც სწამდა თავისუფლების აუცილებლობა. საყოველთაო კონტროლის ეპოქაში მან შექმნა თავისუფლების დრო. თავისი დრო.

ეს დრო 1933 წლის 20 მარტს სიღნაღში დაიწყო და, როგორც ჩანს, უსასრულოდ გაგრძელდება, თუ უსასრულოდ საქართველოს არსებობას მივიღებთ. მისმა შემოქმედებამ არათუ გაუძლია დროს, არამედ რაც დრო გადის, უფრო აქტუალური ხდება, მეტ ინტერესსა და საჭიროებას იძენს.

ის, როგორც ჭილაძეთა დიდი საგვარეულოს წარმომადგენელი, შეიძლება იმისთვისაც მოევიწყოს ქვეყანას, რომ აღედგინა დროთა კავშირი, გაეცოცხლებინა თავისუფლების იდეა, შეეკრიბა ეროვნული ენერჯია, რომელიც წინაპრებმა გააფლანგეს. „იცი, მამა, მე მინდოდა ერთხელ ქვეყნის დახსნა“ – ბონდო ჭილაძის ეს სიტყვები, დემნა შენგელაიას „სანავარდოში“, სხვა კონტექსტში თქმული, სიმბოლურად თანხედებოდა მის შემოქმედებით ხასიათს. დიას, ჰქონდა მისიად დასახული ქვეყნის დახსნა. სამშობლო, როგორც მამა, ამარაგებდა უწყვეტი ენერჯით იქამდე, სანამ თვითონ არ გახდა კულტურული ლიდერი, რომელსაც ვალიარებდით, ვუსმენდით, ვაფასებდით.

ოთარ ჭილაძემ მისიონერის საეტაპო ნაბიჯებით იარა დასაწყისიდან დასასრულამდე. მისი ყოველი ლექსი, პოემა, რომანი, პიესა ეროვნულ-საზოგადოებრივი აქტივობის იმპულსი და განხილვის საგანი ხდებოდა. ამოსტოლური უწყებასავით კითხულობდა საქართველო მის პოეტურ კრებულებს: „მატარებლები და მგზავრები“ (1959), „თიხის ფირფიტები“ (1963), „რკინის სანოლი“ (1965), „სინათლის წელიწადი“ (1967), „ბავშვი უკრავდა სტუმრების თხოვნით“ (1968), „ცხრა პოემა“ (1969), „გულის მეორე მხარე“ (1974), „გახსოვდეს სიცოცხლე“ (1984).

ოთარ ჭილაძის პირველი რომანი – „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ – იყო დასტური იმისა, რომ ქართული პროზა თანადროულ ევროპულ დონეებს უსწორებდა თვალს და, ამავე დროს, მიგვანიშნებდა სწორ დასავლურ ორიენტაციებს; „ყოველმან ჩემმან მოვინებო“ (1976) აღმოჩნდა ის საკულტო რომანი, რომელმაც დაგვანახა ქართული სულის ტრაგიკუ-

ლ დასასრული. 80-2 83.

დასასრული. 80-2 83.

დასასრული. 80-2 83.

დასასრული. 80-2 83.

დასასრული. 80-2 83.

დასასრული. 80-2 83.

დასასრული. 80-2 83.

დასასრული. 80-2 83.

დასასრული. 80-2 83.

დასასრული. 80-2 83.

დასასრული. 80-2 83.

დასასრული. 80-2 83.

დასასრული. 80-2 83.

დასასრული. 80-2 83.

დასასრული. 80-2 83.

დასასრული. 80-2 83.

დასასრული. 80-2 83.

**ზაურ ბოლქვაძის
ბასენაბა**

როინ მატრაველის ნაილი

83.2

ანკატა

მირანდა ტყეშელაშვილი

83.3

ინტარკიუ

მარინა თაქთუშანიკისთავ

83.4

**თამაზ ჭილაძის
პორტრეტი**

გურამ ხანაშვილისაგან

83.5

**ქართლის
სალამოები**


მანანა ჩიტიშვილის ლექსები

83.7

ლი კვეთებანი რუსეთთან შეერთების შემდეგ; „რკინის თეატრი“ (1981) – ორი ოჯახის საგა და ქართული ეროვნული ხასიათის მხატვრული ანალიზი; „მარტის მამალი“ (1987) – ერთი ამოსუნთქვით დაწერილი ეპოპეა ქართველი კაცის ეგზისტენციური კომპლექსები; „აველუმი“ (1995) – საბჭოთა იმპერიის დასასრული და ახალი ცხოვრების მძიმე, კრიზისული დასაწყისი; „გოდორი“ (2003) – როგორც მხილება იმ მორალურ-ზნეობრივი აბერაციებისა, რაც მოიტანა გასაბჭოების სულმა საქართველოში.

თითქმის თოთხმეტი წელი გავიდა, რაც ოთარ ჭილაძე აღარ არის ამქვეყნად, მაგრამ, ასე მგონია, მას არ დაუტოვებია აუცილებელი საჭიროების ველი. ის ისევ აქ არის, ანუ იქ, სადაც ყველაზე მეტად სჭირდება საქართველოს მისი პოეტური რიტმი, ეპიკური თანმიმდევრულობა და პატრიოტული ტემპერამენტი.

ივანე ამირხანაშვილი



„ოლე“ №1

გამოვიდა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლე“ 2023 წლის პირველი ნომერი.

ჟურნალი იხსნება **ზაალ ბოტკოველის** „ჩემი პატრიარქი“.

„მხატვრული ლიტერატურის“ რუბრიკით ქვეყნდება: **ლანა მანველის** რომანი „სად არის ბედნიერება“ (გაგრძელება); **ელგუჯა თავბერიძის**, **მარიამ ძამუკაშვილის**, **როლანდ გიორგაძის**, **მაია კაკაურიძის**, პროზაული ნაწარმოებები; **შავლეგო არაგველის**, **თინათინ თელაველის**, **ანა მანოშვილის**, **ვაჟა მიროტაძის**, **სალომე ზნარაშვილის**, **ნათია მჭედლოშვილის**, **ნათელა ქურციკიძის** ლექსები.

რუბრიკით „ბავშვებისათვის საკითხავი“ იბეჭდება **მარიამ ნიქაბაძის** ზღაპარი „კოკორა და პანკო“. „თარგმანების“ რუბრიკაში ნაკითხავთ **ჯაკომო ლუიარდის** მოთხრობას „ბუნებისა და სულის საუბარი“ თარგმნა **მაია ტურაბელიძემ** და **ანა ახმატოვას** ლექსს „ნაცრისფერთვალეა მეფე“ თარგმნა **მაია მიქაია**.

„ქრისტიანული რწმენის“ რუბრიკით გაეცნობით **მზია თვალაბეიშვილის** „ლოცვა – მამაო ჩვენი!“ აუცილებლად დაგაინტერესებთ **სოსო მეგუთნიშვილის** წერილი „წინაპართა ნაკვალევზე“.

რუბრიკაში „კულტურული ცხოვრების ქრონიკა“ ქვეყნდება „იუბილარი სამხატვრო სკოლა“, „წიგნის საჯაროდ კითხვის მოწოდება დღე“, ლიტერატურული კონკურსი „ჩვენი მოვედივართ“. მოამზადა **ნუნუ ძამუკაშვილმა**.

გარეკანის პირველ გვერდზე დაბეჭდილია **ელენე ახვლედიანის** პორტრეტი. მხატვარი **ვანო გოცირიძე**. ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თეავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი **ლევან ანდრიაშვილი**), თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი **თენგიზ მთვარელიშვილი**) მხარდაჭერით.



გასული საუკუნის მეორე ნახევარში, იქნებ უფრო სამოციან წლებში, ადამიანთა ცხოვრებაში თვალისმომჭრელი ბრწყინვალეობის შემოიჭრა ხელოვნების, კერძოდ, მწერლობის ახალი ტალღა. საოცარი, ნატიფი პოეზია, ფუძემდგარი რომანები და ნოველები, მუსიკალური შედეგები (მეტად საინტერესო შესრულებით), სახვითი ხელოვნების განუმეორებელი ნიმუშები, კინემატოგრაფი მსოფლიოში აღიარებული ფილმებით, წარმატებული თეატრალური ქმინებები...

უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ამ პერიოდში (ორმოცდაათიანი წლები) ლიტერატურული აღმანახის „პირველი სხივისა“ და უფროსად „ცისკრის“ გამოცემა.

ორმოცდაათიანის დასაწყისიდან კი, სხვათა შორის, მათი მასპინძელი ჯერ კიდევ ახალგაზრდა მურმან ლებანიძე, ანა კალანდაძე და მუხრან მაჭავარიანი იყვნენ. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ჟურნალი „ცისკარი“, სადაც საოცრად ნიჭიერი თაობა შეიკრიბა: ნოდარ დუმბაძე, თამაზ და ოთარ ჭილაძეები, ჯანსუღ ჩარკვიანი, გივი გეგეჭკორი, ტარიელ ჭანტურია, ოტია პაჭკორია, ეზარ კვიციანიშვილი, ლია სტურუა, რეზო ამაშუკელი და სხვ. სწორედ ამ თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლავთ შესანიშნავი პოეტი, ლირსული პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ზაურ ბოლქვაძე.

მე მქონდა პატივი, ყმანვილაკაცობიდან ახლო ურთიერთობა მქონოდა ამ საოცრად ნიჭიერ ადამიანთან. იგი ცხოვრებაში თავმდაბალი, სიკეთით სავსე პიროვნება იყო. ადრეულ პერიოდში მუშაობდა უნივერსიტეტის განხეთქის რედაქტორის მოადგილედ, შემდეგ რედაქტორად. ამიტომ იგი, ნებისთინ თუ უნებლიეთ, საუნივერსიტეტო ცხოვრების შუაგულში იყო. არ შემიძლია დავივიწყო ჩვენი ერთობლივი მეგობრების, შემდგომში დიდი შემოქმედის – მწერლის, სცენარისტის, რეჟისორის, მხატვრის რეზო გაბრიანიძისა და გამოჩენილი ქართველი მწერლის გურამ დოჩიაშვილის მადლიერება ზაურ ბოლქვაძისადმი. საინტერესოა, რომ რეზო გაბრიანიძე სტუდენტობის დროს მხატვრობით იყო გატაცებული, ქმნიდა ლინოგრაფიურებს, რომელსაც ბატონი ზაური თავის გაზეთში ბეჭდვდა. რაც შეეხება გურამ დოჩიაშვილს, იგი ისტორიის ფაკულტეტზე სწავლასთან ერთად, იყო უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრის წევრი, უკრავდა ვოლინოზე. ორივე სიყვარულით იგონებდა ზაურ ბოლქვაძის ამავს ზოგჯერ ნამოჭრილი მათი სტუდენტური პრობლემების გადაჭრამ.

ზაურ ბოლქვაძე მეტად საინტერესოდ შემოვიდა ქართულ პოეზიაში. გამოსცა წიგნი. მთავარი უნივერსიტეტის პოეზიის საღამოზე მისი, როგორც პოეტის წარდგენა იყო. ამგვარი, მეტად საინტერესო საღამოები უნივერსიტეტში 60-იან წლებში დროდადრო იმართებოდა. მას ბევრი ხალხი ესწრებოდა. უნდა ითქვას,

სიყვარულით სავსე შემოქმედი

რომ დამსწრე საზოგადოება (სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, სხვები) საკმაოდ კრიტიკულნი იყვნენ. ზაურ ბოლქვაძეს დიდი წარმატება ხვდა. მან შემართებით ნაიკითხა რამდენიმე ლექსი. გულწრფელად ვიტყვი, რომ მისი ნიჭიერება აშკარად გამოჩნდა. თუმცა კრიტიკის გარეშე ამ ღონისძიებას არ ჩაუვლია. მან ნაიკითხა ჩემი აზრი (ახლაც ასე ვფიქრობ) ბრწყინვალე ლექსი „ავტოპორტრეტი“, რომელშიც ასეთი სტრიქონებია:

ჩემგან შორსაა არდავინყება,
და უკვდავების მკრთალი ლანდები,
მე ამ პატარა ლექსში ვინყები
და ამ პატარა ლექსში ვთავადები.
მკაცრად შეხვდა ამ სტრიქონებს ერთ-ერთი
იმ დროისთვის ცნობილი, ავტორიტეტული კრიტიკოსი. მიიჩნია, რომ ახალგაზრდა კაცისთვის „არ დავინყებასა და უკვდავებაზე“ ლაპარაკი ნაადრევი იყო.

წინ მიდევს რამდენიმე წლის წინათ გამოცემული ზაურ ბოლქვაძის ლექსების კრებული. წიგნს ზაურ ბოლქვაძის მრავალთაგან ერთ-ერთი ბრწყინვალე სტრიქონი „მე სიყვარული ვიყავ უთქმელი“ ამშვენებს. მაღლობა კრებულის რედაქტორ-შემდგენელს ნანა დარჩია-ბოლქვაძეს თავსართის ასე გონიერულად, მიზანშეწონილად, ზუსტად შერჩევისათვის; საოცარი ადამიანური სინატიფითაა დაწნული:

მე სიყვარული ვიყავ უთქმელი
და ბავშვი — თვალბაუხელები...
სიმღერა ვიყავ, გულდამითუთქველი
და დარდი — ლექსში გაუმხელებელი.

ზაურ ბოლქვაძე მთელი არსებით პოეტი იყო, ქართველი პოეტი. მისი გულიდან სიყვარულით ამოზრდილი, „სისხლით დაწერილი“ სტრიქონები განსაკუთრებული სიფაქიზით, ამასთან, მძლავრად გადმოსცემენ სათქმელს. სათქმელი კი ბევრია. იგი ლირიკოსი პოეტი. ეტრფის სამშობლოს, ბუნების, ოჯახს, დიდი პატივით იგონებს წარსულს. სულისშემძვრელი სტრიქონები აქვს დედაზე, გამოჩენილად ეხება მეუღლეს — ნანა დარჩია-ბოლქვაძეს და სიყვარულით დაუოკებელია მისი საამაყო ქალიშვილის, ელისო ბოლქვაძის მიმართ დამოკიდებულება.

ზაურ ბოლქვაძის ლექსები სამშობლოზე, ქვეყნის წარსულზე ჭეშმარიტი ჭირისუფლის, განსაკუთრებული სიყვარული და მასზე ზრუნვის, მისთვის თავდადების რეალური წარმოსახვაა. რაოდენ გულწრფელია პოეტის სტრიქონები:

უსაქართველოდ ვერ ვიმღერებდი
მე — ალალ გულის დღესასწაული...
ზაურ ბოლქვაძე პოეზიის ჭეშმარიტი დიდოსტატია. ეს მაშინ უფრო გაცნობიერდა, რაც მისი რამდენადმე სრული პოეტური კრებული გამოჩნდა. მისი შემოქმედება განსაკუთრებულია. ყოველი მისი ლექსი სილაღესთან ერთად სიბრძნეს გადმოსცემს. ეს სიბრძნეც გამოჩნეული, ზაურ ბოლქვაძისეულია. მისი სასწაულებრივად დაკვირვებული თვალის ზოგიერთ მოვლენას სრულიად განსხვავებული თვალთა აღიქვამს. ნათლად რომ დავინახოთ, აი ზოგიერთი ამონარიდი:

მარადისობას მიანათეს ტატოს თვალბემა!..
მარადისობაც დაეწაფა მის თვალებს ხარბად!
ტატოს ფეხთაქვეშ დედამინა დატორტმანებდა —
კოჭლიც ამიტომ ეგონათ ალბათ!

კოჭლიც ამიტომ ეგონათ ალბათ!

ქართულ მწერლობაში, განსაკუთრებით პოეზიაში მშობლებსადმი კეთილად, სიყვარულით დამოკიდებულების თემა ორგანულია. ზაურ ბოლქვაძე გამოირჩევა დედისადმი განსაკუთრებულად აღმატებული სიყვარულის გამოხატვით.

იშვიათია პოეტი, რომელსაც შვილისადმი ამდენი ლექსი მიეძღვნას. ზაურ ბოლქვაძეს განსაკუთრებული სიყვარული აქვს ოჯახისა და განსაკუთრებით გაფიქრებული ჰყავს შვილი — დღესდღეობით საქართველოს საამაყო ხელოვანი ელისო ბოლქვაძე, მსოფლიოში სახელმწიფო ვარსკვლავი — ბიანსტი. პოეტის შემოქმედებაში ნათლად ჩანს, რომ ელისო ზაურ ბოლქვაძის ცხოვრების, მისი არსებობის მთავარი აზრი იყო.

შენი წუთისოფლის დღე
ნუ გქონდეს სადარდი,
მე თუ ადრე მოგიკვდე,
ჩემმა ლოცვამ გაგზარდოს.

თუ ზაურ ბოლქვაძის დიდსა და მეტად საინტერესო პოეზიას ზოგადად შევხვდებით, აშკარაა, რომ იგი სოცოცხლის პოეტი. მნიშვნელოვანია მისი პოეზია მიძღვნილი ზოგადსაკაცობრიო პრობლემებისადმი, თანაც პოეტის ორიგინალური ხედვა არ სტოვებს მის შემოქმედებას. მისი ლექსები „ღმერთისადმი“, „დავით აღმაშენებელი (ციკლი)“, „შოთა რუსთველი“, „ერეკლე მეორის მიმართვა ქართველთა ლაშქრისადმი კრწანისის ველზე“, „ილია ჭავჭავაძეს“ და სხვ. ქვეყნის ბედით ღრმად დაინტერესებული, მასზე მოფიქრალი ადამიანის ლაღადისია. ზურაბ ბოლქვაძე იმედით შეჰყურებს ახალგაზრდობას — მომავალს. მას მთელი ციკლი აქვს დაწერილი ახალგაზრდობის თემაზე, მომავლის რწმენაზე, მიაჩნია, რომ სწორედ ამ თაობის თანამგზავრია „მუდმივი რწმენა გზის განახლების“, რადგან ეს განახლება მომავალი თაობისადმი ცის და მიწის ვალად იყო და არის აღიარებული.

ორიგინალური ზაურ ბოლქვაძის „სალალობო კალიფორნიაში“. აქ გამოჩნდა ცხადად პოეტის კეთილშობილება, კეთილგანწყობა ადამიანებისადმი. ესენი ძირითადად მისი მეგობრები არიან, აქვე ნახავთ გამოჩენილ, საყოველთაოდ აღიარებულთა შესახებ ე.წ. „ლექსპრომტებსაც“. თანაც პოეტი თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელ და შესაფერის დახასიათებას პოულობს. ამ ვრცელ გალექსვაში მკითხველი გაეცნობა: ნოდარ დუმბაძეს („ხალასი შემოქმედებით გვატკობო, გვატკობო, გვატკინებ“), მერაბ ბერძენიშვილს („ზენა ავტორი გენიალური ქანდაკებების“), ჯანსუღ ჩარკვიანს („შენი „სიმღერა თბილისზე“, მგერის ალტაცებას, ტკივილს, ცრემლს“) და სხვებს.

დასკვნა მარტივია: ზაურ ბოლქვაძის სახით საქართველოს ჰყავს ნიჭიერი, მაღალი ლირსებით შემოქმედებული ბრწყინვალე პოეტი; იქნებ ცოტა შეუფასებელი... იქნებ ნაკლებ დაფასებული.

ჩვენი პოეტის შემოქმედება ჭეშმარიტად მის დიდოსტატობაზე ლაპარაკობს. ზაურ ბოლქვაძე თავისი ცხოვრებით, ჭეშმარიტი, მაღალი პოეზიით გამოჩნეული, ლირსული ქართველ შემოქმედთა შორისაა მოსახსენებელი. პოეტის დაბადებიდან გასული ცხრა ათეული წელი, პოეზიის სამსახურში განვლილი რთული გზა, საზოგადოებას საშუალებას მისცემს რეალურად შეაფასოს იგი და ქართველ შემოქმედთა გალერეაში თავისი ლირსული ადგილი დაუშვად.

როინ მებრევილი

როსოსან ჩაიღნთა ღანის განსხაღვა

საქართველოს ეროვნული გმირის — ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასი აცხადებს, რომ მას შემდეგ, რაც 2008 წელს წარმატებით აღვადგინეთ მივინყებულის სახალხო დღესასწაული „მარაბდობა“ და მივეცი მას სისტემატური, ნამდვილად ეროვნული სახალხო ზემის სახე, სათანადო სახელმწიფო სტრუქტურებმა (სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, №5/18946; სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრი, №10/35139; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო №03/09-5021) სამეურვეოდ გადმოგვეცეს თეთრინყაროს

მუნიციპალიტეტის სოფელ მარაბდამი მდებარე „ცხრა ძმა ხერხეულიძის მემორიალის“ მიმდებარე ტერიტორია. ეს, უსათუოდ, დიდი პატივი იყო ჩვენთვის და ენერგიულადაც შევუდექით საქმეს, უპირველს ყოვლისა, ერთობ საინტერესო და ხალხმრავალი საჯარო ღონისძიებათა ორგანიზების თვალსაზრისით; ყოველივე ამას ოპერატიულად აშუქებდა არა მხოლოდ ჩვენი პრესა და ტელევიზია, არამედ უცხოურიც. მაგრამ მხოლოდ იმის გამო, რომ, სამწუხაროდ, არაინარი ფინანსური შემოსავალი არ გვაქვს, თანდათანობით ცხადი გახდა, რომ ვეღარ შევძლებდით ასეთი დიდი ნდობის სრულად გამართლებას — მემორიალს, უპირველეს

ყოვლისა, ესაჭიროება შესაბამისი შემოღობვა ელემენტარული წესრიგისა და სისუფთავის დასაცავად, რისი ორგანიზებაც საგრძნობლად აღემატება ჩვენს მოკრძალებულ შესაძლებლობებს. მხოლოდ ის მოგახერხებ, რომ მემორიალს რკინის ჭიშკარი გავუკეთეთ და იქვე, შესავლელთან, ტონა-ნახევრიანი ჯიხური დავდგით...

ამდენად, როგორც უნდა გვიჭირდეს ამის აღიარება, ვეღარ განვავტობთ მემორიალის მეურვეობას, რის გამოც საჯაროდ ბოდიშ ვიხდით, მაგრამ, დარწმუნებული ვართ, რომ ამ სახელოვან მემორიალს, ღვთის წყალობით, უფრო შეძლებული მზრუნველი გამოუჩნდება.

ამასთან, პატივებს ვთხოვთ საქართველოს პატრიარქს, უწმინ-

დესსა და უნეტარეს ილია მეორეს, რომლის იდეაც იყო ჩვენი დასის ჩამოყალიბება. ცნობილი „ჩოხოსნების ფიციც“ სწორედ მან დაგვიწერა, ფიცი, რომელიც 2006 წლიდან პირველივე გვერდზე იბეჭდება ჩვენი ჟურნალის („რანდი“) ყოველ ნომერში.

დასი კი, ცხადია, ჩვეული ენთუზიაზმით განაგრძობს მოღვაწეობას თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, მით უმეტეს, რომ იგი იხსება ეროვნული სულიკვეთებით განმსჭვალული ახალგაზრდებითა და დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე მოქალაქეებით.

დასის მეთაური
გიორგი (გოგი) დოლიძე

„ლს“ ანკედა: თანამედროვე ქართული რომანი



1. თქვენი აზრით, როგორ ასახავს ქართული რომანი თანამედროვე საზოგადოების პრობლემებს?
2. რამდენად არის გახსნილი რომანი ქართული კაცის ფსიქოლოგია, მისი სულიერი სამყარო?
3. როგორ აისახა 90-იანი წლების მოვლენები რომანისტიკაში?
4. ვინ არის თანამედროვე ქართული რომანის მთავარი პერსონაჟი – გმირი თუ ანტიგმირი?
5. რამდენად შეესაბამება ჟანრის მოთხოვნებს რომანის ენა?
6. რა მისცა რომანს 90-იანების დასაწყისში ცენზურის გაუქმება და სიტყვის თავისუფლება?
7. რით განსხვავდება თანამედროვე ქართული რომანი მეოცე საუკუნის ქართული რომანისაგან?
8. ხელახლა თუ არა მემკვიდრეობით კავშირს კვლავ და თანამედროვე რომანებს შორის?
9. უსტომოდარის ტულმა და დოკუმენტალისტურმა ტენდენციებმა უკანა პლანზე სწორედ რომანის მხატვრული გამოხატვა?
10. რამდენად მოქმედებს გარე კანონები რომანის ხარისხზე?
11. რომელი ქართული და საზღვარგარეთული რომანი ნაიკითხეთ ბოლო ერთი წლის განმავლობაში?
12. დაასახელეთ თანამედროვე ქართული რომანისტიკის სამეუღლე.

მირანდა ტყეშელაშვილი

1. ვფიქრობ, ქართული რომანის მთავარი მიზანი იმთავითვე ავტორის თანამედროვე საზოგადოების პრობლემების ასახვა იყო. მაშინაც კი, თუ არსებული რეალობა აიძულებდა, თავი ისტორიული წარსულისთვის, იუმორისტული თუ საბავშვო ჟანრებისთვის შეეფარებინა, ან მოქმედებდა შორეულ, სულაც გამოგონილ ქვეყანაში გადაეტანა, ეს მიზანი არასოდეს იცვლებოდა. მეოცე საუკუნის ქართულ რომანში, ურთულესი ეპოქის მიუხედავად, მოახერხა „ქართული სულის თავდადასავლის“ (ოთარ ჭილაძე) აღწერა, უხსოვარი დროიდან, მითიდან ფაქტამდე, ისტორიიდან თანამედროვეობამდე. ასე გრძელდება 21-ე საუკუნის ავტორთა შემთხვევებით, რომლებსაც სამისოდ გაცილებით ნაკლები გაბედულება მოუთხოვებოდა. რამდენად ადეკვატურად ახერხებენ, ეს მათ ნიჭიერებაზე დამოკიდებულია, შეფასება კი მკითხველსა და მის გემოვნებაზე, რომელიც ბოლომდე ობიექტური ვერასოდეს იქნება თავის თანამედროვეებთან მიმართებაში.

2. ესეც ავტორის ნიჭზეა დამოკიდებული. თუმცა, 21-ე საუკუნის მწერლობა მზადაა მეტი გულახდილობისთვის, ადამიანის, ქართველი იქნება თუ სხვა, ფსიქოლოგიის, სულიერი სამყაროს გამოხატულებისთვის, ნაკლებად ახასიათებს პერსონაჟების ჰეროიზაცია ან რომანტიზება.

3. 1990-იანი წლების მოვლენების რომანისტიკაში ასახვის პროცესი ჯერ არ დასრულებულა და, ვფიქრობ, კიდევ კარგა ხანს გასტანს. თბილისის სამოქალაქო ომისა და აფხაზეთის ომის შესახებ რომანები უშუალოდ მოვლენების დასრულებისთანავე, 90-იან წლებშივე დაიწერა, – ცხელი ამბები, ცხელი ემოციები. არის ტექსტები, რომლებიც მოგვიანებით, 2000-იან, 2010-იან წლებში შეიქმნა, ჩვენი ქვეყნისთვის ამ უმნიშვნელოვანესი ტრაგიკული მოვლენის განსჯისა და გააზრების შემდეგ. თუმცა, ყველა მათგანისათვის ერთია ე.წ. თვითმხილველის ეფექტი. 21-საუკუნის ავტორებიც, რომლებიც ამ თემებზე წერენ, თავიანთი ახალგაზრდობის, თუნდაც ბავშვობის შთაბეჭდილებებსა და ემოციებსაც აღწერენ, ისტორიულ ფაქტებთან ერთად. 90-იანი წლებიდან განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ოთარ ჩხეიძის ორმა რომანმა – „არტიტული გადატრიალება“ და „თეთრი დათვი“, რომლებსაც, ლამის შეუქმნე ვუკითხავდი ჩემს უფროს მეგობარსა და მეზობელს, ლიტერატორ ნათელა ონაშვილს, მისი მხედველობის პრობლემების გამო. ეს საღამოები იმ საშინელი 90-იანების ძვირფას მოგონებებზე შემომჩნა.

90-იანების მოვლენებს თითქმის მაშინვე გამოეხმაურა აკა მორჩილაძე მცირე თუ სქელტანიანი რომანებით „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“, „ავგისტოს პასენსი“, „სანტა ესპერანსა“; კავკასიის რეგიონისათვის უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებს ეძღვნება მწერლის პირველი რომანი „მოგზაურობა ყარაბაღში“, რომელიც, მგონი, საერთოდაც ამ კონფლიქტის პირველი ასახვა ლიტერატურაში. 90-იან წლებშივე ნაეკითხე ირაკლი სამსონაძის „ყურთბალიში“, ირაკლი ჯავახიძის „შავი სიის კავალრები“, ნუგზარ შატაიძის, გელა ჩქევიანის, გურამ ოდიშარის მხატვრული ტექსტები აფხაზეთის ომის შესახებ.

გვიანდელ ტექსტებს შორის გამოეყოფი ბეჟა ქურხულის რომანს „თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერები ანუ დემოთი ყივჩაღი“ და სულ ახალთახალს, ნინო ხარატიშვილის „უქმარ სინათლეს“.

4. აგიოგრაფიიდან მოყოლებული, მე-20 საუკუნის რომანის ჩათვლით, ქართულ მოთხრობასა და რომანს ორი მთავარი პერსონაჟი ჰყავს – გმირი და ანტიგმირი, რომელთა დაპირისპირებით ავტორი ახერხებს უკეთ წარმოაჩინოს ცენტრალური კონფლიქტი, ნათლად დაგვანახოს თეთრი და შავი, კეთილი და ბოროტი. თანამედროვე, 21-ე საუკუნის რომანს რაც შეეხება, ვფიქრობ, ეს დაპირისპირება ნაკლებად გამოკვეთილია. მეტიც, მთავარი პერსონაჟი ერთდროულად შეიძლება იყოს გმირიც და ანტიგმირიც.

5. 21-საუკუნის რომანის ენა თავისი ეპოქის სამეტყველო ენას დაუახლოვდა. მეტი აქცენტი გადავიდა ამბავზე, უკანა პლანზე გადაინაცვლა ტროპულმა მეტყველებამ. იმატა ყოფითი ამბების დეტალიზაციამ, სკაბრუზის გამოყენებამ იქ, სადაც ადრე ავტორები ეფიზიზმებს ამჯობინებდნენ. ეს, ჩემი აზრით, გამოიწვიანებელი სულაც არ არის მაშინ, როდესაც მსგავსი ენა ტექსტს მხატვრულ დამაჯერებლობას ანიჭებს, მაგრამ არა თვითმიზნად გადაქცევის შემთხვევაში. განრდა ეპატაჟიც, როგორც სინამდვილეზე რეაგირების გარკვეული ფორმა.

ცალკე თემაა პერსონაჟების მეტყველება. მასსოვს, მკითხველთა ნაწილის გაღიზიანება აკა მორჩილაძის პერსონაჟის, ნახალოვკელი ძველი ბიჭის, „მანავიკი“ ქემერას გამო, რომელიც საკუთარ თავდადასავალს თავად ყვება, რა თქმა უნდა, თავისი სოციალური ფელოსიების დამახასიათებელი სლენგითა და აურაცხელი სტილისტური თუ გრამატიკული შეცდომით. როდესაც მთელი ტექსტი პირველ პირშია მოთხრობილი და მთლიანად მსგავსი ტიპის ენით, ეს ზოგჯერ იწვევს მკითხველთა გაღიზიანებას. მეორე მხრივ, ილიას ქრესტომათიული წერილი, „ორიოდე სიტყვა...“ რომ გავისხენოთ, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუბლიცისტიკა კოზლოვის მიმართ ის იყო, რომ პოემის მთავარი პერსონაჟი მხოლოდ ავტორის სიტყვებით იყო შეშლილი და მისი ძალიანაც დალაგებული და აზრიანი მეტყველება მკითხველს ამაში ვერაფრით დააჯერებდა.

6. პოსტსაბჭოთა რომანში ღიად, და შეუნიღბავად, ცენზორის მოდარაჟე თვალის გათვალისწინების გარეშე აღწერილი ისტორიული მოვლენები; მხატვრული ხერხების გარეშე წარმოდგენილი „შიშველი სიმართლე“, რაც მეტაფორებში დაფარული აზრის, ტექსტის შიდა შრეების ამოცნობას შეეძლებოდა და თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლენით კმაყოფილი ქართველი მკითხველისათვის, ვფიქრობ, თავდაპირველად შემაცხუნებელიც კი უნდა ყოფილიყო. მკითხველზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი საზრუნავიც ხომ გმირებისა და გეოგრაფიულ სახელებში დაფარული მინიშნებების, პროტაგონისტების ძიება და მისი გარკვევა გახლდათ, რამდენად მოახერხა (თუ საერთოდ მოახერხა) ლიტერატურაში შეღწევა ისტორიულმა რეალობამ, როგორ აღწერა ის მწერლობამ, რა თქმა უნდა, მეტაფორული ენით.

ჩემი აზრით, ამის კარგი მაგალითია, გურამ გვეგიშვილის ისტორიული რომანების

ციკლი. პირველ („ხმა მალაღებლისა“), მე-20 საუკუნის 80-იან წლებში გამოქვეყნებულ რომანსა და შემდეგ ათწლეულებში გამოქვეყნებულ ტექსტებს შორის განსხვავება თვალმისაცემია. მომდევნო წიგნები მარტივად მოგვითხრობს გაგონილს, ნაკითხულს თუ ნანახს, ნაკლებად იგრძნობა მონათხრობის ორაზროვნების საბურველში გახვევის მცდელობა. ეს უკვე აღარ სჭირდება მწერალს და აღარც მკითხველს აიძულებს გონების ზედმეტად დაძაბვას, მას, უბრალოდ, აცნობს იმ ისტორიულ რეალობას, რომლის შესახებ ბევრ მათგანს აქამდე ყურმოკვრით თუ სმენოდა.

7. იმის გათვალისწინებით, რომ რომანი მწერლის თანამედროვე საზოგადოების პრობლემებს აირეკლავს, 21-ე საუკუნის რომანის თემები, მათში ასახული პრობლემები ვერაფრით იქნება მე-20 საუკუნის რომანის იდენტური; ავტორები ითვალისწინებენ თანამედროვე მკითხველის მოთხოვნას, ახალ ტექსტებში ქვეყნის უახლესი ისტორიის ამბები შემოდის. განსხვავებულია რომანის ენა, მწერლის მიზანი, რომელსაც საკუთარ ნაწარმოებს უსახავს.

8. მე-20 საუკუნეში რევოლუციური ქართულ მწერლობას 15-საუკუნოვანი მთლიანობა უწოდა. ვფიქრობ, ეს მთლიანობა არც 21-ე საუკუნეში დარღვეულა. მისი ნაწილა პოსტმოდერნისტული რომანიც, ანტირომანიც.

9. თანამედროვე ლიტერატურა ახლებურად გაიზარდა დოკუმენტურ პროზას; ტრადიციული მემუარისტული შეიკვალა და სხვა მნიშვნელოვანი განზომილება შეიძინა. მოთხრობილია დოკუმენტური ამბები რეალურ ადამიანებზე, ადგილებსა და მოვლენებზე; ყველაფერი არსებობდა და მინც, ეს ფიქციაა, მხატვრული ტექსტია.

10. საბაზრო ეკონომიკის კანონები ყველაფერზე ახდენს გავლენას და გამოწვევს ვერც ლიტერატურა იქნება. რა თქმა უნდა, არსებობს, ნინასნარ „ბესტსელერად“ ჩაფიქრებული, ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით დაწერილი წიგნები და უბრალოდ კარგი რომანები, რომლებიც თავის დროს აუცილებლად დაელოდებიან. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ეპოქა, როდესაც მკითხველი წინასწარგანწყობილი ამრებით უყურებდა გარკვეულ ჟანრებს, როგორც იყო, მაგალითად, ფანტასტიკა თუ დეტექტივი, წარსულს ჩაბარდა. დრომ დაამტკიცა, რომ ლიტერატურული კლასიკის შექმნა ნებისმიერ ჟანრშია შესაძლებელი (რეი ბრედბერი, ართურ კონან-დოილი, აგატა კრისტი...)

11. ამ კითხვის პასუხზე რომ დავფიქრდით, აღმოვაჩინე, რომ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ნაკითხულ წიგნებს შორის ბევრი ქალი ავტორის რომანია დამიგროვდა: ნიგერიელი ჩიმამანდა ნგოზი ადიჩის „ყვითელი ნახევარმზე“, ლიბანელი იმან ჰუმეიდანის „ასო ბ“ სიტყვებში ბინა და ბერიუთი“, „სხვა ცხოვრებანი“, თურქი ელიფ შაფაქის „გამქრალი ხეების კუნძული“, ირანელი ფარიბა ვაფის „დასასრულის შემდეგ“ და ბოლოს, ნინო ხარატიშვილის „უქმარ სინათლე“. თუმცა, ეს მწერლები არც გენდერული და არც თემატური ნიშნით არ მიძებნია, მათ რომანებს თემატ საერთო აქვთ: მათ მშობლიურ ქვეყნებში, სამოქალაქო ომების ფონზე დატრიალებული ტრაგედიები.

იმან ჰუმეიდანის გასულ ზაფხულს თბილისში ჩატარებული ლიტერატურათმცოდნეობის 23-ე მსოფლიო კონგრესის საპატიო სტუმარი იყო, რაც მისი რომანების ნაკითხვის ინსპირაცია გახლდათ; საბოლოოდ ლიბანეც ძალიან ახლობელ და საინტერესო ქვეყნად მექცა და თავად მწერალიც. რაც შეეხება ჩიმამანდა ნგოზი ადიჩის, მის „ყვითელი ნახევარმზეს“ ნიგერიული ლიტერატურის კლასიკოსის, ჩინუა აჩებეს წარდგინება ახლდა: „თუ არა მისი უშიშრობა, ვერავინ მოჰკიდებდა ხელს ნიგერიის სამოქალაქო ომის სულისშემძვრელი ისტორიის აღწერას; მართალია, სიტუაციის სიბრძნესთან არავინ აიგივებს, მაგრამ ამ მწერალს უძველეს მოთხრობელთა ნიჭი მემკვიდრეობით გადმოეცა“. ბავშვობიდან განსაკუთრებულად მასსოვს ვასიკო კეჟერაძის, კაცის, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, ფრაზა: „ნიგერიაში, საყვარელო, სამი კარგი მწერალია – შიოიონკა, ჩინუა აჩებე და გაბრიელ ო' ხარა“. ჩინუა აჩებეს რომანი „ყველაფერი ნაცარტუტად იქცევა ბოლოს“ რამდენიმე წლის წინ პირველად გამოჩნდა ქართულად და ნამდვილად გაამართლა გურამ დოჩანაშვილისა და ვასიკო კეჟერაძის „რეკომენდაცია“. ადიჩის შემთხვევაში, თავად ჩინუა აჩებე მომეგონა „რეკომენდატორად“. ადიჩის კიდევ ორი რომანი მოვიძიე – „ისფერი ჰობისკუსი“ და „ამერიკანა“ და არა მარტო ჩემთვის სრულიად ახალი აფრიკის კონტინენტი აღმოვაჩინე, მე-20 საუკუნის მსოფლიოს განსხვავებული სურათი დავინახე.

შაფაქი დიდი ხანია ქართველებისთვის ნაცნობი ავტორია, რომელიც არც კუნძულ კვიპროსზე ეთნიკურ ნიადაგზე დატრიალებული ტრაგედიების აღწერისას ლაღატობას მისთვის დამახასიათებელ გულახდილობას, რის გამოც, რამდენადაც ვიცი, სამშობლოში არცთუ ძალიან სწავლობენ. უკანასკნელ წელს ნაკითხულ ქალ ავტორთა რომანებს შორისაა ბრიტანელი ფერადკანინი ბერნარდინ ევარისტოს „გოგონა, ქალი და სხვა დანარჩენი“, გასული წლის ნობელიანტის, ფრანგი ანი ერნოს „წლები“, ირლანდიელი ალი სმიტის რომანები „შემოდგომა“ და „ზამთარი“, ზაირა არსენიშვილის „რეკვიემი“.

ჩემთვის უკანასკნელი წლის აღმოჩენა იყო ალბანელი მწერალი სამუელ კადარე და მისი ორი რომანი: „გახლენილი აპრილი“ და „მკვდარი არმიის გენერალი“. ევროპის შუაგულში, ისტორიულად მრავალჭირგამოვლილი, მცირერიცხოვანი ერი და ქვეყანა, რომელიც თავისი ტრადიციებით საოცრად მოგაგონებთ საქართველოს. ამავე პერიოდში ნაეკითხე მარო ვარგას ლიოსას „საუბრები კათედრალში“, ქართველი ავტორებიდან არჩილ ქიქოძის „ხვლიკი საფლავის ქვაზე“, ზაზა ბურჭულაძის „ვარდის სურნელი“, ბესო ხვედელიძის „განჯადობა“ და სულ ბოლოს, ლევან ბოლქვაძის „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი“, რომლის ახალი გამოცემის ხილვამ ძალიან გამახარა, რადგან ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი საყვარელი წიგნი იყო, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ზღაპარია, უპირობოდ საბავშვო წიგნად ვერ ჩათვლება და ჩვენი დღევანდელი მკითხველისაც მეტისმეტად აქტუალურია.

12. თა სახელები, რომელთა ახალ წიგნებსაც ველოდები და ინტერესითაც ვკითხულობ, სამზე გაცილებით მეტია. იმავდროულად, ძალიან რთულია მთ შორის იმ სამეულის გამოყოფა, რომელიც, ვთქვათ, ერთი წლის შემდეგ მკითხველის, თუნდაც პირადად ჩემი, ფავორიტი იქნება.



მწერალს, ჟურნალისტს, არაერთი ლიტერატურული პრემიის მფლობელს, მათ შორის, თამაზ ნივნიცაძის სახელობის პირველი პრემიის ნომინანტს, მარინა თაქაშვილს, ესაუბრება „საქნივის“ დირექტორი ლია მატარაძე.

– ბორხესი, საეტაპო ესეში „ენიგმათა სარკე“, ციტატად მოიხმობს ნმიდა პავლე მოციქულის გამოხატულებას: „ჩვენ მხოლოდ იმიტომ ვხედავთ ირმის ნახტომს, რომ ის ნამდვილად არსებობს ჩვენს სულში“. ვიდრე შენს ახალ ნიგში – „თქვი, დედაკაცო!“ – შესულ ლექსებზე დავინყებდეთ საუბარს, მინდა გკითხო, შენი ლექსებიც, ასე, ილუზიურად ხედავენ „ირმის ნახტომს“ თუ რეალურად – ლექსის თემას ქუჩაში პოულობ – მოქმედს, მოძრავს, ცოცხალს და შთაგონებას აქედან იღებ?

– სიტყვა „შემძრა“, ხშირად, „ირმის ნახტომის“ დასაანახად საკუთარ თავში „შესვლის“, „ჩაყურყურებების“ თუ „მონახულების“ მაპროვოცირებელია. გააჩნია შეგრძნების სიდიდეს, ხარისხს, თუნდაც გულისცემის აჩქარების რიტმს და კიდევ ბევრ ფაქტორს. „ირმის ნახტომის“ დანახვა სულშიც შეიძლება და ქუჩაშიც. გააჩნია, რა სიდიდით, რა განცდით, რა ემოციით დაინახავ ამა თუ იმ მოვლენას. ამიტომაც, ჩემი ლექსები ხშირად ილუზორულნი არიან და რეალურ საფუძველზე დანერგულიც. „ირმის ნახტომს“ კი ყოველთვის დაინახავ ხან ახლოდან, ხანაც შორიდან, თუ მის დასაანახად და აღსაქმელად მზად ხარ, თუკი სულში „ირმის ნახტომისთვის“ ადგილი უკვე გაქვს გამოძებნილი.

– ლექსი „ხატად თვისად“ ასეთი ლექსების კატეგორიას განეკუთვნება?

– ეს ლექსი ხარბმა ადამიანებმა დამანერინეს. მოხვეჭის, კეთილდღეობის მოპოვების მიზნით არაფერს რომ არ ერიდებიან და ისე გადაქვლიან მის წინ მყოფ ადამიანებს, ისე უღალატებენ, ისე უგანებენ, რომ სინდისის ქენჯნაც არ შეიძლება. ნებით თუ უნებლად, შესაძლოა მცირე მასშტაბებით, მაგრამ მაინც იუდას ცოდვას იმეორებენ. „ვერცხლის“ ჩხრალი შეიძლება ყურისთვის იყოს სასიამოვნო მოსასმენი, მაგრამ სულისთვის, როცა მის უკან მცირე თუ დიდი ღალატით დგას, დამღუპველია. „ჯილდო“ ვერცხლი კი არ არსებობს, მირაჟია და პანდორას ყუთი... ეს ყველამ უნდა გავიგოთ, თუ გვინდა სულში ადამიანიც გადავარჩინოთ და „ირმის ნახტომიც“ დავინახოთ.

– ასეთივე ლექსი „ადამიანი სარკეები“? მაინც ვინ არიან „ადამიანი სარკეები“?

– ადამიანებს შორის მსგავსებაზე და სხვების მიერ ჩადენილი ცოდვების მცირე ან დიდი მასშტაბებით საკუთარ თავშიც აღმოჩენაზე ადრეც მიფიქრია და სხვაზე ძვირის საუბარი მაინცდამაინც რომ არ მომწონს, სწორედ ამას, სულში ჩაღრმავებას უნდა ვუმაღლოდ. თუმცა, ჩემი ლია, ასეთი ინტერპრეტაციით, რომ ყველა ადამიანი მეორე ადამიანის სარკეა და იმ მეორეში თავი უნდა დავინახოთ, ჩვენმა საყვარელმა მეგობარმა, ყველასთვის ცნობილმა ქალბატონმა ელდინო სალარაძემ მასწავლა. ამ სწავლების მერე უფრო მეტად გამიცხოველდა სხვა, ნაკლოვანებებით სავსე ადამიანი საკუთარი თავის დანახვა და ნაკითხვა, ესე იგი მომეცა გაკვეთილი, რომელიც უნდა დავისწავლო და გამოვასწორო, თუ რამე არასწორად მასწავლა ცხოვრებამ – ჩვენმა დიდმა და ხანდახან მატყუარა მასწავლებელმა.

– პირდაპირ ფილოსოფიური წიაღსვლებით დავინწყეთ და გადაამეცა მეთქვა, რომ

შენი ახალი ნიგნი „თქვი, დედაკაცო!“ კარგმა გამოცემლობამ „ინტელექტმა“ დასტავა. როგორ იყო გამოცემლისა და პოეტის ურთიერთობა, ნაანყდი რამე უხერხულობას?

– პირველ რიგში, დიდი მადლობა „ინტელექტს“ და ზვიად კვარაცხელიას, რომელმაც ერთ დღეს, შეხვედრისას მითხრა: ქალბატონო მარინა, მოდი დაგეჭვოთ თქვენი ნიგნი... რა თქმა უნდა, შემოთავაზება ძალიან გამიხარდა. მით უმეტეს, როცა ასეთი გამოცემლობა გთავაზობს თავისი ხარჯით ნიგნის გამოცემას. ამ ნიგში, ძირითადად, ახალი, დაუბეჭდავი ლექსებია შესული, მაგრამ არის ძველი, ჩემთვის საყვარელი ლექსებიც, რომლებსაც ვერ შეველიე და აქაც შევიტანე. არანაირი უხერხულობა ჩემსა და გამოცემლობას შორის არ ყოფილა. ისინი დამთანხმდნენ სათაურზეც, ყდის დიზაინზეც, ფერზეც... დიზაინი ვახსენე და არ შემიძლია, მადლობა არ გადავუხადო გია ორჯონიკიძეს, ასევე ნიგნის რედაქტორს

თქვი, დედაკაცო!

მარინა თაქაშვილის ახალი ნიგნის წარდგენა

20.02 | 18:00

ინფორმაცია

შენი ნიგნი

ნანა აკობიძეს, წინასიტყვაობის ავტორს მარი ფლენტს, ჩემს გიორგი ლობჯინიძეს და ყველა იმ ადამიანს, ვინც დამეხმარა, ვინც ჩემი სიხარული გაიზიარა.

– გვერდს ვერ აუვული თავისუფალი ლექსის თემას. ვიცი, რომ მეგობარი პოეტების წრეშიც ბევრი მონაწილე გეყავს ურთიერთ ლექსებს – ვერლიბრს, ვერლანს... მიუხედავად ამისა, ისინი მაინც მოდიან შენს სალაშქარზე, სოციალურ ქსელში ინონებენ ლექსებს. ეს რა ფენომენია, შენი ადამიანური ღირებებიდან გამომდინარე თუ ამ მიმართულების ერთგულებით „აიძულებ“ მათ მიიღონ და პატივი სცენ ლექსის ასეთ ფორმას?

– ზოგადად, ხშირად იმართება პოლემიკა ამ თემაზე და მე თუ მკითხავთ, სრულიად უსაფუძვლოდ. ერთის არსებობა ხელს არ უშლის მეორის პოზიციების წარმოჩენას. რითმინა ლექსი ჩარჩოში გაქცევს, თითქოს რაღაც მაინც გჩრება უთქმელი. ურთიერთ კი საშუალებას გაძლევს, ბოლომდე და ზუსტად ისე თქვა სათქმელი, როგორც გინდა. ხშირად მახარებენ, რომ არ მიყვარს ე.წ. კონვენციური ლექსები, რაც სრული აბსურდია. მეტსაც გეტყვით. კარგი რითმინა ლექსი მირჩევნია კარგ ურთიმოს, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ რითმინებიც მაქვს და თანაც არა ერთი და ორი, ვერლიბრში თავს ისე ვგრძნობ, როგორც თევზი წყალში. ახლა ერთ „საიდუმლოსაც“ გაგიხვალ, თუ თავის ქებაში არ ჩამომერთმევა. ჩემი ყველაზე დიდი ოპონენტებიც ამბობენ, რომ არ უყვართ ვერლიბრი, მაგრამ რასაც ვწერ, არც თუ ცუდად გამომდის. რაც შეეხება ჩემს ადამიანურ ღირსებებს, უამრავი ნაკლის ფონზე, ყველაზე დიდ ღირსებად შეიძლება ჩამეთვალოს ის, რომ ადამიანები ძალიან მიყვარს. ამას ყველა გრძნობს და ჩემ მიერ გაღებული სიტბო, სიყვარული ასმაგად მიბრუნდება. რა თქმა უნდა, მადლობელი ვარ მათი. რაც შეეხება ჩემი მხრიდან „იძულებას“, ისეთი ჯიუტი მეგობრები მყავს (შენც კარგად იცი), ვერავის ვერაფერს ვაიძულებ და ვერც ვერლობზე ამოკვიტებულ აზრებს გადავთქმევინებ.

– ლამაზ გახარიათ თქვა: „პოეტი მაინც ერთი ლექსია“... როგორ ფიქრობ, ასეა? „ეთი ოსური“, ვოვლი, რომ შედევრია. მიგაჩნია,

რომ ამ ლექსით დარჩები? და თუ ასეა, სად წავილოთ ისეთი საუკეთესო ლექსი, როგორც არის „ნულარ მომიკვდები, დედა!“ ჩვეულ-ბრივი ლექსების რიგში ჩააყენოთ?

– ლექსი „ეთი ოსური“, როგორც ერთმა ჟურნალისტმა თქვა, სიძულვილზე სიყვარულით გამარჯვების დღესასწაულია. დიას, ეს ძალიან სწორი შეფასებაა, ვინაიდან, სიძულვილი, პირველ რიგში, თავად იმ ადამიანს ანადგურებს, ვისაც სძულს. გათავისუფლები სიძულვილისგან და ამოისუნთქავ, აი, „ირმის ნახტომს“ მაშინ ხედავ თუ ხედავ. კი არ დადიხარ, დაფრინავ. მეცოდებიან ადამიანები, ვისაც პატიება, სიძულვილის სიყვარულით ჩანაცვლება არ შეუძლია. ზემოთ ვთქვით და აბა, როგორც სარკეში, ისე ჩახედონ მეორე ადამიანში, იქნებ აღმოაჩინონ კიდევ თავისი წილი დანაშაული. რაც შეეხება ამ ლექსის დარჩენა-არდარჩენას, ამაზე ვერაფერს მოგახსენებთ. დრომ უკეთ იცის. რაც შეეხება ლექსს „ნულარ მომიკ-

ვდები, დედა!“, მეც მიყვარს და იცი შენც, რომ ვერასოდეს ვკითხულობ თავყრილობებზე, ტირილს ვინყავ, იმდენად შეუხერცებელია ჩრდილი. ჩემი დიდი მეგობრის, ლამაზ გახარიას ლექსის ეს სტრიქონი მთელსა საქართველომ აიტაცა და ასეც ხდება, ხანდახან, პოეტი მართლა ერთი ლექსით შემორჩება ხოლმე.

– მიყვარს შენი ლექსი „ორი ზამთარი მოხეტიალობს“. როგორ ახსნი, წარსულში დარჩენილი ზამთრების, ხანმოკლე წუთისოფლის ფილოსოფია დევს ამ ლექსში თუ განვლილ დღეებზე, წარსულში დარჩენილ ახალგაზრდობაზე წუხილი?

– დიას, ხანმოკლე წუთისოფლის ფილოსოფია ეს ლექსი. გაფრენილი ახალგაზრდობის, წარსულში დარჩენილი სიყვარულის ტიკვილია, დარდა „გუმინდელ“ დღეზე, იმ დროზე, როცა რჩეულის პალტოს ჯიბე გადაიქცა ყველაზე სასურველ და უსაფრთხო ხელის გალიად და სევდა იმისა, რომ შენი ასაკი „სხვა გალიის“ პოვნის საშუალებას აღარასოდეს მოგცემს.

– მერაბ მამარდაშვილმა ფრანკ კორეს-პონდენტს შეკითხვაზე ასე უპასუხა: „ცხოვრება არის დროში განხორციელებული ძალისმეფა, ძალისხმევა, თავი შეიმარგრო ისტორიულად, ადამიანურ ნერტილში, რაც უამრავ ნერტილს წარმოადგენს მრუდეზე, რომელიც გაგიჟდა“. როგორ ფიქრობ, შენი ლექსი „თქვი, დედაკაცო!“, რომელიც ნიგნის სათაურადაც გამოიტანე, არის თავის შეკავება გაგიჟებულ მრუდეზე?

– არის და თანაც როგორი. გაგიჟებულ მრუდეზე თავის არშეკავება ძირითადად უამრავი უბედურების სათავე ხდება ადამიანისთვის. გლობალურ ამბებს თავი რომ დავანებოთ, ხანდახან, ვიღაცა თვითმკვლელობამდეც კი მიუყვანია მრუდეს, მის საშიშ ნერტილზე თავშეუკავებლობას. ჩემი ლექსის გმირი სწორედ ამ მრუდეს გამოექცევა ყინიდან, რომ ის ნერტილი იხსნას, სადაც შეიძლება ფეხი დასხლტომოდა. მახსოვს, ერთმა ქალბატონმა გამთათხა ამ ლექსის გამო. ეს ლექსი კი განსჯის საგანია, არამც და არამც ერთმნიშვნელოვნად განსახილველი. მრუდის რომელიც ნერტილზე თავის შეკავება სხვა და ახალი სიყვარულის არმოდება სხვა...

რეპლიკის მახიარ

ნუ გახვლით ახსურდს მეოჩა კართაგენად!

„თბილისისაკენ, დავით, ცხენი შემოაბრუნე!“

ვანო ჩხიკვაძე

ძველ რომაელთა იმდენად არ ეთმობოდათ კართაგენელ ბარბაროსთა მიერ მიტაცებული სიცილია და სარდინია, რომ, არათუ ხელი-სუფალნი, უბრალო მოქალაქენიც კი, ისე არ მოამთავრებდნენ საუბარს, იქვე არ დაეყოლებინათ – „კართაგენი უნდა დაინგრეს!“.

ნათქვამია, შეძახილმა ხე გაახმოო! იმდენი იხახეს, ივიშვიშეს, იკიჟინეს, კართაგენი მართლაც დაინგრა და იავარიქნა! ყოჩაღ რომაელთა!..

ჩვენ რა ბედოვლათობა გვჭირს ამისთანა, რომ დიდი მერაბ ბერძენიშვილის, ლამის, ხელთუქმნელი ძველი დავით აღმაშენებლისა, წინა ხელისუფლებამ ისე უჩუმრად, ქურდულად აგვანაპნა „სატახტო ადგილიდან“, მეფობის ტიტულიც გაუშტმა და „ავტონისპექტორად“ (ხალხი გენოსია!) ჩამოაქვეითა, რომ, იმ დღიდან მოყოლებული, ვერ გაგვიბათილებია ეს აბსურდი!

მადა ჭამამი მოდისო და, იქვე, იმავე ადგილას, დაახლოებით, სადაც ძველი იდგა, ველოსიპედის ძველი დაასკუპეს, ალბათ, როგორც უძრავობისა და სტაგნაციის სიმბოლო-მეტაფორა!

დიას, მეტაფორა, რადგან ველოსიპედს ერთი-მეორეს საწინააღმდეგოდ მიმართული ორი საჭე უკეთია.

თხუთმეტი წელიწადია, მოვითხოვთ ძეგლის უკან დაბრუნებას, პასუხად – სტაბილური დუმილი!

გასაგებია, რომ იმ „წინეების“ აღზევებისას, კედელი ვაყარეთ ცერცვი, მაგრამ, მიიღია მთელი ათი წელიწადი და, ისევე „არსაიდან ხმა, არსით ძახილი!“.

ჩვენი აზრით, მხოლოდ პოლიტიკური ნებაა საკმაო, სულაც, დედაქალაქის მერიის გადწყვეტილება, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოელოს ბოლო ამდენ ინილო-ბინილოს!

გაუგებარია, ვისი ან რისი გვეშინია თუ გვერიდება, რომ „რესპუბლიკის (?) მოედანს“ ენოდოს „დავით აღმაშენებლის მოედანი, დავაბრუნოთ დედაქალაქისკენ ზურგშექცეული მეფე დავითის ძველი პირვანდელ ადგილას, ხოლო, ის გაუგებრობა-სიმახინჯე, ველოსიპედი, ან ჯართს ჩავაბაროთ, ან – მოდიდებულ მტკვარს.

როდესაც სამი ისეთი დონის ინტელექტუალი, როგორებიც ბრძანდებიან: დიდად განსწავლული ისტორიკოსი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ბატონი როინ მეტრეველი, ძველის თანაგვტორი, მსოფლიოში ცნობილი არქიტექტორი, პუბლიცისტი, ბატონი ვახტანგ დავითაია და გამოჩენილი პოეტი და პროზაიკოსი, ეროვნული პრემიის ლაურეატი, ბატონი ვანო ჩხიკვაძე, ეს უკვე მერამდენედ მოითხოვენ ამ აბსურდის გამოსწორებას, ხოლო, ხელისუფლების მხრივ, პერმანენტული დუმილია, ნამდვილად გაუგებარია! აბსურდი უნდა ამოიძირკოს!


გიზო ხარნაძე

ბოლოს კი, როგორც ხვიჩა კვარაცხელიამ და ვიქტორ ოსიმენმა შეკრეს იდეალური ტანდემი, მე და ჩემმა მეგობარმა პოეტმა, ირაკლი ვაშაყმაძემაც ვცადეთ მიგვებადა მათთვის, ოღონდ ლიტერატურულ სარბიელზე.

მეფე აღმაშენებელი გააძევეს სახლიდან, საკუთარი სახლიდან, სიძულვილის სახრითა, უღმერთობამ, მეფე, ყველგან ფესვი გაიდა, შენ რომ იდექ, იმ ადგილას ველოსიპედი დიდდა!

აღარ ვიცი, მეფე, საქართველო ვისია, ღვთისმოსულ ურიცხვი, ვინ, ვინ შემოგვისია, დაგვიმძიდა ყოფი ჟამის ბორკილ-ხუნდებით, მოგვენატრე, მეფე, როდის დაგვიბრუნდები?!

ირაკლი ვაშაყმაძე



უნივერსალური ღიააზონის უეპოქელი

ისინი, უფრო მეტად, რაფინირებული ანალიტიკოსის, პოეზიის იდუმალ „ლაბირინთებთან განდობილის“, ადამიანურ სათნოებათა აღმსარებლისა და მოქალაქის ინიციატივებს წარმოადგენენ...

იქნებ სწორედ ამგვარი „გენეტიკური“ პრეფერენციები განაპირობებენ მის ფილოსოფიურ განსჯათა შთამაგონებელ ტონალობას, ენობრივი მდინარების „სინარნარეს“, უსაგნო და უმისამართო ესთეტიკური „გრემასების“ სრულ გაუჩინარებას...

თამაზ ჭილაძის ლირიკული მედიტაციები, ფიქრთა ნატიფი ხელრთვით წარმოდგენილი არქიტექტონიკური მთლიანობა, რომელიც სეისმოგრაფიული სიზუსტით ავლენს შემოქმედის სულის ვიბრაციებს - „თუმცა ცხოვრებამ არა მომცა რა, / გარდა იმედის უტკბესი შხამის, / ღალატის, ელდის, სიცრუის შლამის, / მაინც ვჭერწრულემ: მადლობთ... ოსანა!...“

მისი თემატური მოდულაციები შორს დარჩენილი ბავშვობის უნახესი თრთოლითაცაა აღბეჭდილი... ნოსტალგიური განცდა მობოლიური პეიზაჟებისა და მის ნიაღში „მონანავე“ საკუთარი ბავშვური ყოფიერებისა, პოეტის ეგზისტენციური ტკივილების ცოცხალი ფესვი, სულიერი მღელვარე ტალღების წმინდა სათავე და საიმედო თავშესაფარია - „ანგელოზივით წყნარი და ნორჩი, / დაგტირის თითქოს და ცრემლი ბრწყინავს, / შენ კი სიბერის მზურვალე თოვლში / და უკანასკნელ სიზმრებში გძინავს... / ამ სიზმრის იქით მწვანე კონცხია / და ზღვასთან შენი ბავშვობა ჰგოდებს...“

თამაზ ჭილაძის ნოსტალგიური პასაჟები სრული ანტიპოდი, მავანთა გარდასულის ხელოვნური ძალისხმევით შეკონინებულ, გაქვავებულ და უსიცოცხლო „ნანგრევებში“ დაუსრულებელი „ხეტიალისა“, მოგზაურთა ალტიკინებულ გულბრწყინობას რომ ჰგავს...

რა ეულიც არ უნდა იყოს პოეტის სული, გარესამყაროსთან რა შეუთავსებლობაც არ უნდა სტანჯავდეს მას, შეუძლებელია, მასში არ კრთოდეს თვით ეფემერული სიყვარულის დაუფიქსირი გრძნობა, მისი თუნდაც ან უკვე „გადაფიქსირებული სიხასხასე“... „არც დასაწყისი, არც დასასრული, / მხოლოდ ოცნების კარის ჯაჯგური... / რად გინდა ჩემი გამსკდარი გული, / სხვის სიყვარულში გამოტანჯული... / თავის მართლება არც კი მიცდია, / ვინ გამამართლებს თავგზაბნეულს...“

რა სინანულის განცდაც არ უნდა „სდევდეთ“ ამ ლირიკულ მონოლოგებს, მათში ალბათ ქვეცნობიერად მაინც „საამო ცელქ სიოსთან“ ჭიდილის რომანტიკული ვნება პრევალირებს... ვნება ადამიანურისა და ღვთაებრივის საკრალური სინთეზისა...

აქ, ემოციური კულტურის სინატიფე გამომსახველობის იმ სიმალეებს აღწევს, საიდანაც მშვენიერის კატეგორიაში წარმოიდგინება მონოლოგის ყოველი ნაკვთი...

რწმენის ამ კონცეპტუალური საზრისიდან გამომდინარე, მისთვის არაორგანულია მიწიერი ამოვებისა და უსასოო ნიჰილიზმის აპოლოგია... ზოგადად ქართული პოეზიისათვის ნაკლებად ორგანული მისტიციზმი და ადამიანურ განზომილებათა დესტრუქციული დისკურსი...

თვით წამიერი სიცოცხლით „ტკბობა“ და უფლისადმი უსაზღვრო მადლიერება, მისი, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანის, რწმენის გამოხატულება და შთაგონების არქიმოტივაციაა... — „მიყვარდა, მძულდა, სამშობლო მქონდა, / თიხა ვიყავი, მაგრამ ვმღეროდი / და წუთისოფლის ჭრალა ბორბალს / კბილით ვათრევედი ცისკრის წვერომდი. / მადლობელი ვარ, უფალო, რადგან / მანუქე სიტყვა ბასრი და წრფელი, / მცხვია მტერი და ყველა მათგანს / მაინც სიცოცხლე ერჩია ჩემი...“

თამაზ ჭილაძის პოეზიას ჭეშმარიტ სამკაულად აღებეჭდა პეიზაჟური ლირიკის ბრწყინვალე ვიზიონები... ის ფერწერული რეპრეზენტაციები, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ბუტაფორიულ წარმოსახვებთან თუ „ერზაც-განცდებთან“...

ფრაზის უნიკალური ენერჯითა და სიტყვის უზუსტესი განცდით მკვიდრდება იგი მკითხველის ცნობიერებაში და ამკარად გაჯერებს ნარატორის ვნებათაღელვის „ექსკლუზიურობა“ ბუნებრიობაში... ცნობიერი თუ არაცნობიერი ესთეტიკური „ფერმენტი“ სრულ ჰარმონიაშია პოეტური ტექსტის სემანტიკურ განზომილებებთან, ანუ ავტორის ინდივიდუალურ ცნობიერებასთან - „ზედაზნის თავზე დილა სისხამი / თითქოს ლებავდა პორიზონტს სისხლით, / ვერ გაარჩევდი - იყო სიზმარი, თუ სინამდვილე შეცვლილი სიზმრით“... ან - „ვეფერებოდით მთებს და ველავდით, / ფეთქავდნენ მთები, ვით საფეთქლები / და თერთნით მთვარე, კლდეს შეხეთქილი, / შუა არავგვი იდგა ყელამდი“...

სიმპტომურია, რომ ამ ლირიკულ ქმნილებათა კომპოზიცია პროეცირებულია ისტორიული წარსულის აქტუალიზაციასა და სტრუქტურულად მოტივირებულ ემოციზზე...

დრო-ჟამის ალქმის ფორმალური თუ რიტორიკული მოდუსის უარყოფელი ეს ლირიკული მონოლოგები იმ ლიტერატურული პრაქტიკის ერთგულია, რომლისთვისაც წარსული ისევე კორექტირდება ანმყოთი, როგორც ანმყო - წარსულით...

წარსულისა და ანმყოს ლირიკულ-ანალიტიკურ „კადრებს“, შე-

მოქმედის ფილოსოფიური პასაჟები „ენაცვლებიან“...

ეს პოეტური ტექსტები ერთდროულად, ალბათ, მთელი თაობის გულწრფელი მონოლოგიცაა და ერთი პერსონის პრივატული „სათქმელიც“...

თვით სათაურები ამ ტექსტებისა მიანიშნებენ კონკრეტულ მოტივაციათა სპეციფიკასა და მათი შთაგონების იმპულსებზე, ანუ პრინციპულად მნიშვნელოვან იმ „გზავნილებზე“, რომელსაც ელოდება მკითხველი... „მე მძინავს ახლა, მაგრამ ეს ძილი / ძილი როდია... / მე ზღვა ვარ, თითქოს, დადუმებული, / ზედ ხომალდები მიდი-მოდიან... / გული მკერდიდან ამოღებული / ვარ და სიფრთხილით მისწავს ექიმი, / ვარ მეზღვაურის შორი ძახილი, / ფსკერზე ჩასული და ჩალექილი“...

პიროვნების ნიველირებისა და დროსთან უსახური შერწყმის, წარსულიდან სრული იზოლირებისა და მესხიერების დაჩლუნგების გამძლავრებული სიმპტომები ის მხოლოდ ფილოსოფიური სიმბიოზის განცდა გამოხატავს სათქმელს: „რა შერჩა ჩემი მასსოვრობის და-გლეჯილ ბადეს? / სახლი ზღვის პირას... / ჭორფლიანი კრამიტი... ნვიმა... / სკამზე შემდგარი დედა ჰკიდებს ფანჯრებზე ფარდებს, / მღერის და რადგან დედა მღერის - ქვეყანა ბრწყინავს“...

მისი ლირიკული მონოლოგების „ელეგიური ციკლი“, შთამბეჭდავად ათვალსაჩინოებს ეპოქის პოზიტივისა თუ ნეგატივის, საკრალურსა თუ ყოფითს, რომანტიკულსა თუ პროზაულს...

გავიმეორებ, რომ ეროვნული ცნობიერების მრავალნახნაგოვანი კონტექსტები და მათი ფილოსოფიური დეფინიციები, თამაზ ჭილაძის ლირიკული რეპერტუარის ბაზისადმი დისკურსია... მედიტაციათა ამ სივრცეში კონცენტრირდება მისი ნატიფი შემოქმედებითი სტრატეგია, სულიერ გრადაციათა სემანტიკური თუ ტემპორალური არტიკულაციები... ეფონიური მოდელირების ვარიაციები...

იმ ერთეულთა შორის, ვისთვისაც არასოდეს დამდგარა ვირტუალური სიმულაციებით „ჟონგლირებისა“ თუ თვალთმაქცური ლინგვისტური მანიპულაციების ჟამი, თამაზ ჭილაძეცაა...

იშვიათია პოეტი, რომელსაც ასეთი სიღრმითა და ინტენსივობით ალექვა წარსულისა თუ თანამედროვეობის კაეზანი, აისებისა და დაისების, ალორძინებისა და დეკადანსის სიხარული და მწუხრი...

ტოტალური ამნეზიისა და სულიერი დაღტონიზმის „მეტასტაზებისაგან“ თავდასხნისა და ადამიანში, ბიოლოგიურ რეალობაზე, მორალური რეალობის პრევალირების „უინითა“ აღბეჭდილი მის

ლირიკულ ქმნილებათა საერთო სულისკვეთება...

ასეთია ჩემუელი ალქმა ჭეშმარიტი პოეზიის დიდი ხელოვანის - თამაზ ჭილაძის ლირიკული ქმნილებებისა, მათი უჩვეულოდ ამაღლებული სულიერებისა, ეროვნული ლიტერატურული კულტურის ამ თვალსაჩინო ილუსტრაციისა...

ეროვნული კლასიკური მწერლობის სემანტიკურ-აქსიოლოგიური ანალიტიკა თამაზ ჭილაძის ესეისტიკის კონცეპტუალური დისკურსია...

სიმპტომურია, რომ მისი, როგორც მწერლისა და მოაზროვნის ინტუიციამ, დიდ ქართველ შემოქმედთა მხატვრულ ქმნილებებში ის „იდუმალი“ აქცენტები, სულიერი ინტენციები თუ სემანტიკური პორიზონტები „მოიხილა“, რომელთაც კიდევ უფრო ახლებური კონტექსტებით აღბეჭდეს დიდი ლიტერატურული წარსულის ესთეტიკური თუ იდეოლოგიური პარადიგმები, ჩვენი სულიერი ისტორიის ონტოლოგიური სტატუსი...

საგულისხმობა ისიც, რომ მის შთამბეჭდავ ესებებს მიმზიდველობას სძენს ჭეშმარიტი ლიტერატორისათვის ორგანული ემოციური ნიბლი, ანუ ტექსტის კრეატიული ენერგეტიკა, როგორც გარანტი მისი ესთეტიკური ალქმისა...

აქედანვე იმპულსირებული სწრაფვა უნივერსალიზმისაკენ და სულიერ ტრადიციათა ობიექტივაციისაკენ...

დროთა კავშირის, ანუ სულიერების ისტორიის უწყვეტელობის პრობლემა კიდევ ერთი კონცეპტუალური ვექტორია თამაზ ჭილაძის სააზროვნო სტრატეგიისა... სასულიერო თუ საერო მწერლობის მისეული სიღრმისეული ალქმანი ფრიად და ფრიად საგულისხმობა ამ თვალსაჩინოებისაკენ...

სიმპტომურია ისიც, რომ იგი არ იზღუდება კონკრეტულის ჩარჩოებით და სჭვრეტს კულტურული ტრადიციების უფართოეს სპექტრს, რითაც უფრო მყარ და არსობრივ წარმოდგენას ჰქმნის საანალიზო მასალის მიმართ...

ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას თუ სხვათა ლიტერატურული „პორტრეტები“, ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციების ანუ მწერლის პიროვნულ-შემოქმედებითი ხატის სრულყოფილი წარმოდგენის თვალსაჩინო ილუსტრაციებად შეიმეცნებიან...

წარუვალ კულტურულ ღირებულებათა უნიკალური რეპრეზენტატორი, იგი აცოცხლებს ეროვნული მხატვრული ცნობიერების კრეატიულ ვნებებს და უტყუარი ალლოთი აღბეჭდილ ბრწყინვალე ლიტერატურულ არაბესკებში სულიერი მედიუმის მაღალი ფუნქციით გვევლინება...

გურამ ბენაშვილი

„ოქროს ალბომი“


გამოცა ცნობილი ქართველი ექიმის, საზოგადო მოღვაწის, საქართველოში კურორტოლოგიის ფუძემდებლის ვახტანგ ლამბაშიძის ალბომი, „ოქროს ნიგნი“, როგორც თვითონ ავტორი უწოდებდა.

ტყავისყდიანი ალბომი იხსნება აკაკი წერეთლის ლექსით „პატარა ცემი“. ალბომში დაცულია სანატორიუმ „პატარა ცემის“ დამსვენებელთა და შემდეგ ემიგრაციაში მოღვაწე ცნობილი ქართველი პოეტების, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეების, ქართველოლოგების,

საზღვარგარეთელი ექიმებისა და ვახტანგ ლამბაშიძის ოჯახის წევრთა მიერ ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, თურქულ, ესპანურ ენებზე 1904-1946 წლებში შესრულებული ჩანაწერები.

ალბომში შედის აკაკი წერეთლის, გრიგოლ რობაქიძის, ალექსანდრე აბაშელის, ილია ნაკაშიძის, დუტუ მეგრელის, იოსებ მჭედლოშვილის, სიმონიკა ბერეჟიანისა და სხვათა ლექსები.

აქვენ შეხვდებით ექვთიმე თაყაიშვილის, ვიკტორ ნოზაძის,



ალექსანდრე ხახანაშვილის, კიტა აბაშიძის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, ნოე ჟორდანიას, მიხაკო წერეთლის, ევგენი გეგეჭკორის, შალვა ამირეჯიბის, სპირიდონ ჭავჭავაძის, რევაზ გაბაშვილის, გრიგოლ დიასამიძის, აკაკი ჩხენკელის, გიორგი გვაზავას, ავთანდილ მერაბაშვილის და სხვათა ავტოგრაფებს.

ალბომი შემოუნახავს ცნობილი პოლონელი მხატვრის, ზიგმუნდ (ზიგა) ვალიშევსკის მიერ აკვარელით შესრულებული დღემდე უცნობი ნამუშევარი - პატარა ცემის პეიზაჟი; რუსი მხატვრის, ვასილი პოიარკოვის მიერ შესრულებული

ვახტანგ ლამბაშიძის პორტრეტი (ფანქარი).

ალბომი გამოსაცემად მოამზადა ფილოლოგიის დოქტორმა ჯულიანტა ბაზაშვილმა.

ალსანიშნავია ისიც, რომ გამოცემა განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ეგადად. ზიგნი-ალბომი მომზადდა და გამოცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

▶▶ ბაზრქმეზა. დსაწყისი "ლს. №3

ვეზარ კვიტიანი

მორიელი ჩარჩობი

06.10.2008. ძველი საბერძნეთის უდიდესი სწავლულა და მოგზაურს, მრავალი ქვეყნის ფეხით შემომვლელს და სხვადასხვა დროის ძეგლთა, არქეოლოგიურ მონაპოვართა შემფასებელს, განსაცვიფრებელ მთხრობელს პავსანიას (110-180) თავის უიშვიათეს, ენციკლოპედიურ დანიშნულების „ელადის აღწერაში“, ერთგან ნათქვამი აქვს, რომ რომელიც ფრიგიელმა იონიამ ჩამოიტანა მორიელი და მას ზუსტად კალიის მსგავსი ფრთები ჰქონდა. ეს ბევრის მნახველი და მომსწრე ბრძენკაცი მუდამ სიმართლის დანერგას ცდილობს, ყოველთვის სიფრთხილეს იჩენს, მაგრამ არა მგონია, მორიელს კალიისებრი ფრთები სხმოდა. ეტყობა, განზე გაშვებული ფეხები, ოთხ-ოთხი იქეთ-აქეთ, მას ფრთებზე მოეჩვენა. მორიელი დახოხავს, არ ფრინავს.

მორიელისადმი სიყვარულიდანვე უცნაურ ძრწოლას განვიცდიდი (ალბათ, უფროსების მონაყოლის გამო). ერთხელ, თითხმეტიოდ წლისამ, სხვენში დავინახე, აგურის ჭუჭყიან, შეულესავ კედელზე მიცოცავდა, ღია ფერისა (შესაძლოა, კანგამოცვლილი), კუდმოკაუჭებული და მოულოდნელობით შემერთალმა, შემინებულმა, ხელში რაც მომეცა, დაეკარი, მივასრისე.

ხიმენის ცეცხლმენებულ და დასაღუპავად განიჭულ ამ სახაგელ არსებზე თანაგრძნობით ამბობს – „საბრალო მორიელი.“ გამიკვირდა, მაგრამ მისთანა პოეტი სხვაგვარად ვერ იტყოდა ასეთ სატანჯველში მოხვედრილზე.

მეზიზღებოდა და, ამასთანავე, კიდევაც მხიბლავდა მისი ნატიფი, უკიდურესობამდე სიმეტრიული აღნაგობა. სულ მინდოდა ლექსის ფორმამი მომეცია, გამოზომილად ნაჭედ სტრიქონებში ჩამემწყვდია იგი, თავიდან ბოლომდე სრულყოფილად დამეხატა.

არსებობს სარწმუნო ცნობა, რომ ეგვიპტელ ქურუმებს ტაძარში დაუბნავებიათ ჩვეულებრივზე დიდი „წმინდა მორიელი.“ უსაქმოდ არ გაჩერებდნენ, თუმცა ვინმეს დასაგვსლავადც არ გამოიყენებდნენ. ოცი წელი უცოცხლია და მერე, დაუძლეურებული, მიმეცა. ამოღენა დრო, მორიელთა შორის, ალბათ პატრიარქის ასაკს შეეფერებოდა.

იმ მორიელს, ფარაონისებურ ფუფუნებაში მყოფს, სახელიც იოლად დასამახსოვრებელი და წარმოსათქმელი ჰქონია – ატო. თითქმის ისევე უღერს, როგორც ფლობების „სალამბოს“ ერთ-ერთი მთავარი გმირისა (მათი), ვისაც ჰამილკარის ღვთიური სილამაზის ასულზე შეყვარებულს, საჭურისმა ქურუმმა მკერდი გაუბო და გული ამოგლიჯა. წმინდა მორიელისთვის ხელი არავის უხლია, ეგვიპტელი ქურუმები თავს ევლებოდნენ, მაგრამ მისგან მტვერიც აღარსადა. სახელს კი საუკუნეთა შეუჩერებელი დინება ვერაფერს აკლებს, პირფანდელი სახით ინახავს.

სადღაც წამიკითხავს (ნეტავი მომენიშნა) მაიმუნის ერთ სახეობაზე, რომელიც მორიელს შხამიან კუდს აკენტს, შეხარამუნებს და არავითარი ენება არ ადგება. უსამართლობაა, ამის მოქმედს მაიმუნი უძახხო, ზოგი პამპულა კი ცადად დაიარებოდეს.

ძველი ეგვიპტელები, როგორც მოგეხსენებათ, ხოჭოს, ფუნაგორიას აღმერთებდნენ, სად და რაზე აღარ გამოსახავდნენ, მზის ემბლემად რაცხდნენ და რა მოხდა, თუ მორიელს ასეთი პატივით ექცეოდნენ. მით უმეტეს, არაა გასაკვირი, რომ უგონიერესი ცხოველი, კატა, გაღმერთებული ჰყავდათ, ელოლიავებოდნენ და მის ფიტულებს სალოცავებში საუკუნობით ინახავდნენ.

კატებზე მე თვითონ, კარგა ხანია, დიდი, მრავლისმომცველი წიგნის დაწერას ვაპირებ. სხვადასხვა რეულებშია გაფანტული, რასაც მერე თავი უნდა მოეუყარო. გარდა ამისა, ათეული წლების მანძილზე, ბევრ მათგანს საგანგებოდ ვაკვირდებოდი, რასაც საჭიროდ ჩავთვლიდი, ვინმეზავდი ხოლმე; მაგრამ აქ ამაზე აღარ ვილაპარაკებ.

შარშან ჩემი ახლობელი ადამიანების ვაჟმა მიმიკო კუხალაშვილმა, კეთილზე კეთილმა, საზრიანმა ყმანვილმა, ლამაზ ჩარჩობი ჩასამული, შავად განტოტილი აფრიკული მორიელის საუცხოო ფიტული მისახსოვრა. სიგრძეში მტკაველი მაინც იქნება. გამორჩეული იერის გამო, მისთვის „მოლუნული იმპერატორი“ შეურქმევიათ. ძალზე გამახარა ამ თავისებურმა საჩუქარმა.

უბრალო ვინმე არ გეგონოთ – ზოდიასის ერთ-ერთ ნიშნად ცაში ატანილი, იგი ჩემი დაბა-

ნიგნილან – „ჩქანითელის გზავანი“

დების თარიღს (27 ნოემბერი) ზურგზე ებჯინება და „მშვილდოსნის“ სამფლობელოში გადასულს, გვიან შემოდგომაზე, ავად აღრენილი ღრიანკალი, თავისი ბასრი, წამახული მარწუხებით, კიბორჩხალისას რომ უგავს, ხერხემალს მიღრუჭნის, მაცოფებს, დაუოკებელი ჟინი მეღვრება სხეულში.

მორჩარეობული და შუშის ქვეშ მოქცეული, აღმა მიმსწრაფი მორიელი დიაგნოზალურად არის გართხმულ-გაფარჩხული სიგრძეზე. ფიტულის დამამზადებელს, ვიდრე უდაბნოში შეპყრობილი და მოკვინებული დამგვსლავი გაფიჩნდებოდა, მორკალული კუდი გაუმართავს, გაუსწორებია. მოუხდა განვართვა, ასე უფრო მიმზიდველი სანახავია.

მორიელებმა კითხვა არ იცინა, თორემ საშინლად განაწყენდებოდნენ, რომ ისინი ობობასნაირთა ჯგუფს მიაკუთვნეს. არანაკლებ განრისხდებოდნენ, დამკირებულად ჩათვლიდნენ თავს ვეფხვები, რადგან ბიოლოგებმა კატისებრთა ოჯახში გააერთიანეს მათი მოდგმა.

საჩუქარი სანერ მაგიდასთან ჩამოვკიდე და დროდადრო ვაკვირდებოდი. გადავწყვიტე, გაქვავებული უდაბნოს რისხვა როგორმე მოზრდილ ლექსში გამეცოცხლებინა, მისი მშობლიურ გარემოში დაბრუნება ვცადე (ამ სურვილზე ზემოთაც მივიანებე). ვერ ვიტყვი, რომ ჩანაფიქრი სანაქებოდ განვახორციელე. ქალაქში გადატანილი (ჩემივე გაცივლებიდან ვიცი), რამდენიც არ უნდა ვენვალო, მუდამ ნაკლებია განზრახულზე, წარმოსახვაში მოაზრებულზე. ლექსი ერთ ჟურნალში გამოქვეყნდა და აქ მისაბმელად არ გამოდგება. თუ მოვესწარი ამდაგვარივე ლექსების გამოცემას, იმ კრებულში შევიტან. სურვილები, რაც თავი მახსოვს, ძნელად მისრულდება. საკუთარ ხვედრთან ვერას გახდები, ყველაფერს ჩვევად მუცლით ნაშობი.

დაბოლოს, არ მინდა ალენიშნავი დამრჩეს – ცნობარების გადათვლიერებისას შემხვედრია (ნახვით არ მინახავს), რომ არსებობს „მეგრული მორიელი“ და ეს ფაქტიც არ გახლავთ უგულვებლსაყოფი, რაღაცას მატებს ჩვენს დაქუცმაცებულ სამშობლოს. იგი ამ სახეობის დანარჩენი, ასევე საშინო, მოსარიდებელი წარმომადგენლებისაგან, უეჭველად რაიმეთი იქნება განსხვავებული, თორემ სოლიდურ სამეცნიერო გამოცემაში ასე განკერძოებულად არ მოიხსენიებდნენ.

ახირაბულ ჩვევებზე

05.05.2009. კარგა ხანია, ერთი არცთუ მოსანონი ჩვევა დამჩემდა – ქუჩის განაპირას ჩარიგებულ ჭადრებს მეტ-ნაკლები სისქის ქერქს ვაცლი და გზადაზა ვამტვრევ, ვაქუცმაცებ, მარილმომადლებელ თითებს ვავარჯიშებ და ანეწილ ნერვებსაც ვინყნარებ. ცხენის ნაბლისა და აკაციის ხეები საამისოდ არ გამოდგება, იმათ მაგარი მერქანი აქვთ და ფრჩხილებს გატკენთ. გვარიანად გადაქანებული რომ არ ვიყო, ასეთ რამეს, ცხადია, არ ჩავიდენდი. ამაზე უფრო დალაგებულად სხვა დროს დავნერ, თუკი ამგვარი აბურდული აზრების მწყობრად გამართვა შესაძლებელი იქნა.

ძალიან გამახარა იმ ამბავმა, რომ დიდი თანამდებობის სამხედრო პირს (მან საუკუნეზე მეტი იცოცხლა, ბიბლიურ ასაკს მიაღწია) გამოჩინო მწერალს, ფილოსოფოსს (ჰაიდელბერგის განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა), ესეისტს, მწერების თავგადასვლულ კოლექციონერს, ერნსტ ოუნგერსაც ჰყვარებია ხის ქერქების აძრობა, მაგრამ მას გარკვეული მეცნიერული მიზანი ჰქონდა. საუკეთესო, დაკვირვებულ ენტომოლოგს ერთხელ ნაბლისათვის ქერქი უხლუჩია და ჭიის იშვიათი, ულამაზესი სახეობა უპოვია, სიხარულისაგან გული აჩქროლებია. იგი „ინტელექტუალური დლიურის“ უდახვეწილეს ოსტატად ითვლება (მთარგმნელები საგანგებოდ წერენ მის გასაყოფად ნატიფ სტოლზე) და სხვა, ძალზე მნიშვნელოვან წიგნებთან ერთად, დლიურების სუთი მშვენიერი ტომი დატოვა.

მთლად მშვიდი ცხოვრება არ ჰქონია. პირველი მსოფლიო ომიდან მოყოლებული, უშიშარი მებრძოლი იყო, ჩვიდმეტ მიმეჭრილობას ითვლიდა საკუთარ სხეულზე. მოუხედავად იმისა, ფაშისზმის იდეოლოგიის ერთ-ერთი მთავარი ადვოკატი გახლდათ, ეჭვი მიიტანეს, რომ ჰიტლერის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილეობდა, მაგრამ იმდენად დიდი სახელი ჰქონდა, სასჯელი ვერ მოუყენეს და არმიიდან

დაითხოვეს, როგორც „სამსახურეობრივად გამოუსადეგარი.“

ბევრად სავალალო გამოდგა უნიჭიერესი მხედართმთავრის, „უდაბნოს მელად“ წოდებულ ფელდმარშალ ერვინ რომმელის ხვედრი, ვინაც, ვითომდა შეთქმულებთან კავშირის გამო, შემოიღმა ფიურერმა აიძულა, თავი მოეკლა.

ამდენი გადახვევაც არ ივარგებს. მთავარ სათქმელს უნდა მივუბრუნდე. ქუჩაში მიმავალი, ჭადრის ხმელ ქერქებს ვაგროვებ, ვიმარაგებ და ეს, სამტვერეად, საკმაო მანძილზე მყოფნის. ყველაზე უხვად ჭადარი ატკეჩილ ქერქს ივნისში ყრის და მანამდე ერთი თვეა დარჩენილი. ესეცა – ჭადარს დახეთქილ ჯვავმანს როცა შემოვადღეუნი, ჯერჯერობით, საგულისხმოს და დამაფიქრებელს ბევრს ვერაფერს არსება; მეტწილად ობობას გატყუაპული, გამოსაჩქი, რთვილივით თეთრი ქუპრები და პატარ-პატარა მოუფთფუთე, ყავისფერი მწერები მხედება და, შეცბუნებული, მივტრიალდები ხოლმე.

უფრო საზიზღარია სისხლისმწოველი პარაზიტი, მოუვლელი ძაღლის თავ-კისერზე, ყურებზე დაბუდებული, მიმჯდარი მრგვალი არსება, რომელსაც გურიაში ჯღიბას ეძახიან; ეს იგივე ტკიპებია. ბავშვობაში ბევრჯერ მომიშორებია განამებული ძაღლებისათვის ნაირნაირი ზომის გატიკნილი, გასისინებული ტკიპები და ქვაზე დამისრესია.

უხერხულია, ასეთ რამებზე ვილაპარაკო და არ ვახსენო აბსურდის დიდოსტატი სემუელ ბეკეტი. ბუნდოვნად მაგონდება (ცალკეული წერილმანები მტერმა დაიმახსოვრა) მისი ერთი რომანის „მოქმედება“, რამდენადმე რომ ენათესავება ჩემს ალოგიკურ საქციელს (ჭადარზე ქერქის შემოცლა და დანაკუნება). მთავარ გმირს ტანისამოსზე თექვსმეტი ჯიბე აქვს დაკერებული. ჯიბეებში სხვადასხვა რაოდენობის კენჭები უწყვიან და ისინი დაუსრულებლად გადააქვს ერთიდან მეორეში. იქმნება უსაშველად ბევრი ვარაიაცია და პერსონაჟი ამით ერთობა (უფრო რთული სიუჟეტი, წიგნის დასაწერად, ბეკეტს არც ჭირდება, ისედაც ტვინისამრევეად ხლართავს მისეული თხრობის მდინარეებს). სხვა მაგალითების მოხმობა აღარ ღირს.

ქართველებს ერთი სხარტი, გონივრული ანდაზა აქვთ არაფრის მკეთებებზე – უსაქმო კაცი ყვერებში მახათს იყრიდაო. ეს გამონათქვამი ჩემისთანებზეა ზედგამოჭრილი, მაგრამ ზემოქმედებას ვერ ახდენს, ისე ჩემსას მივერეკები და ამას უკვე სხვა ანდაზა შეეფერება – ჩვეულება რჯულზე უმტიკიცსიაო, რომ გვამცნობს.

რაღაც თავისებური ჩვევა თითქმის ყველა ადამიანს არგუნა ბუნებამ, შთამომავლობამ, მაგრამ ზოგი არ ამხელს, ზოგი კი საქვეყნოდ ცნობილია. ნაპოლეონს, როცა რომელიმე შენობას ჩაუვლიდა, ჩვევად ჰქონია ფანჯრების წყვლ-წყვილად დათვლა. ალბათ გულნაკლული დარჩებოდა, თუ ნაგებობის ფასადს კენტი ფანჯარა ამთავრებდა. დიდ კორსიკელს სხვა უცნაურობებიც გამთარევედა, მაგრამ ამას უჩემოდაც მიაკვლევს ცნობისმოყვარე მკითხველი.

საგაღლო საქმი

23.05.2009. დამქანცა აქეთ-იქით გაუთავებელმა წანწალმა, რამდენიმე საათში ქალაქში გავარდნამ (ელენეს ერთი კარგი ქალი უფლის) და მერე ისევ საავადმყოფოში, ხუდადოვზე, ამოხეთქებამ, რკინის სანალზე ძაღლურად მივდებამ და ლამების ტანჯვაში თევამ. მომაბურებელია ავტობუსიდან ავტობუსში გადაჯდომა, მეტროს ავგუნებულ სადგურებში გაუთავებელი ძრომილი.

ამ დილით ერთ ქალბატონს (მობილურზე დამირეკა და შევეუთანხმდი, რომ შინ დავხვედებოდი), ტელეფონრალიტ მედვა მოსულიშვილს დაუწერე (ვიცრე სიტყვა მოხუცი კაცის, ჩემი თანატოლის, მკრდან იაგანაშვილის, რამდენამდე უცნაურ, ზოგი რამით გამორჩეულ ლექსების წიგნზე დასართავად.

მარტოხელა ადამიანია, ამ ქალბატონის ბიძამვილი, არსად არაფერი დაუბეჭდავს და მოინდომა, მაინცდამაინც მე ნამეკითხა და შემეფასებინა მისი ნაწერები. თავის დროზე ბრვე ვაუკაცო ყოფილა. ახალგაზრდობაში, თორმე, ტარზანს ბაძავდა; ტოტებზე გრძელი ღველები ჰქონია გამობმული, ერთი ხიდან მეორეზე გადადიოდა, ამ ქროლვაში რომელიცა განყვეტია, ძირს დანარცხებული, დახებირებული.

ლექსები აშკარად მომენონა, განათლებული, ღრმა განცდების ტრაგიკული პიროვნება ჩანს. იმ რამდენიმე აზრაცში (ცვიქრობ, სამადლო საქმე გავაკეთე) მასავით დაჩაგრულ ნიკო სამადაშვილთან მყავს შედარებული. წიგნის გამოცემას სხვა, სტამბაში მომუშავე ახლო მეგობარი უფინანსებს. უთქვამს, თითო გვერდზე თითო ლექსი მოათავსეო. პატარა ლექსებია, ძირითადად, მოსტროფიანები და ასე ბევრი ქალაქი დაიხარჯება, მაგრამ უფრო სქელი იქნება კრებული. ეს კაცი მარტოცა ცხოვრობს კახეთის სოფელ არაშენდაში. იქედან ერთი ქლა თავლი გამოუტანებია ქალბატონი მედიკოსთის. ამაღელვა ასეთმა ყურადღებამ. რამდენიმე ხნის წინ სანყალს ინსულტი დამართნია, მაგრამ, ღვთის წყალობით, გადარჩა. ნეტავი ამ წიგნის გამოცემასა და ხელში აღებას მოასწრებდეს, მხნობა შეემატება. ზეზვა მედულაშვილი, ნიჭიერი პოეტი, ლექსის ოსტატი და თვალსაჩინო მთარგმნელი მისი სოფელი ყოფილა, თუმცა მეურვეობა მე მომანდო.

მინდოდა, მისი ლექსების ერთი ნაწილი როსტომ ჩხეიძისთვის გადამეცა და ამ ორომტრი-ალში ვერ მოვახერხე. როსტომი შემპირდა, თუ ავტორი საყურადღებოა, უსათუოდ დავებეჭდავ, ასაკს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. საზოგადოებისთვის დღემდე რომ უცნობია, ეს უკეთესიცაა, ჩემს უურნალს მისი გამოქვეყნება, დარწმუნებული ვარ, რაღაცას შემატებსო.

ქართველი მხატვრის უმნიშვნელოვანესი გამოფანა

23.10.2009. გუშინ დავურეკე ლონდონიდან სახელოვნად დაბრუნებულ ზურაბ ნიუჟარძეს. მივულოცე ნამდვილი ტრიუმფი, რაც მის იქაურ გამოფენას მოჰყვა. მითხრა, ახლავ გამოეშურე, გემრიელი რამებები მინდა გაგამსაპინდლო. ჭამა-სმა ნამდვილად არ მინდოდა. ნავედი, რათა ნაამბობი, შთაბეჭდილებები მომესმინა. სახელსონომი დამხვედა მისი ახლო მეგობარი ნიკა თოფურაძე, მხატვრობისა და პოეზიის საუკეთესო მცოდნე. ბევრი ხალხური ლექსი, მეტწილად შედევრები, ზეპირად იცის. არაყი არ დამილევია, მაგრამ შავი ღვინო და ძვირფასი „მარტინი“ ბლომად მასვეს.

ლონდონში ჩემი მასპინძელი მეორეჯერ იყო და ახლანდელი შთაბეჭდილება უფრო მდიდარი, მრავალფეროვანია. ქუჩებში განსაცვიფრებელი სისუფთავე ყოფილა, ჰაერიც ბროლივით კრიალა. მანქანების მოძრაობა და სისწრაფე იდეალურად მონსტრივებული, რაიმე მარცხზე ლაპარაკი ზედმეტია, მძღოლები თავისი საქმის ვირტუოზები არიანო. ეს მოგვიანებით მისმა მშვენიერმა მეუღლემ ციციწო ციციშვილმაც აღნიშნა. ზურაბის ერთი ნამუშევრის რეპროდუქცია ლონდონის ყველაზე პრესტიჟულ ჟურნალ „გალერეაში“ გამოქვეყნებულა. ქალბატონ ციციწოს ჩამოუტანია შთაბეჭდილება წიგნი, რომელსაც ალბათ მთვე ვნახავ. ხელოვნების მცოდნეებს უთქვამთ – ამდენ უსახურობათა შემდეგ ლონდონს, როგორც იქნა, დიდი და ნამდვილი მხატვრის ნამუშევართა ხილვა ელირსაო.

მოვიდა ვახუშტი კოტეტიშვილის ქერივი, მზეო გოგოჭური, კარგი ბუნების ადამიანი და მშვენიერი მხატვარი. ზურაბი ეხმარება ოსტატობის დაუფლებაში, საათობით ამუშავებს.

სალამოს ავფემართეთ ქარვასლისკენ, სადაც ირაკლი აბაშიძის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენაა. ირაკლი აბაშიძემ ცხოვრების დიდი და რთული გზა გაიარა, უამრავ ცნობილ პიროვნებასთან იყო შენახვედრი და ეს გემოვნებით განლაგებულ ფოტოებზედაც ცოცხლადაა ასახული. შენობის წინ ზურაბმა ყავასა და კონიაკზე დაგვაპატიუ. იქვე მყოფი დიტი კიკვიძე და ალექო თუთბერიძეც შემოვიერთდნენ. კარგა ხანს ვილაპარაკეთ. ყველანი შეწუხებულები ვართ, რომ თბილისის დამამშვენილები მანანა გედევანიშვილი ისრაელში გაკეთებული მიმე ოპერაციის შემდეგ შეუძლოდა. იმედი გვაქვს, მალე გამოკეთდება.

ლონდონში ზურაბის ერთი ბრწყინვალე სურათი დაუტოვებიათ, „სოტბის“ აუქციონზე გასატანად; დიდი ფასი დაუდიათ, მისი ნიჭიერების შესაფერისი.

გამოფენის დარბაზის დაქირავება ერთობ ძვირი დამჯდარა (50 000 გირვანქა სტერლინგი). ზურაბი ალტაცებას გამოთქვამს ლონდონის ნაგებობათა გამო. პარლამენტის შენობა, თავისი გრანდიოზულობით, გამოაგნებელიაო. აღნიშნა ზანგებისა და ჩინელების სიმრავლე. ეს ლონდონელებს ნაკლებად აწუხებსო, გალიმებულმა დაამატა.



მანანა რიტიხვილი

გზა წინაშე

იდგა თორმეტი ენკენისთვის, მზე ოქროს ღვრიდა, ზედაზნის სერებს...

ჰფენენ ნიფლები გზაზე ფერად ფოთლების ფიქალს და შემოდგომის ყვავილები...

მოჩანს ტაძარი - ღვთის ნაკურთხი „ცხოველი სვეტი“, ფიქრიც მიმოდის...

რას მოთქვამს მტკვარი, ჯვართან ისეც შენამდორები, მზეც დახრისაკენ მიწურვილა...

ავად დუმს არე, არც ფოთოლი არ იძვრის კენტი, მარტოდენ შორით...

გახსენებს - ჭალოსი

ჰალაბში ახლა ოლეანდრა და მირტი ყვავის, თმას რომ უმკობენ...

ვის ვენაღვლები, თუმც ირევა ხალხი მიღეთის, არვის ანუხებს...

თმისფერი თოვლი

მე ვით შევცვლიდი განგების ნებას, ჩვენს კარზეც მოდგა...

ციცილიას „ქართლის სკოლოები“

პირველად ხდება, რომ შენს გარეშე მოდის ზამთარი.

შეჭირხლულია სარკმელის მინა, ფიქრში წარსულის ხსოვნა დამიდის...

როგორ გაგანდო ჩემი ნუხილი, ვით გაგემხილო ასე შორიდან...

ჩვენს გზაზე ხან თუ ვარდმა იხარა, ხან გვპირდებოდა ბედი უარესს...

რა უცებ მიწყდა სულის გალობა, არსად ფიქრის და დარდის განმსჯელი...

„ვეფხისტყაოსნის“ მისწავლის

მკერდზე ჩამომკეცა ფრთანი, არ დარიდა წყალს და რიყობს...

ვეტრფი რუსთაველის სახელს, როგორც ჯვარს, ან დედის ლეჩაქს...

ზაფხული მოჩანს

ნუხელ ვუსმენდი სახურავზე წვეთების გამებს, წვიმის ხმაურს ხომ მუსიკასთან...

მახსოვს დღეები, ყვავილები - თმებში ჩანწული... თვალბეჭით კრთოდა ვარსკვლავების...

ეს ზაფხული კი უღიმღამო დღეებს მიება

და უსურვილოდ მეც იმ დღეთა ფერხულს ჩავები... მხოლოდ ზაფხულის მხურვალე მზეს ეპატიება...

ვერშეხვედრების დარდიც მახსოვს, როს დაზაფრული, გული რომ მტანჯველ მარტობას ზეცას შესტირის...

თოვს... კვლავ ჯიუტად ვოცნებობ მზეზე, თუმცა ამინდი ფეხს ვით ამიწყობს...

ჟამი - ხან მღვრიე, ხან - ფშანი წმინდა, ვინ გაჰქცევია ბედის ფანტომებს...

ქნის ხეობიდან სათქმელი ოქჯი

გული ხომ არცრა ყოფილა, თუ არა დარდის სამალი, რით გისაშველო, ტკივილო...

ალარც ძალი ყვეს თეოზე, არც სადმე ყივის მამალი, ცხრამთასიქითელს შეურტყამს...

როგორც აჩვენებ

ბაგე - სურვილით მთვრალი ბადახში, მოუჭორფლიათ ზეცა ბელურებს...

ბინდდება...

სულშიც უკვე მწუხრია, ან კი ვის ინდობს ჟამი ვერაგი...

ვიდრე ჩადგება თვალში უკუნი და მზეს იხდენენ ქართლის სერები...

როცა იებით ლურჯდება მზვარე, ცას რომ შელენავს ხმები გალობის...

თქვენით

შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების ხსოვნას

მინა, დაღლილი მტერთა თარეშით, უფლის ნახატი ცვრით და იებით...

აქ იყო თქვენი ერდო და ბუდე, კვლავ რომ მუხლს ვუყრი დროით...

ინთება, თურმე, წყვილად ღამეში ქსნის ციხის თავზე ორი სანთელი...

მოლეღავს ცხმორთან წყალი ოხირის, თითქოს ცრემლებით ნამავს რიყეს...

დღეს როცა ჟამი კვლავ არას გვხატობს, კარს გვადგას უცხო, სიავით მზირი...

უფალო, შენთვის ჯვარცმულთ მიხედე, აღირსე ბოლო მათ ტანჯვა-ლოდინს...

მინა, დაღლილი მტერთა თარეშით, უფლის ნახატი ცვრით და იებით...

დასასრული. დასაწყისი "ლს. №2,3



ბაბა შურლიანი

პირაქი

ქალს ოკეანისფერი თვალები შავი სევდით ეფერება და წყნარად ამბობს:

- ჰო, მაგრამ იმის წინ, რასაც თქვენი სიკვდილი უნდადობს, მოძრაობდა, აზროვნებდა, სძულდა და უყვარდა. მერე რაღაც მოხდა და სხვა რაღაცად იქცა. ასე რომ ხდება, მერე იმ რაღაცასაც თვალისა და ცხოვრებიდან ჩვენვე მოვიკვეთთ. სად მიდის ის, რასაც მას ვეძახდით? მატერია მარადიულია, არ ქრება, არც იზარბება, სულ ერთთავად მოძრაობს, განუწყვეტილი, უდასაბამოდ, უდასასრულოდ. სულიც მატერიაა, პასიურ მატერიაზე გაცილებით უფრო მსუბუქი, ეთეროვანი. სტიკოსებიც ასე ფიქრობდნენ.

- გულით მტკიცია, ამას რომ გეუბნებით, ჩემო ძვირფასო, - მიუვება. - მაგრამ თავს იტყუებთ, რათა სული შეიმსუბუქოთ; ეთეროვანი სული კიდევ მეტად რომ შეიმსუბუქოთ. ოჰ, რა მიძინა მონატრება! არ იცით?! ოჰ, რა მიძინა დოლაბად დაანებდა-ხოლმე სულს ძახილი პასუხგაუცემელი! არ გიგრძენიათ?! ოჰ, რა სიზიფეს ლოდით გიგორდება მწვერვალისა და თავზე ყოველი დღე, უბედურების მერე რომ გითენდება! საღამოს, როგორც იქნა, მწვერვალზე აიტან და ვარამს ღვინოში იხრჩობ, მაგრამ მერე, მზე შუბის ტარზე რომ შედგება, ხედავ, ისევ ქვემოთ, იმ ვეებერთელა მთის ძირამდე ჩამოვარდნა და ცდილობ, ისევ აიტანო ზემოთ. და ასეა, დაუსრულებლად, - ფიქრობდა ფიქრი, თავისით ფიქრობდა. - ბალღამით მთვრალი, ისე მთვრალი, რომ ბარბაცებ, ფეხზე ვერ დგახარ, წელში ნამგალივით გაღუნული, დაეცემი და ისევ წამოვადგები, მერე ისევ დაეცემი. ასე ფოფხვა-ფოფხვით მათრევე არსებობის დღეებს, ამქვეყნად რომ დაგრჩენია და შენს ბედს სწყევლი. ცელ-გალესილ, ხმალომონდილ მჭლეკაცსაც წყევლი, ასე გულმოდგინედ რომ ირჯება თავის სამკალოში, შენ კი ვერ გამწნევს. მერე გივლავს თავში: მიწას განთხმისხარ მრავალძარღვასავით და როგორ შეგამწნევს?! ძალას მოიკრებ, ნამომიარაბეთი, გგონია, სხვებზე მაღალიც კი გახდი, ცარიელი თავთავით თავალერებული, და შესძახებ: „ეი, შენ, ქვეყნიერების ბატონ-პატრონი რომ გგონია თავი და ყველა გიფრთხის, აქ ვარ, გელოდები! მაჩვენე, ერთი, რა ვაჟკაცი ხარ! აბა, მაჩვენე, რომ არ უფრთხი, ხელგანივება, რაინდს შეერკინო!“ უხბოდ ჩაგივლის, თითქოს, ვერ გხედავდეს. მერე ხედავ: წელში მოკაკულს, შენსავე აწრდილად ქცეულს, თავის სწორად როგორ მიგიჩნევს, რაინდის სასაცილო კარიკატურას?!
სიტყვები თავისით, ნელა-ნელა წყდებიან. ჯერ ხმას აკლდება ძალა, ინავლეება, მერე შორიდან, სულ უფრო და უფრო შორიდან ისმის ბგერები, საბოლოოდ კი სავსებით ქრება.

- ასე ვერ იცხოვრებთ! ასე ვერ იცოცხლებთ! ვერც მოკვდებით ასე! ორ სამყაროს შორის გამოკიდებული დარჩებით ასე! ყოველდღიურ გეჰენიში დაინვები და ვერც დაინვები კაცი! - მუუბნება ქალი ბალღამ-გარეული, ხმატკივებული.
მწარედ მეღიმება:

- დღეები, თვეები, წლები მიიზღაზნებიან ასე. ტაატი მიდიან. საათის ნიკნიკს გაქვს ყური მიდებული და ითვლი ყოველ განიკნიკებას. ერთი, მეორე, მესამე... ერთი სული გაქვს, როდის გაინიკნიკვს კიდევ ერთხელ. თითქოს, საათი თავის ვალს იხდის და შენც ერთი განიკნიკება უკან მოიტოვე. მერე ცხოვრება ხელიდან გისხლტება. ვალდებულებები, ყოველდღიურად თავის გატანის საფიქრალი სულს გიხუთავს. სი-

ცარიელ და მონატრება მხოლოდ მაშინ გახსენებს თავს, როდესაც იმ ადგილებს ეწვევი, იმ საგნებს შესწვდება მზერა, თქვენი სიყვარულის მონმენი რომ გახდნენ ერთ დროს და შენი პირშავობა გულს ცხარე ცრემლით აატირებს. ცხოვრება ყოველდღიურობასა და სინანულს შორის გაუთავებელ მისვლა-მოსვლად რომ გექცევა, მაშინლა ხვდები: ვერ გაუძლებ, ამ გზებზე ვერა და ვერ ივლი. მერე გახსენდება, რომ არსებობს რაღაც, რასაც იმედი ჰქვია. შუალამეს, ერთ კუპრივით შავ კუნაპეტ შუალამეს, თვალთან თითს რომ ვერ მიიტან, უეცრად, ხელთ ერთი დიდი, გაჩირალდებული, თვალის-მომჭერი კელაპტარი აღმოგჩნდება. მას გაიძლიერებ ნინ იმედის საპოვნელად გრძელ, ბოლოუპოვნელ გზაზე. ღამეში კამკამებს, მაგრამ ვერც დღისით, მზეც კი ვერ აკლებს რამეს მის ბრწყინვალეობას. მეტიც, გგონია: მზის ელვარება იოტისოდენადაც ვერ შეეხიდება მის სიკაშკაშეს, სამყარო რომ იხსნას უკუენითიდან. ასე, იმედის პილიგრიმი გარდაცვალებაზე იწყებ ფიქრს და სიკვდილს გარდაცვალებას უწოდებ. ხვდები, რომ არაფერი იბადება ამქვეყნად და არც - კვდება, არამედ გარდაიცვლება. გარდაცვლება ერთი სახიდან მეორეში, მოგზაურობს ერთი სამყაროდან მეორეში და ასე, გაუთავებლად. დიდხანს ივლი ასე. ამასობაში დრო გადის, გადის შეუბრალებლად, შეუჩერებლად, თავისთვის მიდის და ვერც კი დაემჩნევს, რომ არსებობს და კალვარის გზას დასდგომიხარ. ბოლო არ უჩანს ამ გზას. არ სრულდება. შენ კი მიდიხარ: „წინ, წინ, კიდევ ცოტას გაიჭირვებ და სულ მალე მიაღწევ საწუკარს მიზანს!“. ასე გგონია. დიდი ხნის მერე, ნანამები კელაპტარი თითებში უღონოდ რომ ჩაგვლენთება, ცვილი, კელაპტარის ცრემლად დაღვინითი, ცეცხლთან ერთად თითებში რომ ჩაგვინება, ოდეს თავადაც ევნები და ენამები, უცხო ციავი გაგიკრთება გონების ჰორიზონტზე, სადღაც შორს. მიხვდები: არ არსებობს იმედი! არ არსებობს, რადგან არ იცი, რისი იმედი უნდა გქონოდა. იმედს არა-სოდეს უარსებია. შენ მოიგონე მისი სახელი. ასე გეგონა, სახელი მოიგონასთან ერთად შენვე შექმნიდი მას. დიას, ბატონო, შენ შექმენი, რაკი სახელი შეუქმენი და წარმოისახე, მაგრამ არსებობის სულის შთაბერვის ნიჭი შენთვის არავის უბოძებია. ნაღველი ავიცებს გულს. შემოტრიალები, ზურგს შეაკეცე გზას და ცდილობ, გაიხსნო, საიდან მოხვედი, უკან დასაბრუნებელი გზა იპოვო. სიცოცხლე გადის მის ძებნაში, ასე გგონია. შინ ბრუნდები უკვე დაბერებული, წელში სამუდამოდ გატეხილი, სწული ბერიკაცი, სევდით სასიკვდილოდ დასნებოვნებული, მაგრამ ის მჭლეკაციც რომ არსად ჩანს?! ანდა, ჩანს, მაგრამ სამწიფოდ რომ არ იქნევს თავის პირთამდე ალესილ კვლს?!

თავისი ინავლებიან, კვდებიან სიტყვები. ცეცხლიც დუმდება. საათებიც წყვეტენ ერთ ნამს ნიკნიკს და სიჩუმე იწყებს საგანგამო რეკვას ყურებში. პატრიცია მას ვეღარ უძლებს და ტეხს დუმილს. საათებიც ისევ იწყებენ ნიკნიკს.

- რას იზამთ მერე? - მეკითხება.
- როდესაც ხვდები, რომ არავინა შენი პატრონი, გაუსადლის მონატრებას რომ გაუმკლავდეს, შენი ხელით იშენებ შენსავე სახლში საკურთხეველს, სადაც ოდესმე, როდესაც ჩანაფიქრი ხორცს შეისხამს, შეგეძლება, ყოველდღიური მსხვერპლი შესწირო საყვარელს, ხელში რომ ჩაგიკლა არსთა გამრიგებ. ასე შეგეცვლება სიცოცხლე, სხვა გაგიხდება. ყოველდღიური საზურავი, სულ-თამბუთავი, სიცოცხლის ერთსა და მეორე ეპიზოდს შორის გადებული ხიდილა ხდება. ერთი სული გაქვს, შინ დაბრუნდე, ზურგს უკან სახლის კარი შემოიხსრო, რათა შენს საკურთხეველს მიაშურო, ჩუქურთმას ჩუქურთმა დაუმატო. ასე იშენებ შენს სახლში შენსავე განსახევენებულ სამუდამოს.

ალარას ვამბობ. ვხედავ თვალნათლივ ქალის ნატიფ, თეთრი მარმარილოსგან ნაკვეთ სხეულს, ქათქათა, სისუფთავით მოსულდგმულე, სურნელოვან ზენარზე რომ დაუსვენებიათ. მასზე გადაფარებული ეთეროვანი, გამჭვივრავლ სუფთის მიღმა ვხედავ, ჩასძინებია, მაგრამ ისარ ალვებულა სიცოცხლის ძალით, რომ გეძახის, გიხმობს, სარცევილი გაიზიარო, დაეწაფო, მისი სიყვარულით დატეხე სულის წასვლამდე და ისიც დაატეხო, სული შთაპბერო.

ფანჯრის გადაღმა სიო ნახად ეხება ნიფელს, ქორხრის აუშლის და რაღაც უცხო ნანას უმღერის, ასე მგონია. მერე სიოს საიდლანაც უცხო, სევდით დაფერილი ჰანგები მოაქვს. ძალიან შორიდან მოაქვს.

ჩემი ძველი ფორტეპიანო, ჩემი პიანინო! ოდესღაც ერთად ვუკრავდით მე და იგი, დღე და ღამე ვუკრავდით. ვუკრავდით და ბეთჰოვენი მთვარის ნათლად იღვრებოდა. ახლა მარტოა, მარტოდმარტო, ეული.

ხელით მოვეფერე ფორტეპიანოს.
- რაო, ჩემო პიანინო, კიდევ გახსოვარ? გენატრებოდი?

სციოდათ სპილოს ძელის კლავიმებს. შევეცადე, გამებოთ ისინი. ხელით მოვეფერე. მაინც სციოდათ. ცვდილობდი, გამებოთ, მაგრამ მაინც სციოდათ. მათი სიცივე ხელის თითებიდან გულში გადმოვივიდა და გული გამიჩერა. ხელები ძირს ჩამომვივარდა.

სევდით დაფერილი ჰანგი შეწყდა. პატრიცია მიმზერდა. მერე მითხრა:

- დაუკარი, კიდევ დაუკარი, ჩემო სიცოცხლე!

გულიდან ხმაში შავ ბალღამად გადმოიღვრება შავი ვარამი:

- ენა დამავინცდა, ენას ვეღარ ვიხსენებ!
- მაშ, როგორ?! რა ღამაში მუსიკა იყო!
- შენც მოგესმა?

- ჰო, თითქოს, რაღაც უცხო სიომ მოიტანაო. თითქოს, საკვიდან დაებეროს. მეგონა, შენ უკრავდი.

- ის ჰანგი წარსულიდან გადმოვიდა, მედია. ჩემი წარსულიდან გადმოვივარა! ოკეანისფერი თვალები ცრემლის ოკეანით ევსება. ფეხზე დგება. თითქმის, გამჭვირვალედ ქვეულ პერანგში მთელი სხეული მოუჩანს, მარმარილოში ნაკვეთი, ჩამოქნისი, უნაკლო სხეული. ჩემკენ მოდის და ითახის შუაგულში ჩერდება. მეც ნამოვდგები. მისკენ მივდივარ. მის წინ ვჩერდები. ხელებს კისერზე შემომხვევს და ბაგეებზე დამეკონება.

„მედეა, მედეა, ჩემო ძვირფასო! რა ტკბილ-მწარე, გულის შემხვერები ყოფილა კოცნა! აღარ მახსოვდა! უკვდავებისანი რომ ყოფილან ზაგენი შენნი, არც ეს მახსოვდა!“
მარცხენა ხელს ნელზე შემოვხვევ, მარჯვენა კი მის კეფაზე ოქროს ტევრში უგზო-უკვლოდ ჩაიკარგება. მერე სარკიდან სიო ფეხაკრეფით მოიპარება და შუბერტი გულში ვარამივით მძიმე, მაგრამ გულისნადავებით საწუკარ, ნაცნობ ჰანგად მეღვრება.

„მედეა! შენ და მედეა. მედეა და შენ. თვალს ხალხის ოკეანეში მოჰყვება პირველად და მაშინვე იცნობს გული მას: ისაა! რამდენიმე დღეში ისევ ბრუნდები, მეორე გამოცდის ჩასაბარებლად. ისევ იქაა, ისევ ხალხის ოკეანეში, მაგრამ ისევ მასზე, მხოლოდ მასზე შეგიჩერდება მზერა. მხოლოდ მას ხედავ: ისაა! თან ქრის ქარი, ქარი უძლიერესი, ქარტყილი, დედამიწას ქვესკნელს რომ მოსწყვეტს და ზეცას შეანარცხებს, ისეთი. ჯერ რომ არ უქროლია, ისეთი. შენც მიგაქროლებს, მაგრამ იცი, ტანი გიგრძნობს, კიდევ შეხვდები. დანალიკებულ ჯარისკაცთა წყებებად მიჰქირან წლები. შენი ხელივით ახლია შენთან და - შენი ყრმობის ოცნებასავით შორეულიც. ერთ დღეს რუსთა-ველის თეატრში ეპატყუები, დეკემბრის ერთ ციე, მყინვარე, ქარიან საღამოს. სპექტაკლი იწყება, ის კი არსად ჩანს. შენ და ერთი ახალგაზრდა მამაკაცი დგახართ და იცდით. მერე შენკენ გამოემართება და უხერხული ღიმილით გკითხავს: „თქვენც მოგატყუეს?“. თავისით რომ ამოკითხავს პასუხს შენი თვალებიდან, ხელს ჩამოგართმევს და გემშვიდობება. შენ კი ისევ იცდი. იცი, არ მოვა, აღარ მოვა, მაგრამ იცდი. ფიქრი მიგაქანებს ოკეანის თვალმუედგმელი სიღრმეებისკენ და ყინულად დამსხვრეული ქარი ავარვარებულ სახეზე პირველი სიყვარულივით გეაღერებს. დანალიკებულ ჯარისკაცთა წყებებად მიქირან წლები. შენი ხელივით ახლია შენთან და - შენი ყრმობის ოცნებასავით მიუწვდომელიც. არ ეკითხები, რა მოხდა, რატომ არ მოვიდა, წლები კი დანალიკებულ ჯარისკაცთა წყებებად მიუყვებიან ერთიმეორეს. მერე, ერთ დღეს ერთ ჭერქვეშ ამოყოფთ თავს, მაგრამ სახლოვე ვერ კლავს სიშორეს, მონატრებას, ოცნებას ვერ კლავს. მერე 11 დეკემბრის ერთ დღეს, სუსხით რომ უნთქავს, შენი ნაცნობი ქარტყილი ამოვარდება და სამუდამოდ გაქარტყნებს სადღაც შორს, მოუსავლეთში, სადაც სიშორე, მონატრება, ოცნება გაძლევს სიცოცხლის ძალას. აქ კი ქვეყანა სისხლისფრად იფერება. ჯერ

უკუნეთი ჩამონვება: ცა იღრუბლება, ქვეყანას ერთი დიდი, საავდრო, საზარელი შავი ღრუბელი უშველელი გუმბათივით ჩამოეხურება და დღისით-მზისით, მზეს დააბნელებს, გგონია, მოკლავს. სანთლით ხელში რომ ექებო მზის სხივი, მაინც ვერ ჰპოვებ. მერე საიდლანაც სისხლის მდინარე იწყებს დენას და იწყება აპოკალიფსი. ქვეყანა სისხლით ივსება, სისხლისფრად იფერება და შენ იცი, ტანი გიგრძნობს, რომ ისიც იქაა, მისი სისხლიც შეერწყა სისხლის მდინარეს, ქვეყნიერება რომ აავსო და ცას მიადგა. როდის-როდის, ინათებს მერე. ცას საავდრო ღრუბელი ისევ გუმბათად ჩამომხობია. ისევ შავია, კუპრივით შავი, მაგრამ მის ქვემოთ მზეს უნათია. თვალს რომ უსწორებ, მაშინლა ხედავ: სულ სხვა მზეა, ისეთი მზეა, მზე რომ არ ეთქმის, არც მის შუქს ეთქმის ნათელი. აღარ ხეწოლა, ესაა და ეს, მაგრამ აღარც სინათლე ნათობს და დრო იყინება“.

ჰანგი წყდება და ჩემი ბაგენიც განიყრებიან.

მისი მკლავები ისევ ჩემს კისერს შემოსტობიან. ჩემი მარჯვენაც მის წელს მიაშურებს და ჩემი მკლავები წელზე თავაზიან, მოსიყვარულე, მფარველ ქამრად შემოეველება.

ერთმანეთის თვალებში ვიძირებით და ერთმანეთის სიყვარულს ვიწყებთ. სიოს საიდლანაც სხვა ჰანგი მოაქვს, ისევ სანუკვარი, ნაცნობი ჰანგი.

„თვალთვარადლოვანი ამფიტრიტე სიყვარულით გვიღებს ტალღებს და გულში გვიკრავს. „სად იყავით? საუკუნეებია, გელით! თქვენი მონატრებით მასულდგმულებს ქარიშხალი. თქვენი მონატრება მძლევს ღელესა ძალას“. სიყვარულით გვიკრავს გულში და გვანებივრებს. ჩვენ შესახვედრად დელფინები მოიჩქარაან. სადღესასწაულოდ დალაშქრულნი, ღალად კრავენ სალტოს ჰაერში რიგ-რიგობით, რათა, რაც შეიძლება, მალე დანთქან მანძილი და წყალზე დაეცემისას ღალად ჭყვიან. ჩვენამდე რომ მოაღწევნ, ტოლფერდა სამკუთხედს კრავენ ჩვენ გარემო და ატლანტის ოკეანეს ვსვრავთ ერთად აქეთ და იქით. ჩვენთან ერთად მზე ნებივრობს ამფიტრიტეს ზვირთებში, თავისთან გვიწვევს. დელფინებს ეს სწყინთ, სწყინთ მოსაჩვენებლად და ახლა ოკეანის სიღრმისკენ მიგვიძღვებიან. თევზთა გუნდები გვხვდებიან გზადაგზა. ჩვენ დანახვაზე საფანტეითი აქეთ-იქით ელვისებურად იფანტებიან, მერე ისევ ერთ ჯგუფად შეიკვრიან და კულში მოგვედვენ. მერე უცბათ ქრებიან თვალსა და ხელს შუა. ლურჯი ზვიგენი დაილანდება ჩვენ შორისაბლოს. კუდს ისე იქნევს, თითქოს, სიხარულით საღამს გვაძლევდეს. დელფინები ოდნავ გასაგონ ხმას გამოცემენ. ასე მგონია, არც ისინი უნდა უთვლიდნენ მუქარას ზვიგენს. წინ, წინ! სულ უფრო და უფრო ქვემოთ ჩავდივართ. ნელ-ნელა ინავლება მზის შუქი და არ ვიცი, იმიტომ, რომ ცად ამალდა თავად, თუ ისევ ამფიტრიტეს ტალღებში ბანაობს, მაგრამ ჩვენ ჩავსულივართ ძალიან ქვემოთ. დელფინები სამკუთხედს შლიან და წრეს კრავენ ჩვენ ირგვლივ. მერე წრე თავბრუსდამხვევი სისწრაფით დატრიალდება ჩვენ გარშემო. მერე გაჩერდება. დელფინები კუდებს გვიქვენენ: გვემშვიდობებიან. ასე მგონია, ღიმილიც კი ჩასდგომიათ გიშრის თვალებში, მერე ელვისებური სისწრაფით ზემოთ, ცისკენ აიჭრებიან. ახლა ხელივით-ჩაკიდებულნი წარწარად მიგცურავთ ქვემოთ, სულ ქვემოთ. პირველნი ფეხფარფლიანები გვხვდებიან. მედეა მიღმის, ნახად მკოცნის და ელექტრონი ჟრუნტულად მივლის ტანში. ცურვას ვაგრძელებთ. ჯერ მთლიანთავიანი ქიმერები გვხვდებიან, მერე ჯუჯა ეკლიანი ზვიგენები შორიდან გვესალმებიან, კიდევ მერე შავი ეკლიანი ზვიგენები - ფარანი-ზვიგენები⁴ საგანგებოდ გვინათებენ უკვე უკუნეთად ქცეულ გარემოს. ქვემოთ, ისევ ქვემოთ!

1 ფეხფარფლიანები (ლათ. Lophiiformes) - ცხოვრობენ ყველა ოკეანეში 20-დან 1000 მ სიღრმეში.

2 მთლიანთავიანი ქიმერა (ლათ. Holoccephali) - ხრტილოვანი თევზი, ცხოვრობს ყველა ოკეანეში 200-დან 1000 მ სიღრმეში.

3 ეკლიანი ზვიგენი (ლათ. Squaliolus laticaudus) - გვხვდება მთელი დედამიწის ზურგზე, ჩრდილოეთის 48-ე და სამხრეთის მე-40 განედებს შორის 200-დან 1200 მ სიღრმეში.

4 ფარანი-ზვიგენი (ლათ. Etmopterus) - გავრცელებულია ატლანტის ოკეანის ჩრდ.-აღმ. ნაწილში 1200 მ-მდე სიღრმეში.

მზის შუქის ნატამალიც კი აღარსად არის. ახლა საზარელი, უფსკრულის თევზისმჭამელი ბაყაყები მიმოცურავენ, თავზე მანათობელი სატყუარები უნათებთ საშინელ კბილებს. ქვემოთ, ისევ ქვემოთ! ახლა ბრაზილიური მანათობელი პატარა ზვიგენები გვინათებენ სავალ გზას ქვეცხელისკენ, მაგრამ სულ მალე აღარაინ აღარ ანათებს. ზღვის ლოქორებიც კი აღარ ილანდებიან, ხოლო ფლორა, დიდი ხანია, აღარსად გვხვდება. ალბათ, სადმე, რომელიმე ბაქტერია სადმე დაბორილებს, მაგრამ ჩვენ მათ ვერ ვხედავთ, არც გვესმის მათი. ღრმა უკუნეთში მხოლოდ ოკეანე და მისი ჰანგი სუფევს ჩვენ ირგვლივ. ოკეანე გვიმღერის ყურში, თავისკენ გვიხმობს. „მოვედით! მოვედით, ჩემო სიცოცხლე!“ ჩამურჩულეებს მედღე ყურში და მის ძირში მკოცნის. ფეხი მინას რომ შეეხება და მინა უკან, ცისკენ რომ გვიბიძგებს ოდნავ, მაშინლა ვხვდებით: ოკეანის ფსკერზე დაგვიდგამს ფეხი. ერთმანეთს პირისპირ ვუდგებით. მზე აქამდე ვეღარ აღწევს, მაგრამ მას ვხედავ. ისიც მხედავს და ერთმანეთის ფსკერუბოვნელ თვალებში ვიძირებით. მერე ერთმანეთს გულს რომ გაუვლებთ, ერთ სხეულად ვერთიანდებით და ერთმანეთის სიყვარულს ვინყებთ. აღარ ვიცი, სად ვმთავრდები და სად ვინყები. არც მან იცის, სად მთავრდება და სად იწყება. ასე ვენეტარებთ ერთმანეთის სიყვარულით და საუკუნე გადის ჩვენს სიყვარულში. იქ, ზემოთ, ზემოთ რომ დავტოვებთ სადღაც, იმქვეყნად, სხვა ხალხი მოსულა ალბათ. სხვა ენაზე ფიქრობს, ალბათ, და სხვა სანუხარს დასტრიალებს მისი გონება. ერთმანეთის სიყვარულში საუკუნე გავლიეთ და დავიფერფლეთ, იმ ქვეყნისათვის სამუდამოდ დავიფერფლეთ. ასე ვინყებთ ოკეანის ფსკერზე სიყვარულსა და მოგზაურობას. მერე ერთ დღეს... ერთ დღეს? ალბათ, ერთ საუკუნეს, მზერა მაღალი კოშკების წვერებს შესწვდება. მედღე სალტოდ შემომეკვრება, ლოყას ლოყაზე მომადებს და ჟრუანტელშეპარული ხმით ჩამურჩულებს: «ატლანტიდა, პლატონის ატლანტიდა, ჩემო სიცოცხლე, ჩემი სამშობლო! სამშობლოში მოვედით, როგორც იქნა, ჩემო არსებობა!».

ჰანგი შეწყდა.
ჩემს ზურგს უკან კარი თავისით, უხმაუროდ იხურება.

მყუდრო, თეთრად შეღებილი სწორკედლებიანი ოთახია. მის სიღრმეში, კარის მოპირდაპირე კედელთან, დაბალი, ნაბლის სამფეხა მაგიდა დგას, ზედ თეთრი ტელეფონი ძეგს, ხოლო მის მარჯვნივ დგას იატაკის აბაჟური, საიდანაც მქრქალი სინათლე იღვრება. მარცხენა კედელში დიდი, ტანმაღალი, ორყურიანი ფანჯარა გამოუჭრიათ. მის იქით, ვეებერთელა ნაბლის ხე ქარს ნახად ეცეკვება.

თეთრად შეღებილი სწორი ოთახია. მარცხენა კედელთან შინდისფერი ალუბლის ხის სარეცელი დგას. ქათქათა, ოცნებასავით სპეტაკ ზენარზე მზეთუნახავი დასვენებულია. ოქროსფერი კულულები ქათქათა ბალიშზე დაუსვენებია. თვალები დაუხუჭავს: ორფეხის მკლავებში ნეტარებს. სხეულზე თეთრი, ქათქათა, ოდნავ გამჭვირვალე ზენარი აფარია. იქიდან ილანდება მისი მკერივი, ჩამოქნილი, უზადო სხეული. აფროდიტე ვეგონება, განსხეულებული. შიშველია, შიშველს სძინავს. ისაა!

მონუსხული ვჩერდები იქვე, სადაც ჩემ უკან უხმაურად მიხურული კარის მიხურვის ხმა შემომესმა. ნაბიჯი ვერ გადამიდგამს. მონუსხული შეეყურებ ქალს და მიყვარს. მისი უმანკო, უცოდველი, ძილისფერი ძილი მიყვარს. საუკუნე გაილევს უხმო სიყვარულში. მერე ის ვილაც, მე რომ ვარ და მე რომც არ ვარ, იმავე

5 თევზისმჭამელი ბაყაყი (ლათ. Cryptopsaras couesii) — ცხოვრობს ყველა მთავარ ოკეანეში, 3000-4000 მ-მდე სიღრმეში.
6 ბრაზილიური მანათობელი ზვიგენი (ლათ. Isistius brasiliensis) — გვხვდება მთელი დედამიწის ზურგზე, ოკეანეთა ტროპიკულ წყლებში, განსაკუთრებით, კუნძულების მახლობლად, მწუხრისას წყლის ზედაპირზე ამოდის, მაგრამ ცისკარზე 3700 მ სიღრმეზე ჩადის წყალში და მზის ჩასვლამდე იქ რჩება.
7 ზღვის ლოქორა (ლათ. Liparidae, Liparis liparis) — გავრცელებულია ატლანტის ოკეანის ჩრდ. ნაწილში 7000 მ-ზე მეტ სიღრმეში.

ადგილას რჩება, თავად მე კი სიყვარულის ფრთებს მივყავარ მასთან. მისი სურნელი მივებს ნესტოებს და ვარამისფერ სევდას მიღვრის ძარღვებში. მერე გულს დამისუსხავს უცხო სიცივე და ყინულით მიწვავს: არ სუნთქავს!

„მიყვარხარ, მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლე! შენ არსებობა ხარ ჩემი!“

დავიხრები, ლალისფრად დაფერილ ბაგეებს რომ კოცნა მოგწყვიტო. ტუჩებს მიწვავს ყინულის სუსხი.

ცივია, ყინულივით ცივი არიან ბაგენი მისი, ხოლო ქვასავით გვკრივი არის მისი სხეული. მერე მკონება მინათდება და საფეთქლებში ავბედი-თი ფიქრი ზარად ჩამორეკს: თოჯინაა! პატარა თოჯინაა, საგანგებოდ, ლოპოტის თეთრი მარმარილოსგან მე თვითონვე რომ გამოვაკვეთინე. აქ, ამ აკლდამაში დავასვენე, საკუთარ სახლში რომ ავიშენე და გარდაცვლილი საყვარლის სამლოცველოდ გავიხადე. თოჯინა, ლოპოტის მარმარილოს პანანინა თოჯინა!

სანოლის პირდაპირ არავითარი ფანჯარა არ არის. ამ ოთახში, ერთ დროს — დიდი, დიდი, დიდი ხნის წინათ, ვიდრე აკლდამად გადაიქცეოდა, ყოველ ცისკარზე დიდი ფანჯრიდან მზე საგანგებოდ გვიძვნიდა საღამოს სიყვარულით ნაბახუსევით, ხოლო შემწუხრებისას მთავრე, ბეთოვენად გარდასახული, ჩვენი სულის შემხვერვაკვი სიყვარულის სული მასულდგმულებელი და ერთგული მფარველი დარაჯი იყო, ოდეს ფანჯრის იქით ნაბლი და ქარი, ჩვენი სიყვარულით მთვრალი, ერთმანეთის სიყვარულით იფერფლებოდნენ.

მაგრამ ეს იყო დიდი, დიდი, დიდი ხნის წინათ. ახლა კი ვხედავ, როგორ ვდგავარ ცივ, დიდი კელაპტრის მოკანკალე შუქით ჩაბნელებულ უსარკმელო აკლდამაში და როგორ დაპაუპუბით მცვივა თვალებიდან ყინული ცრემლად.

კარს უკან ხმაური მესმის. ნელში ვიმართები და შემოვბრუნდები. კარისკენ მივდივარ, გამოვალვებ და სასტუმრო ოთახში აღმოვჩნდები. მარტოდმარტო! ბუხრის წინ მაგიდა სამ კაცზე გაუშლიათ. მაგიდის ცენტრში, ვერცხლის შანდალში შვიდი სანთლის თავზე ცეკვავს ცეცხლი. მაგიდის წინ, მეოთხე, უსტუმროდ დატოვებული გვერდის წინ ტურა დასკუბებულია და ფეხს არ იცვლის. მერე ნამოდგება და მხოლოდ ახლა ვცნობ: ამბროჯოა, ტურისთავიანი ამბროჯო! „ანუბისი, ღმერთო ჩემო, ანუბისი!“

ბუხარში უცხო ძალით გიზვიზებს ცეცხლი. ხმაურით ნთქავს შემას. იგია, რომლის ხმაური შემოსწვდა ყურს აკლდამაში. ცეცხლია სწორედ, რომელიც ბუხრიდან გამოჭრას ლამობს. ეს-ეს არის, გამოიჭრება!

მაგრამ წყნარად, უმტკივნეულოდ, თავისთავად, ბუნებრივად გამოდის ბუხრიდან: ოთახში არსებულ საგნებში პატარ-პატარა ნაპერწკლები ინთებიან და პატარ-პატარა ცეცხლებს შობენ. ასე მთელ ოთახს წყნარად, უმტკივნეულოდ, თავისთავად, ბუნებრივად ხანძრის ალი ედება, მთელი ოთახი აალებება და ერთ დიდ, საყოველთაო ხანძრად იქცევა. ფიქრადაც არ მომდის, ფეხი მოვიცვალე, სადმე წავიდე, თავს ვუშველო. ესეც არ იყოს, თვით სახლის კარი გადაქცეულა ერთ დიდ კოცონად და ფანჯრის მიღმა ნიფელსაც ვარჯად ცეცხლი დასდგომია თავს.

სარკეს შეეყურებ. ოთახს ირეკლავს, მაგრამ — არა ცეცხლმოდებულს, არამედ სასტუმრო ოთახს, სადაც გრძელი მაგიდა სამ სტუმარზე გაუშლიათ. მაგიდის ცენტრში, ვერცხლის შანდალში შვიდ სანთელს თავზე უცეკვავს ცეცხლი. მაგიდის ცენტრში ფაიფურის დიდ თევზზე ნუშის ცომისგან გამომცხვარი, ხუთსანტიმეტრიანი დიამეტრის მრგვალი გაჭყლებილი ნამცხვარი დაუსვენებიათ: „შესვენებულთა ცერცვი“⁸. გრძელ მაგიდას ბოლოში თეთრ,

8 Fava dei morti (იტალ.) — „გარდაცვლილთა ცერცვი“. აპენინის ნახევარკუნძულზე დღე-

მირანდა ბოლდარძიშვილი

სიყვარულის მათემატიკა

მინდა, შენს თვალებთან გატოლება, ვეძებ, რა ფორმულით აიხსნები, მრავალცვლადიანო განტოლებავ, პლიუს უსასრულო ხარისხებით....

შენი მზერის ყველა მახვილ კუთხე მართი კუთხითა მაქვს გაკვეთილი, უკვე მერამდენედ დაგიზუთხე — როგორც საზეპირო გაკვეთილი...

ახლაც, შენი გულის წერტილიდან, ერთი რადიუსის ვხატავ წირებს, ეს წრფე(ლი)ც ისეთი წყვეტილია, უკვე მათ გადაბმებს შევეწირე.

ელდარ ჭიჭიაშვილი

ქათქათა საქორწილო კაბაში გამოწყობილი მზეთუნახავი უზის, ხოლო თავში — რაინდი, რომელსაც სახეზე სიხარულის ნაცვლად მწუხრისფერი გადაჰფენია. მათ შორის, ბუხრის წინ ლომისთავიანი ქალღმერთი დაბრძანებულია, როგორც ორთა შორის იღუმალი ქორწინების მფარველი და შემოქმედელი: სეხმეთი! დიდი სეხმეთი, პტაჰის მეუღლე, დედა-მშობელი ნეფერტუმისა!

სარკე მის ზურგს კი არ გვაჩვენებს, არამედ — ფიქრადმოღვრილ სახეს ლომისას, რომლის თვალებში პლატონისეული ერთი დაილანდება.

სამივეს წინ ხუთსანტიმეტრიანი დიამეტრის ნუშის მრგვალი თითო-თითო ნამცხვარი უძევს თევზზე, ხოლო ჭიჭებში სისხლისფერი ღვინო ნითლად კიაფებს.

მერე ფერი ეცვლება იდილიას. ნეფე-დედოფლისა და საგნების სილუეტები საზღვრებს კარგავენ, ერთმანეთიდან გამოდიან და ერთურთს ერწყმიან.

სეხმეთს სახეზე გულისწყრომა ცეცხლად აენტება, ქარად მოავლენს ცეცხლისმიერ სუნთქვას თვისას და სხივებს, რომელთათვის მამამისს მზე-რას მის მალემსობოლვება გადაქცევა უბრძანებია, მხოლოდ ნვა და სიკვდილი მოაქვთ. უყურებს ერთხანს. ქვეყნიერება ნალვერდლად რომ იქცევა ოდენ, მრისხანე სახით ცად აიჭრება და სადღაც ზემოთ, ჰორიზონტს მიღმა თვალს მიეფარება.

სადაც შორს, შორს, სარკეში, ნალვერდლის ოკეანის მიღმა, ერთი დიდი, ნაპირუპოვნელი, ჰორიზონტს მიბჯენილი ოკეანე ალაჟვარდებულა. ბრინჯაოს ჰორიზონტი კარიბჭეს უხსნის ოკეანეს იქ, სადაც დუაბს⁹ ორი ბუმბერაზი დარაჯად დასდგომია. ფსკერუბოვნელ სილაჟვარდეს თავზე ლალად დაჰფრენს ბორა, წითელი ძერა. ცად აიჭრება, მერე ტყვიასავით დაენარცხება მლეღვარე ზვრითებს ოკეანისას, რათა ფრთები დაისველოს და ახალი ძალით ისევ ცაში აიჭრას კვალად: ნეფთი, საიქიოს ქალღმერთი! ის ხომ არაა, ასე სიყვარულით, უბოდიშოდ, ვითარცა თვისი ჩემი, ასე სათნოდ რომ მიხმობს?

რალაც უცნობი ჰანგი დაირხევა ოკეანის შუაგულიდან. ქალის ხმა: ყინულივით მწველი, სიყვარულივით მაცთუნებელი და ანდამატივით მიმზიდველი. ოკეანის შუაგულში იზადება, ოკეანეს გადმოლახავს, ნალვერდალთა ზღვას გამოივლის, სარკიდან გადმოიღვრება და ხანძარმოდებულ ოთახში სურვილითა და სიყვარულით მავსებს, მაცთუნებელი სიყვარულით.

ხანძრის შუაგულში შევაბიჯებ დაუფიქრებლად, თავად აღმოვდებულნი.

სარკეში შევაბიჯებ ასე იქ, სადაც უცხო სამყარო მელის და ნატურისფერი სირინოზი სიკვდილივით ტკბილი, სანატრელი სიმღერით მიხმობს.

მდეა შემორჩენილი ჩვეულება, გარდაცვლილთა დღეს ოჯახებში აუცილებლად ჰქონდეთ ეს ნამცხვარი.

9 დუაბი — ეგვიპტური მითოლოგიის მიხედვით, გარდაცვლილთა სამყარო ცაში, რომელსაც ორი მცველი იცავს.

ამდენ ხარისხებში აყვანილის, მიჭირს შენგან ფეხვის ამოღება, თავი, ბევრჯერ ხელში აყვანილი, უშენოდ აღარსად არ მომყვება.

ჩვენი კათეტები რომ შევამდეს, გინერ პითაგორის თეორემას, შენ რომ მიმატოვო, ან შეგავჯერდე, მე თავს შეგაყვარებ მეორედაც.

ტანგენს-კოტანგენსში ახლართული ტანგო ვიცეკვით და გავაბოლებთ, ვეძებ შენს თვალებში კვადრატული ყველა განტოლების პარაბოლებს.

მოდი, უსასრულოდ გაქციო, ან ამოგხსნა, მეტი არ გაგრიტმო, ჩემო სიყვარულის აქსომავე, ჩემო ერთადერთო ალგორითმო!

ელდარ ჭიჭიაშვილი

საიდან მოხვალ, სად მიხვალ, ჩამონაქროლო ნიაგო? ვის ბაგეს დასცდი, ვის სულთქმას წყაროს პირს, ლერწმის შრიალო? იქნება ბოლო სუნთქვა ხარ, დუმილის თანაზიარო, ნახვალ და გამიფრინდები, უშენოდ როგორ ვიარო? უშენოდ მუჭა მტვერი ვარ, უშენოდ მინა მქვიარო, სანთელი, ერთი შეხერვა, ჰაერი, უსაგზლიანო!

ახსოვსწრეს ბელოვანის ჰორცრეცისთვის

მიხატე, ჩემო მხატვარო, ყმანვილკაცობის წვიმები! ხედავ, შენს ფერთა სამყაროს მეც წვიმის ღრუბლად მივები! რა ვუყოთ, ზამთრის მინანქრებს თუ ხან აწვიმს და ხან ათოვს, ფერებში, შენმა სილაღემ მზის სხივად გაამანათოს! მანვიმე, წვიმად ვილოცებ, ვიქნები ამის მსურველი, თუ გამომყვება ტილოზე შენი თითების სურნელი!

მიღსურნელო...

ლეილა ბაგრატიონ-ბაბადიშს

მიესურნელა სუნთქვა რტო-ვარდთა ბაგეთა შრომანს, შუბლთა აღმასებს, ფრესკად შემორჩა ბაგრატიოვანთა სევდა მეფური და სილამაზე! რას მდუმარებენ სარკოფაგები, საით განილტვენენ ჟამთა ჰუნენი, ბაგრატიოვანთა სისხლით ნაგები, ვის მიეკედლენ საუკუნენი? დაამშვენებდა შუბლს, საგვირგვინეს ჯილა დედოფლის და დიადემა, გააბრწყინებდა მზეთამზე ივერს ბაგრატიოვანთა სიბრძნე და კდემა!

მწყნრობის მარშის...

საუფლო შუქი, მწუხრფერ მარმარის, ცით მოფინა ვარძიის ქვაბთა, თითქოს იმ შუქში დიდი თამარის სულის ცად ასვლა გამოიხატა. და იდგა ღამე — მთვარის ნატეხი, ვით მოგონება ბავშვობის დღეთა, სადაც, მტკვრის პირზე, ფოთოლი ვერხვის ათრთოლებული შემოხეხლეთა! ვხედავ, ღამის ცას მოსწყდა აქატი და უკუნ მწუხრში გაიკიფა, მეძვირფასება უფლის ნახატი, ცით რომ გვეუწყა ასე იაფად, ჰგავდა შენს მზერას ეს მწუხრის ფრქვევა, მთვარის შუქ-ვერცხლის ვარაყთა ქება, შენი სურვილი რომ სული ელევა, მაგრამ ღამის არ ემეტება! კიდევ სადამდე გეყოფა ძალა, მკერდზე ფლოქებით გადაშიარო, მაინც ამ გულში დარჩები მარად, უფლის საუნჯედ, ადამიანო!



ვახტანგ ხარჩილაძე

რა ც დღეს საქართველოში ხდება, ეს ის ბედნიერი შემთხვევაა, როცა ხელისუფლებისა და მოსახლეობის დიდი უმრავლესობის პოზიცია აბსოლუტურად ემთხვევა ერთმანეთს. ხელისუფლება მტკიცედ და პრინციპულად იცავს ქართული სახელმწიფოს ეროვნულ, სახელმწიფო ინტერესებს და მიუხედავად სხვადასხვა

გამოჩენი ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე ვახტანგ ხარჩილაძე დღეს 75 წლისა გახდებოდა. სამწუხაროდ, უდროოდ წავიდა ამქვეყნიდან ეს გამოჩენილი, ნიჭიერი მწერალი, რომელსაც კიდევ ბევრი საინტერესო ნაწარმოებისა თუ პუბლიცისტური ოპუსების შექმნა შეეძლო.

ძალების მუდმივი ზენოლისა და ნენი-სა, მას ერთი წუთით არ გადაუხვევია ერთხელ არჩეული გზიდან და რაიმე სახის კომპრომისზე არ წასულა. ამ უაღრესად რთულ და არეულ სიტუაციაში, როცა მიზეზთა სხვა-თა და სხვათა გამო, ლამის ნახევარი მსოფლიო ერთი საერთო პლატფორმის გარშემო ერთიანდება, უაღრესად ძნელი და სარისკოა, შენი სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესებიდან გამომდინარე, მიიღო განსხვავებული გადაწყვეტილება და მერე ეს გადაწყვეტილება უშიშრად დაიცვა, დაიცვა და არ შეგეშინდეს იმის, რომ ამას შეიძლება შენი პოლიტიკური კარიერა შეენიროს. ლ ხელისუფლებამ უნდა დაიცვას თავისი ხალხი, მაგრამ ასევე ხალხმაც უნდა დაიცვას თავისი ხელისუფლება და ათასნაირი ჯურის ვიგინდარებს და ავაზაკებს მისი უსამართლოდ ლანძღვა-გინების, მისი დევნის და შევიწროების უფლება არ უნდა მისცეს! საქართველო გზაჯვარედინია, გზაჯვარედინს კი ორი ფუნქცია აქვს

გასკდება ერთხელ ეს ცა ბუმბუტით, ვეღარ დაიტევს ჩვენს მრისხანებას. ვეღარ დაიტევს სიტყვებს მძვინვარეს, ზიზღსა და კრულვას ვეღარ დაიტევს. დაუნდობელი, გაუცინარო, კაცთა მოდგმაო, მიხვალ საითკენ. სისხლით ეს გული რით ვერ იჯერე, ბალღამში სანამ უნდა ინვალო. შენ სიძულვილის გამო ისჯები, უსიყვარულო დედამინაო. მაინც დაემარცხდი ბედისწერასთან, თუმც თავის დახსნას ბევრჯერ ვეცადეთ. ადის ზეცამდე ჩვენი წყევლა და ვერ ადის ჩვენი ლოცვა ზეცამდე.

ნიცყები

მე იმ ერთადერთ სიტყვას დავეძებ, ის ერთადერთი სიტყვა მიშველის, სიტყვა, ბგერგებით გამოუთქმელი, ლექსიკონებში აღუნიშვნელი, რასაც ვერ დაშლის გრამატიკოსი, ფუძედ, თავსართად, თემის ნიშნებად. სიტყვა, რომელიც არ გაიყოფა და მარცვალ-მარცვალ არ დაიშლება, სიტყვა, რომელსაც სიტყვით ვერ ახსნი, სიტყვით ვერ იტყვი და ვერ გამოთქვამ, სიტყვა, რომელიც შედგენილია, დილის შუქიდან და საღამოდან. ის, ჩვეულებრივ, სიტყვების შუა დევს პაუზად და მრავალწერტილად. დაბერებულან ჩვენი სიტყვები, როგორ დაღლილან და გაცვეთილან. ვერ შეისწავლი მათ ფონეტიკით და ვერც წერილად მისწერ გულისხმობს. ეს ის სიტყვაა ხმადალა თქმული, სიტყვების იქით რასაც ცვლისხმობთ. მე იმ ერთადერთ სიტყვას დავეძებ, ის ერთადერთი სიტყვა მიშველის, სიტყვა ბგერებით გამოუთქმელი, ლექსიკონებში აღუნიშვნელი.

ბოლო რიც

ქანაობს მინა და ირხევიან შემკრთალ მინდორზე მდგარი მწყემსები. აყვავებული ტანი ხეივნის, ირხევა ნელა და ინენება. ქანაობს მინა და აჩხრიალებს რიყეს, კუბოს და ხავსიან კრამიტს, ბნელდება უცბად და მოშრიალე ცოცხლებს აშინებთ სიკვდილის ჩქამი. ქანაობს მინა და არხევს მზისკენ გაფრენილ ქედებს, ცას და ვარსკვლავებს, ჩვენც გვახსენდება, რომ არცთუ ისე მყარად ვდგავართ და შიშით ვკანკალებთ. კანკალებს მინა და მაღალ ძეგლებს ერყვება ტანი მძიმედ და მკვეთრად, მარადისობის სახელით შექმნილი, იქნება დღევანდელი უმტყუნო ბედმა. დასაწყისია ეს დასასრულის, ახლის და ნორჩის, განუწყვეტელის. ჩვენც, კაცთა მოდგმა, უკვე ზრდასრულნი,

შევისისხლბორცეთ სხვებისგანაც ისე, რომ არ დაგვიკარგავს ჩვენი სახე, ჩვენი თავისთავადობა, ჩვენი განსხვავებულობა.

სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით საკუთარი თავის შესახებ, იმ უძველესი ფესვების და ისტორიული ნიდაგის შესახებ, საიდანაც მოვდივართ, თორემ, უფრო მეტი პატივისცემით და სიამაყით განვეწყობოდით საკუთარი თავის მიმართ, რადგან ჩვენ ერთ-ერთი უძველესი და, ამავე დროს, ბევრი რამით უნიკალური ერი ვართ მთელ მსოფლიოში.

ლ ალბათ, ძალიან ცოტა სახელმწიფომ თუ იცის მსოფლიოში, რომ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც მისი არსებობის მანძილზე არავინ არასოდეს არ უდევნიდა და არ შეუწინაოებიათ ეროვნული წარმომავლობის თუ რელიგიური მრწამსის გამო?!

ეს ხდებოდა მაშინ, როცა დემოკრატიის აკვანი, ამერიკა, არ არსებობდა, არც გაერო, არც ევროკავშირი, არც ადამიანის უფლებათა დეკლარაცია იყო დაწერილი, ხოლო ზოგიერთ ევროპულ სახელმწიფოში, რომელიც დღეს ჰუმანიზმის გაკვეთილებს გვიკითხავს, ადამიანებს ცოცხლად წვაგდნენ კოცონზე.

ევროპაში მხოლოდ მე-20 საუკუნის ათიან წლებში შეძლეს ქალებმა დიდი ბრძოლისა და ძალისხმევით შედეგად მიეღწიათ იმისთვის, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეღოთ, საქართველოში კი ცხრა საუკუნის წინათ ითქვა ეს გენიალური ფრაზა: „ლევკი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.

სახელმწიფოში, სადაც დედა მიჩნეული ქვეყნის ეპიცენტრად და დედაბოძად, ცხადია, მეტი სიყვარულია, მეტი მიმტევებლობაა, მეტი ადამიანურობაა.

ამიტომაც მიდიან საქართველოდან ქართველი კაცის გულწრფელი კეთილგანწყობით, ადამიანთმოყვარეობით სასიამოვნოდ გაოცებული და გაკვირებული უცხოელები, მიდიან და ისევ დაბრუნება უნდათ, როგორც ოდესღაც მიტოვებულ და დაინწყებულ მშობლიურ სახლში.

ლ საქართველოს მტრებო, ტყუილად გაქვთ ამის იმედი – საქართველო „პლანეტების“, ავანტიურისტების, პროვოკატორების, უცხო სახელმწიფოთა ჯაშუშების და აგენტების, ჩვეულებრივი გიჟებისა და ფსიქოპათების ჭკუაზე არ გაივლის. **საქართველოში ომი არ იქნება არც ახლა და არც მომავალში!** 2022 წელი

წყნად მდებარე

მესიზმრა, თითქოს ჩიტი ვიყავი და ლამის ფერმკრთალ ცაში დავფრენდი, ვარსკვლავებს შორის დავფრენდი დიდხანს და ცხადად ვგრძობდი მათ სიმზურვალეს, ხოლო ღრუბლები, მთვარის სხივებით განათებული ყვითლად ღრუბლები დაფარფატებდნენ ჩემს ქვემოთ მშვიდად, ვით კუნძულები ფერად-ფერადი – ოკეანეში მოხეტიალე, ჩიტი ვიყავი, მაგრამ სიზმარში ისიც მახსოვდა თუ ვინ ვიყავი — მახსოვდა ჩემი გვარიც, სახელიც და დაბადების წელიც მახსოვდა, ისიც მახსოვდა, რომ მიტოვებულ დედამინაზე დამრჩა შვილები — უსაყვარლესი ჩემი ბარტყები, რომლებიც, ალბათ, მეძახდნენ ახლა, მეძახდნენ, წუხდნენ და მომელოდნენ. მე კი, მე ახლა ჩიტი ვიყავი და საქართველოს ცაზე დავფრენდი, ქვემოთ ვერცხლისფრად ჩანდა მყინვარი, იქით უჯარმა და ალავერდი. აი, ეს იყო ჩემი სამშობლო, ეს რუხის ციხე და ეს გელათი, გულისტკივილით ვისაც განემორდი, ცა კი საერთო იყო ყველასთვის. ყველას მამული საყოველთაო, რომ არ ეკუთვნის ცალკე არავის, ქვემოთ ელავდა ჩემი კვეთარი და გუგუნებდა ჩემი არაგვი. ... წუხელ მესიზმრა: ჩიტი ვიყავი და საქართველოს ცაზე დავფრენდი, დიდხანს დავფრენდი და დავიღალე და შემეშინდა, რომ ვერასოდეს ვერ მივალწვედი დედამინამდე და ამ შორეულ და ამ უდაბურ ცის უღრანებში ჩავინთქმებოდი. მე შემეშინდა ცაში სიკვდილის, არავისი და არვისი მხარეში და მთვარის სხივთა სინარჩარეში სამშობლოსაკენ დაბლა დავეშვი. თუ სამშობლომდე ვერ მივალწვედი, თუ ვერ ვნახავდი საყვარელ გამზრდელს, აქ სიკვდილს მაინც სჯობდა სიკვდილი სამშობლოსაკენ მიმავალ გზაზე... წუხელ მესიზმრა...

* * *

ვერა გავანწყეთ ბედისწერასთან, თუმც თავის დახსნას ბევრჯერ ვეცადეთ, ადის ზეცამდე ჩვენი წყევლა და ვერ ადის ჩვენი ლოცვა ზეცამდე, ვერ დაგანყნარე და ვერ გიშველე, ვერ მოვუვლინე შენს სულს მშვიდობა, წყევლისგან არის ეს ქარიშხლები და ცრემლებისგან ეს წყალდიდობა. ო, რა სასტიკი და რა კუმტია, განკითხვის ბოლო დღეთა ზმანება.

მომავლის იქით აღმოცენდებით, როცა მიაღწევს თავის სიმაღლეს ხე კვდება, რადგან არ ძალუძს გაზრდა. და თუ მივდივართ, ჩვენც წუ ვინაღვლებთ, დასრულებულა საფაი გზათა. შენ სტირი, ცრემლი გიდგას თვალებში, რომ სიყვარული ვერ მოვასწარით, მაგრამ დრო გავა და სხვა მხარეში კვლავ აიგება ლურჯი ტაძარი. ცა განათდება, სხვა მზით ნაქარგი და ისევ შეცვლის დილა ღამეებს, იმ სიყვარულით, ჩვენ რომ დავკარგეთ, ერთმანეთს სხვები შეიყვარებენ. ქანაობს მინა, ცეკვავს და როკავს, ნაპირებიდან ღამე გადმოდის, დარჩეს პატარა ბიჭი და გოგო, დანარჩენები ყველა წამოდით... ჩამკიდეთ ხელი, ჩვენ ერთად წავალთ, რამეთუ ერთად ვიყავით დღემდე, ჩამკიდეთ ხელი, ჩვენ ერთად წავალთ, რომ თითო-თითოდ დავბრუნდეთ შემდეგ.

ბერი ყოვლები


ბერი კოლხები თიბავდნენ ბალახს, გამოლოვდათ ჯანი და ღონე, ბერი კოლხები თიბავდნენ ბალახს, საკუთარ ლანდსაც თიბავდნენ ხოლმე.

ასე ეგონათ, სერებად გაშლილ დღეებს თიბავდნენ, შებურვილს ნისლით და გუბდებოდა აგვისტოს ხვატში, ერთი მინდორი ბალახის სისხლი.

ბერი კოლხები მღეროდნენ ჩელას, მერე ბალახად დგებოდნენ თვითონ, და მოსდგომოდა პრიალა ცელი მზეგადასული სიცოცხლის მინდორს.

ლოცვის ვიწახე ქალი ყაფში იყდა

დღეს ვილაც ქალი ყაფში იჯდა, მელოტი კაცი მოესვა გვერდით და თვალებს, როგორც გაბზარულ ფინჯანს, გამოჰპარვოდა ბრჭყვილა წვეთი ცრემლის და შუქი ედგა ფარული, მის თმებს, ოქროსფერს, იდუმლად მბრწყინავს, სხვა რამ არ ჰქონდა ქალს სამკაული, მხოლოდ ეს ცრემლი შეენოდა მძივად. რისთვის გვინდოდა, რის გამო, რატომ, სტიროდა სხვისი ცოლი თუ რძალი. სარკმლიდან ჩანდა მტირალა მარტი, ჭადრის ტოტები და წვიმის ტანი, ცეკვავდნენ ტანგოს, ელავდა ბროლი, ისმოდა ჩუმი შრიალი ფარდის, სტიროდა სხვისი რძალი თუ ცოლი, ჩვენ კი ვმღეროდით და ღვინოს ვსვამდით, ბოლოს შეგვხედა ქალმა ვედრებით, თითქოს რალაცის გამხელა სურდა. ჩვენ არ გვეცალა. ბედნიერები მოუცლელეები არიან მუდამ.



წერილი არჩილ ქიქოძეს

მოგესალმებით, ბატონო არჩილ!
 უკვე ხელთ მაქვს – „რეპრესირებული მწერლები“ – ნიგნი-ალბომი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა და საგანგებოდ მიმდევრა მწერალთა სახლში გახსნილ მუზეუმს, სახელწოდებით „რეპრესირებული მწერლები“; ამ ნიგნი-ალბომს ერთვის თქვენი მიმოხილვით წერილი საბჭოურ რეპრესიებსა და რეპრესირებულ მწერლებზე;

თავიდან, ვიფიქრე, თქვენ, ბატონო არჩილ, მე ვინ ვარ, რაიმე რომ შემოგებდით ასეთ სახელოვან მწერალს-მეთქი, მაგრამ... დიდი ყოყმანის მერე მაინც გადავწყვიტე, რომ ერთ-ერთ ფაქტობრივ უზუსტობაზე მიმინშნებინა.

მართალია, ამ წერილის ადრესატი, ბატონო არჩილ, თქვენ ბრძანდებით, მაგრამ... რაკი საჯაროდ მოგმართავთ ამ ეგრეთ წოდებული ლია წერილით, მინდა ეს წერილი იმ ლიტერატორებმა და ლიტერატურის ისტორიის იმ მკვლევრებმა ნაკითხონ, ახლა რომ გაიგეს და აღმოაჩინეს კოლაუ ნადირაძის ლექსი „25 თებერვალი“, ლამის ყველამ რომ დაიზებინა და ყოველი წლის 25 თებერვალს (მხოლოდ ამ დღეს) სხაპასხუბით წარმოთქვამს; არა, ეს ამბავი განა ცუდია, პირიქით, კარგაცაა, ხშირად თუ გაიხსენებენ უკანასკნელი ცისფერყანწელის შემოქმედებიდან ამ გამორჩეულ ლექსს, მაგრამ ამ ლექსის დაწერისა და გამოქვეყნების ამბავიც თუ ეცოდინებათ, ისეც არ იქნება ურიგო საქმე;

თქვენ, ბატონო არჩილ, წერილის დასაწყისში კოლაუ ნადირაძის ლექსს ასხენებთ და აღნიშნავთ:

„თოვდა და თბილისს ებურა თალხი, სდუმდა სიონი და სდუმდა ხალხი“...

„ყველამ ვიცით რეპრესიებს გადაარჩენილი „ცისფერყანწელი“ კოლაუ ნადირაძის ეს ლექსი, მაგრამ მე სულ ამას წინათ გავიგე, რომ 1969 წელს დაწერილი ეს ლექსი პოეტმა სიბერეში, 1980-იან წლებში გამოაქვეყნა, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი ისეთ სტაგნაციაში იმყოფებოდა, საიდანაც გამოსვლა აღარ ენერა და მაინც, ლექსი, „25 თებერვალი“ პოეტს კინაღამ მწერალთა კავშირიდან გარიცხვად დაუჯდა და თავის მართლებაც მოუწია. ამდენად დიდი იყო დუმილის და კოლაბორაციონიზმის ჩვევად ქცეული ინერცია“;

ჰოდა, არ ვიცი, ვინ როგორ აზრს გამოიტანს, ამ ფრაზების ნაკითხვის შემდეგ, მაგრამ მე ასე ვვიგე, რომ მოხუცმა კოლაუმ აიღო და თვითონ დაბეჭდა ეს ლექსი და მერე კი თავი გაიმართლა;

ვისთან გაიმართლა თავი და რატომ? სად, რომელ გამოცემაში დაიბეჭდა და რა მოხდა რეალურად.

ეს ამბავიც, ასე მგონია, ყველამ ზეპირად იცის, ამიტომაც არ ვაპირებდი, ეს ამბავი თავიდან მომეყვინა, მაგრამ, როგორც ჩანს, ურიგო არ იქნება, თუკი კვლავ შევასხენებ საზოგადოებას.

თავიდან გაზეთ „თბილისში“ გამოვაქვეყნე, მერე, მოგვიანებით, მწერალთა კავშირში გამართული იმ სხდომის ოქმიც მოვიძიე, სადაც ამ ლექსისა და 90 წლის კოლაუს ამბავი განიხილეს და პირველად ეს მასალა გამოვაქვეყნე ნიგნი „უკანასკნელი ცისფერყანწელი“, (57-63გვ.) გამომცემლობა „არტანუჯი“, 2015 წელი.

კოლაუს ეს ლექსი შემთხვევით დაიბეჭდა. უკანასკნელ ყანწელს თვითონ არსად, არცერთ რედაქციაში არ მიუტანია, არც მოაფიქრებოდა ასეთი რამ პოეტს, თუმცა, სიმართლე უნდა ვთქვა, რომ ... უსაზღვროდ იყო გახარებული, როცა ეს ლექსი გაიპარა კრებულში „პოეტის ათასი სტრიქონი“

(გამომცემლობა „მერანი“, 1985 წელი) – ხომ ჩავეცი კომუნისტებს ლახვარი ზურგში! – მითხრა და მომიყვა, როგორ დაიბარეს იქ, სადაც ჯერ არს და დაკითხეს ახალგაზრდა ჩეკისტებმა – მაინც რად დაწერე „შემოდოდა სიკვდილი ცელით“?! – რომ მკითხეს, მიუხედავად იმისა, რომ სიმართლეს ვწერდი და, აბა, რაღა ახლა უნდა დამენერა სიცრუე-მეთქი?! ასაკმა გადამარჩინა, თორემ ნამდვილად დამიჭერდნენ! – ესეც მითხრა და გაიხსენა, როგორ გაიმართა მაშინდელ მწერალთა კავშირში გამგეობის საგანგებო სხდომა.

ისე, ძველი დრო რომ ყოფილიყო, კოლაუს აუცილებლად გარიცხავდნენ მწერალთა კავშირიდან, ახლა კი უთქვამთ, ამ სხდომას ნუ დაესწრებთო! და ... არც დასწრებია!

რეპრესიების წლები რომ ყოფილიყო, ალბათ, ვერც ასაკი უშველიდა, როგორც თავის დროზე ვერ უშველა ვერანაირმა მონანიებამ პაოლოს, ტიცინას, ვერც მიხეილ ჯავახიშვილს.

ჰოდა, ახლა კი, ლამის ნახევარი საუკუნის შემდეგ, კოლაუს მონანიების ჯერაც დადგა: საინტერესოა, თუ რა მოხდა მწერალთა კავშირში 1985 წლის 3 სექტემბერს...

როგორც კოლაუს ვაჟი, ნუგზარი, იგონებს, მწერალთა კავშირში ყოფილან, როცა კავშირის მაშინდელ თავმჯდომარე შოთა ნიშნიანიძეს უთქვამს კოლაუსთვის, ცოტა ხანში მწერალთა საგანგებო სხდომა დაიწყო, სადაც თქვენი საქმე განიხილება და უნდა დაესწროთ. მერე შოთა ხოზე ადვიშვილთან მისულა, რაღაცა უთქვამს და ჩქარი ნაბიჯით წასულა... ის იყო შოთა თვალს მიფარა, ხოზე ჩვენთან მოვიდა და გვითხრა: სხვათა თანდასწრებით მოიტყა შოთა ასე, თორემ თქვენ, ბატონო კოლაუ, ნუ დაესწრებთ ამ კრებასო.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის სხდომას, რომელიც 1985 წლის 3 სექტემბერს გაიმართა, შოთა ნიშნიანიძე თავმჯდომარეობდა. ესწრებოდნენ ჯანსუღ ჩარკვიანი და თამაზ ჭილაძე. მდივანი – რეზო კვერცხილაძე.

დღის წესრიგში, სხვა საკითხებთან ერთად, პირველ საკითხად, როგორც ოქმის (№25) ჩანაწერიდან ვიგებთ, ნ. ნადირაძის საკითხი იხილებოდა და ... ნ. ნადირაძის ავტოგრაფის დაბეჭდვის შესახებ აზრი გამოთქმეს;

შ. ნიშნიანიძე: გუშინ ჩემთან, როგორც მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარესთან, მოვიდა პოეტი ნიკოლოზ ნადირაძე და, როგორც აღსარება, ისე გამანდო შემდეგი:

ნიკოლოზ ნადირაძის განცხადება:

ცუდად გახმაურდა ეს ჩემი ლექსი, რომელიც, მართალია, 1966 წელს დავწერე, მაგრამ, დამიჯერეთ ამ ხნის კაცს, არც კი მახსოვდა. გამართლება არა აქვს ამ ფაქტს, მაგრამ მაინც აგისხნით, რა ვითარებაში დაიწერა ეს ლექსი. იმ დღეს პაოლო იაშვილის თავის მოკვლის დღე იყო. რამდენიმე მწერალთან ერთად, შ. დემეტრაძე იქ იყო. ქაშვეთში წავიდეთ, გრიგოლ ორბელიანის საფლავი ვინახულებთ, მათი სულის მოსახსენიებელი დავლიეთ, კარგად შეზარხობებულნი დავიშალენ. სახლში მიმეყვა ეს განწყობილება, გამახსენდა ყრმობის დრო, პაოლოსთან ერთად გატარებული დღეები, ტირილი ამივარდა...

ასეთ კრიზისულ წუთებში დავწერე ეს ლექსი, ლექსად კი არ ვთვლი სინამდვილეში. წუთიერი სულიერი კრიზისი გადმოვანთებე ქალაქში, ვაჩუქე შ. დემეტრაძეს, მივიწყებულე მქონდა.

ვინც ეს ლექსი გამომცემლობაში მიიტანა, ის კაცი არის ყველაზე ბოროტმოქმედი, ავისმზარახელი როგორც ჩემ მიმართ, ასევე სახელმწიფოს მიმართ.

ბრალს ვდებ გამომცემლობას, მე რომ ცოცხალი ვარ, რატომ ჩემთან არ მოვიდნენ. ჩემი არქივი მე მაქვს, ვიღაც ავის-განმზარახელმა მისაწავლა მაგათა, რომ მუზეუმში ინახებოდა ეს ავტოგრაფი. თუ ფაქსიმილე სჭირდებოდათ, რატომ ჩემთან არ მოვიდნენ?

მე რომ თავად ცუდი განზრახვა მქონოდა, შემეძლო, მოდიხდებოდა ჭკუანაღრძობი ხალხისათვის გადამეცა ეს ლექსი ან ამ თხუთმეტი წლის მანძილზე რაღაცას ჩავიდენდი საძრახისს...

შ. ნიშნიანიძე: ნ. ნადირაძე თვითონ ძალიან წუხს, სინდისი ქენჯნის, მაგრამ ეს ისეთი ფაქტია და ამას ვამბობ, როგორც მოქალაქე, თავმჯდომარე, თქვენი კოლეგა, ეს იმდენად ამაზრზენი ფაქტია, არავითარი გამართლება არა აქვს.

ის შეძრწუნება, ჭირის ოფლში გავლა, რაც დაკავშირებულია ამ ლექსის ნაკითხვასთან, არასოდეს დაავიწყდება იმას, ვისაც ეს ფაქტი გაახსენდება.

ჩვენ ნ. ნადირაძეს ვთხოვეთ, მოსულიყო სამდივნოზე, მაგრამ 93 წლის კაცი ფიზიკურად დაუძლურებულია და სკლეროზიც მოჭარბებული აქვს. ეტყობა, ამიტომ ვერ გამოცხადდა.

ჩვენ, როგორც მის კოლეგებს, სრული მორალური უფლება გვაქვს, ასეთი დანაშაულის, შეცდომის გამო ნ. ნადირაძე ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე გავრიცხოთ მწერალთა კავშირიდან. მაგრამ შემოქმედებითი ინტელიგენციისადმი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის სათუთი და გულისხმიერი დამოკიდებულებით უნდა იხსნას ის, რომ ამ ზომას არ მივმართავთ.

ვითვალისწინებთ რა ღრმა მოხუცის ზემოთ მოყვანილ აღსარების, მონანიების სიტყვებს, არ მივმართავთ ამ უკიდურეს ზომას.

ჯ. ჩარკვიანი: მე აღვშოთოდი, როცა ეს ლექსი წავიკითხე. ისეთი იდეური პოეტისგან, რომელსაც აქვს ლექსები „ლენინი“, „მაგზოლუმი“ და სხვა. არ მოველოდი ამგვარ პუბლიცისტას.

სკლეროზულ მოვლენებზე იყო ლაპარაკი. 77 წლის ასაკში, როცა ეს ლექსი დაიწერა, ცხადია, კარგად ვერ იქნებოდა ნ. ნადირაძე. ამასთან ერთად, ვფიქრობ, მთვრალ მდგომარეობაში ყოფნამ, სიყრმის მეგობარი პოეტის მწარე ბედის გახსენებით გამოწვეულმა აგზნებამ დააწერინა. იმასაც დავეძენ: მუზეუმში უამრავი რამ ინახება, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიცეს. ისიც უნდა ითქვას: თავად საშინლად განიცდის ამ მდგომარეობას და ჩვენც მეტი რაღა უნდა ვუყოთ საცოდავ მოხუცს...

თ.ჭილაძე: ჩემი აზრი ემთხვევა შოთასა და ჯანსუღის აზრს. ნ. ნადირაძე შემთხვევითი პიროვნება არაა. ისეთი იდეური ლექსების ავტორისაგან, როგორიცაა მისი „ნითელი მოედანი“, „მაგზოლუმი“ და სხვ. მართლაც საკვირველია ასეთი ლექსის დაწერა.

ეს არაა შეგნებული ნაბიჯი, რადგან მთელ მის ცხოვრებაში არ ყოფილა მსგავსი შემთხვევა. ვიზარებ ჩემი მეგობრების პოზიციას.


დაადგინეს: მწერალთა კავშირის სამდივნო, გამომხატავს რა მთელი ქართული მწერლობის აზრს, უკიდურეს გულსწყრომას გამოთქვამს ზემოხსენებული ფაქტის მიმართ და სასტიკად კიცხავს ნ. ნადირაძეს ჩვენი ასეთი შერცხვენისთვის.

(მასალა მოვიძიე უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების ფონდიდან №8, ჩანაწერი №1, საქმე №3248, ფურცელი 30-33).

... ვერაფერს იტყვი. ამ სხდომის ოქმი რომ წავიკითხე, აბსურდის თეატრი მომაგონდა!.. ისე, რას ერჩი, კი გადაარჩინეს უკანასკნელი ყანწელი...

... რაც შეეხება ლექსის დაწერის ნამდვილ ისტორიას, პოეტმა მიაბზო, როდის და როგორ დაიწერა „25 თებერვალი“:

„1969 წლის 25 თებერვალი გათენდა და მე და ჩემი მეგობრები: შალვა დემეტრაძე, ლელი ხოტივარი, შალვა კამბაძე, ლადო გველესიანი (ახლა არცერთი ცოცხალი აღარაა) ქაშვეთში წავიდეთ, სანთლები დავუწითეთ საქართველოს თავისუფლებისთვის მებრძოლ თავდადებულთა სულელებს, მოვინახულეთ გრიგოლ ორბელიანის საფლავი; კაშხანი შემომანვა გულზე, შინ რომ დაგებრუნდი, დაწერე ეს ლექსი და შალვა დემეტრაძეს გადაეცემა – შენ ჩემზე გაცილებით ახალგაზრდა ხარ, იქნებ ჩემ შემდეგ მაინც დადგეს ლექსის დაბეჭდვის დრო-მეთქი! არადა, შალვა გარდაიცვალა, მე კი ცოცხალი დავრჩი (არ არის ეს სასწაული? – სულ უკვირდა ბატონ კოლაუს!). მისი არქივი ლიტერატურის მუზეუმმა წაიღო, მათ შორის, ჩემი ლექსიც... და, ეტყობა, არ ენება



კოლაუ ნადირაძე, შალვა დემეტრაძე

განგებებს ამ ლექსის დაკარგვა! – ასე მოხდა ეს ამბავი, ეტყობა, ლექსსაც, ადამიანისა არ იყოს, თავისი ბედი აქვს!“ – ბრძანა ბატონმა კოლაუმ.

ისე კი იყო ირონია ბედისა, რომ ლექსი მაინცდამაინც იმ წიგნი დაიბეჭდა, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70 წლის-თავს მიეძღვნა (და ამ ლექსის დაბეჭდვას გადაწყვეტენ გამომცემლობის მთავარი რედაქტორი მამუკა ნიკლაური, მოადგილე იზა ორჯონიკიძე, განყოფილების გამგე გრიგოლ ჯულუხიძე, რედაქტორი ლილა ბეროშვილი, მხატვრული რედაქტორი სპარტაკ ცინცაძე, მხატვარი კარლო ფაჩულია და ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომელი გურამ ვანიძე). წიგნის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ:

„ეს გამოცემა ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს და, იმედი გვაქვს, მკითხველს თუმცა მთლიან ვერა, მაგრამ შეუმცდარ წარმოდგენას მაინც შეუქმნის პოეტთა შემოქმედებით გზაზეც და, საერთოდ, ქართული ლექსის იმ საგანძურზე, რაც საბჭოთა ეპოქით არის შთაგონებული...“

გაგონილა ამისთანა ირონია?

... კოლაუს ვაჟმა გაიხსენა, სრულიად შემთხვევით, რომ მოხვდა მამასთან ერთად ოპერის წინ, წიგნის მაღაზიაში და მაღაზიის გამგემ მოწინებთ მართვა საჩუქრად კოლაუს ახალი წიგნი, რომ კოლაუმ არაფერი იცოდა ამის შესახებ, მოიტანეს თუ არა შინ, გადაუშლია ნუგზარს, წაუკითხავს და გაოგნებულია, ელდა დასცემია:

– გვლუპავ, მამა, დანას გვიყრი ყელში, რატომ გაგვიმეტე ასე?! – მამას გასცინებია და უპასუხებია:

– გლუპავთ?! რათა, შვილო, რათა? შენისთანა შვილი, თქვენისთანა ოჯახი რატომ უნდა დალუპოს მამამ?! –

– აბა, ეს რამ დაგანერინა?

– რაო? – ისევ ჩაეკითხა პოეტი და შვილმა მისი ოდინდელი ლექსი, „25 თებერვალი“, წაუკითხა თურმე...

კოლაუს გასცინებია: კარგად კი დამინერია და რას მერჩიო!

მერე იყო და... „ამერიკის ხმამ“ გადმოსცა ლექსი და ასე გახდა ცნობილი საბჭოური ცენზურის „ჩეპე“... კოლაუ ნადირაძის „25 თებერვალი, 1921 წ.“

... შალვა დემეტრაძე ვერ მოესწრო, ავტორმა კი დიდხანს იცოცხლა და სიკვდილამდე სულ რამდენიმე წლით ადრე კვლავ გამოცხადდა აკრძალულ პოეტად. ასე მოხდა ეს ამბავი!

... ასე მოხდა ეს ამბავი, ბატონო არჩილ!

P.S. მართალია, აღნიშნულ გამოცემაში, სადაც თქვენი წერილია დაბეჭდილი, აღარაფერი შეიცვლება, მაგრამ ამ ლია წერილს, იმედია, ბევრი ნაკითხავს და აღარ გაიმეორებს, რომ „ეს ლექსი პოეტმა სიბერეში 1980-იან წლებში გამოაქვეყნა“.

პატივისცემით
ნიკო ჩხიკვიძე

ნიუ-ამსტერდამი-სა, სტალინგრადისა, წურ-სულთანისა და სხვა რენეიმიზაციის

უამრავი ქალაქი მსოფლიოში, სხვადასხვა დროს ორი ან მეტი სახელი რომ ერქვა სხვადასხვა დროით და სხვადასხვა მიზეზით.

საქართველოს ასეთი ქალაქების სახელების ჩამოთვლა არავის გაუჭირდება: ბაღდათი (მაიაკოვსკი), ფოთი (ფაზისი), ოზურგეთი (მახარაძე), ახალი სენაკი (სენაკი, მისა ცხაკაია, ცხაკაია), მარტვილი (ჭყონდიდი, გეგეჭკორი), დმანისი (ეკატერინოფელდი, ლუქსემბურგი), მარნეული (ლომთაგორა), ბოლნისი (ბაშკინეთი), ხაშური (მიხაილოვო, სტალინისი), თეთრიწყარო (ალბულაღი), დედოფლისწყარო (ნითელწყარო), ნალკა (ბარმაკსიზი), ნინოწმინდა (ბოდგანოვკა), ახალგორი (ლენინგორი), ცხინვალი (სტალინირი), სოხუმი (დიოკურია, სებასტოპოლისი, ცხუმი, სუხუმ-კალე), გარდაბანი (ყარაია), ხონი (ნულუკიძე), ხარაგაული (ორჯონიკიძე), სტეფანწმინდა (ყაზბეგი), მარნეული (სარვანი, ბორჩალო)...

ბევრმა შეიძლება არ იცის, რომ ნიუ-იორკს 1664 წლამდე ნიუ-ამსტერდამი ერქვა. უფრო მეტად არის ცნობილი კონინგსბერგის გაკალინიგრადების ამბავი და კიდევ უფრო მეტად – კონსტანტინოპოლის გასტამბულების ისტორია.

განსაკუთრებით საინტერესოა ასტანის თავგადასავალი: 1961 წლამდე ამ ქალაქს აკმოლინსკი ერქვა, 1961 წელს – ყამირის თავისების ეპოპეის პიკზე – ცელინგრადი დაარქვეს, 1992 წელს კი ძველი სახელი დაუბრუნეს ურუსულსუფიქსოდ – აკმოლა. 1998 წელს, როცა ყაზახეთის დედაქალაქი პოლიტიკური და სტრატეგიული მოსაზრებებით აკმოლაში გადაიტანეს, ქალაქს ასტანა ანუ დედაქალაქი უწოდეს. ყველაზე საინტერესო ამის შემდეგ იწყება: 2019 წლის 20 მარტს ყაზახეთის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა კასიმ-ჯომართ თოყაევი თავის საინაუგურაციო სიტყვაში წინადადება წამოაყენა და 23 მარტს ხელიც მოაწერა განკარგულებას, რომლის ძალითაც ასტანას ყაზახეთის პირველი პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის პატივსაცემად წურ-სულთანს ეწოდა. თანაც სწორედ ასეთი ორთოგრაფიით – დეფისით, როგორც თოყაევის სახელი იწერება, აქაოდა, ორ სიტყვად გაყოფილი ეს სახელი არაბულად ძალაუფლების შუქს ნიშნავს. ჰოდა, 2021-2022 წლების ზამთრის მოვლენების ფონზე, როცა აღმფრთხილებულმა მოსახლეობამ ნაზარბაევის და მისი ოჯახური კლანის პოლიტიკიდან განდევნა მოითხოვა და როცა გავრცელდა ხმა, რომ თითქოს ნაზარბაევიმ ქვეყანა დატოვა, იმავე კასიმ-ჯომართ თოყაევი 2022 წლის 17 სექტემბერს ხელი მოაწერა განკარგულებას და ქალაქ წურ-სულთანს კვლავ ასტანად აქცია.

ჩემი ცოდნით, ეს პირველი შემთხვევა ისტორიაში, როცა ქვეყნის დედაქალაქის სახელის შეცვლა და მერე ძველი სახელის დაბრუნება ერთი ადამიანის ხელით გაკეთდა. ალბათ ეს იმ მხრივაც უნიკალური შემთხვევაა, რომ თავად ის, ვისი სახელიც ქალაქს ჯერ დაარქვეს და მერე გადაარქვეს, ორივე ამ მოვლენას შეესწრო.

ხშირად ხდება, რომ ქალაქს სხვადასხვა თაობა ან სხვადასხვა თნოსის წარმომადგენელი სხვადასხვა სახელს უწოდებს. მაგალითად, სტამბული ბერძნებისთვის დღემდე კონსტანტინოპოლია. სანკტ-პეტერბურგს, რომელსაც ცოტა ხანს, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში პეტროგრადი ერქვა და მერე კარგა ხანს – ლენინგრადი, ბევრი დღესაც ლენინგრადად მოიხსენიებს.

სრულიად განსაკუთრებულია ვოლგოგრადის ამბავი: ამ ქალაქს ოფიციალურად ჰქვია ორი სახელი. ჩვეულებრივ, იგი ვოლგოგრადია, მაგრამ წელიწადში ცხრა დღეს სრულიად ოფიციალურად მას სტალინგრადი ჰქვია.

ეს დღეებია: 2 თებერვალი – სტალინგრადის ბრძოლაში გერმანელი ფაშისტების განადგურების დღე; 23 თებერვალი – მამულის დამცველთა დღე;

8 მაისი – სტალინგრადისთვის გმირი-ქალაქის წოდების მინიჭების დღე; 9 მაისი – გამარჯვების დღე; 22 ივნისი – ხსოვნისა და გლოვის დღე;

23 აგვისტო – სტალინგრადის მასობრივი დაბომბვის მსხვერპლთა დღე;

დომარის სერგეი მინინის პატივსაცემად. რადგან შებოლდავის წერილზე 1925 წლის 25 იანვარს გაგზავნილ თავის წერილში სტალინს დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია მისი იდეისათვის, ბოლოს სტალინგრადზე შეჩერდნენ.

სტალინი შებოლდაევს სწერდა: „საქმე უჩემოდ და ჩემი გვერდის ავლით დანერგულა. თუ ასე აუცილებელია ცარიცინის სახელის შეცვლა, დარჩეთ მას მინინგრადი ან რამე სხვა. თუ მეტისმეტად გააგრძელებთ სტალინგრადად გადარქმევის ამბავი და ახლა გიჭირთ დანერგული საქმის უარყოფა, მე ამასი ნუ გამრევთ“.

ხრუსჩოვმა კი განაცხადა, რომ თითქოს „სტალინიმა ძალით და შანტაჟით მოახვია ცარიცინს თავისი სახელი“. 1961 წლის 10 ნოემბერს სწორედ

შეიძლება ჯერ არ არის, მაგრამ შეურაცხყოფად, დამცირებად, ცუდ ტონად და სიძულვილის ენად ითვლება, თუ ცალხელს ცალხელა, კოჭლს კოჭლი ან ყრუ-მუნჯს ყრუ-მუნჯი დაუძახა ვინმემ.

ბუნებრივი თუ ტრავმული ნაკლის მქონე ყველა ასეთი ადამიანი უნარ-შეზღუდულ ან შშმ პირად – „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე“ პირად იწოდება.

ასე რომ, დღეს სიტყვა „კოჭლი“ ადამიანის მიმართ ფაქტობრივად აღარ იხმარება და ანდაზებსა შემორჩა:

ერთხელაც კოჭლი წინაო. ბრმა უყურებდა, როგორც გარბოდა კოჭლიო.

და კიდევ ისტორიას: ისევე როგორც ცალხელა სერვანტესზე არავის უთქვამს, უნარშეზღუ-

ამათგან ყველას თავისი ნიუანსი და ისტორია აქვს, რომელთა შესახებაც მე, სამწუხაროდ, მცირე წარმოდგენა თუ მაქვს.

ერთი ამ სინონიმთაგანი – „ჩითახო“, მაგალითად, იმავე ლექსიკონის სქოლიოში აღექვანდრე ნეიმანს ასე აქვს განმარტებული:

„1860-1880-იან წლებში თბილისში ცხოვრობდა ცნობილი მსხვილი მწერარე ჩითახოვი, რომელიც კოჭლი ყოფილა. ვფიქრობთ, აქედანაა ეს „ჩითახო“ ზოგად სახელად“...

თუმცა ახლა უფრო სხვა რამ მაინტერესებს.

ბავშვობიდან მანვალედა კითხვა: შეიძლება თუ არა, კოჭლი დაუძახო ორმოცფეხსა, რომელსაც ერთი ფეხი აკლია?

მერე გავიგე, რომ ორმოცფეხა ერთი კონკრეტული სახეობა უხერხემლო მრავალფეხა არსებია ვეცა კლასისა, რომელშიც 12 ათასამდე სახეობა შედის. ამ არსებებს 10-დან 750-მდე ფეხი შეიძლება ჰქონდეთ.

შეიძლება თუ არა, კოჭლი ვუნოდოთ 750-ფეხსა, რომელმაც ერთი ფეხი, ვთქვით, რომელიმე უიბლო ნისკარტოვანთან უთანასწორო ბრძოლაში დაკარგა და 749 ფეხიღა შერჩენია?

სუეციალისტები გვიზუსტებენ, რომ იმ ორმოცფეხსა, რომელსაც ჩვენ ასე თუ ისე ვიცნობთ და მეტ-ნაკლები სიხშირით შეხვედრებივართ, სინამდვილეში, 30 ფეხი აქვს, მაგრამ არც 30 ფეხია ცოტა.

შეიძლება თუ არა, „ორმოცფეხსა“, რომელსაც 30 ფეხი უნდა ჰქონდეს, მაგრამ მხოლოდ 29 ფეხი აქვს, კოჭლი ვუნოდოთ?

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის მიხედვით კოჭლი ეწოდება „ვიცა ან რასაც ცალი ან ორივე ფეხი ისე აქვს დაშვებული (ან დამოკლებული), რომ სწორად ვერ დადის.“ ამ განმარტებაში „ორივე ფეხი“ გვაფიქრებინებს, რომ კოჭლი მხოლოდ ადამიანი შეიძლება იყოს, მაგრამ იქვე მოხსობილი პირველი ორი მაგალითი სწორედ ცხოველებს ეხება:

„ფარაში კოჭლი არ გამოიღვეაო (ანდაზა)“.

„კოჭლმა მწვეარმა რომ კურდღელი მოგბრუნოს, დაჭერაში ჩათვლებოაო (ანდაზა)“.

როგორც ჩანს, ქვეყნის ამ განმარტების ავტორმა იცის, რომ კოჭლობა მხოლოდ ადამიანის თვისება არ არის და ლექსიკონის წინააღმდეგობრივ განმარტებაში არც ცხოველების მიმართ მის ხმარებას გამოიციხავს, როდესაც გვეუბნება, რომ კოჭლი არის „ვიცაც ან რასაც“...

აბა ეს „ცალი ან ორივე ფეხი“ რა-ლაა?!

რაკი ადამიანის მიმართ სიტყვა „კოჭლს“, გასაგები მოსაზრებების გამო, დღეს აღარ ვიყენებთ, იგი ავტომატურად მხოლოდ ცხოველებს რჩებათ. ცხოველებს და ფრინველებს და მწერებს და ჭია-ლებს და მრავალფეხებს.

აქ უკვე შეიძლება ფართოდ გამოვიყენოთ ნეიმანის ლექსიკონში მოცემული სინონიმები.

მაგალითად, თუ ეს სინონიმები სხვა ჩემთვის უცნობი ზუსტი მნიშვნელობებით არ არიან დატვირთული, კოჭლობას „ფაუზა“ მოუხდება, კოჭლ ყვავ-ყორანს – კვაჭლა, კოჭლ ოთხფეხს – კოჭინტარა, კოჭლ ორმოცფეხს კი, ვთქვათ, – კოჭლაბუხა...

მაგრამ ის კი დასადგენი გვექნება, როდის შეიძლება ვუნოდოთ კოჭლი თუ კოჭლაბუხა ორმოცფეხსა და ზოგადად – მრავალფეხსა.

რამდენი ფეხი უნდა აკლდეს მას, რომ კოჭლობა დაუდგინდეს? ერთი? ორი? ათი? თხუთმეტი? კენტი თუ წყვილი? რაოდენობის ნახევარი? იქნებ ნახევარზე მეტი?

არა მგონია, ეს ყველაფერი მხოლოდ ენის პრობლემა იყოს. ანდა სასაცილო.

►► ბაბრამილია იანვრა



ლიბროკუბიკულარისტის შთანაწერები

კაატა ნასვლიზილი

2 სექტემბერი – მეორე მსოფლიო ომის დასრულების დღე;

19 ნოემბერი – სტალინგრადთან ფაშისტური ჯარების განადგურების დასაწყისის დღე;

9 დეკემბერი – სამშობლოს გმირების დღე.

წელს, სტალინგრადის გამარჯვების 80 წლისთავთან დაკავშირებით, ქალაქს ორი დღით ადრე შეუცვალეს სახელი და უკვე 30 იანვარს ავტომატურად სტალინგრადზე საგზაო მაჩვენებლები გამოცვალეს. ფოტო ვერ ვნახე, მაგრამ, როგორც ამბობენ, შეცვალეს ქალაქის სახელწოდება ვოლგოგრადის აეროპორტის საცნობარო დაფებზეც.

თუ ვინმე იკითხავს, რას უწერენ დაბადების მოწმობაში ამ ცხრა დღის დაბადებულ ბავშვებს, ოფიციალურად ისინი ვოლგოგრადში დაბადებულები არიან, თუმცა მათი მშობლების და მერე თავად მათი საქმეა, რომელ ქალაქს მიიჩნევენ დაბადების ადგილად.

ხოლო სტალინგრადამდე ქალაქს ცარიცინი ერქვა და სტალინგრადი მას 1925 წელს ეწოდა, როგორც ყველა ხვდება, სტალინის პატივსაცემად, რომელიც მაშინ უკვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური (ბ) პარტიის გენერალური მდივანი იყო და რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა ანტირევოლუციური ძალებისაგან ცარიცინის დაცვის საქმეში. ამ ამბის ინიციატორი გახლდათ ცნობილი საბჭოთა ფუნქციონერი, პარტიის ცარიცინის საგუბერნიო კომიტეტის მდივანი ბორის შებოლდაევი, რომელიც, სხვათა შორის, პარიზში იყო დაბადებული.

არ ვიცი, ხუმრობით, არ ვიცი – სერიოზულად, თავად სტალინს სხვა ვარიანტიც შეუთავაზებია – მინინგრადი, რევოლუციონერისა და ცარიცინის სახალხო დეპუტატთა საბჭოს თავმჯ-

ხრუსჩოვის მონადინებით და თითქოს „სტალინგრადის ოლქის საწარმო-დაწესებულებათა, მშენებლობათა, საბჭოთა მეურნეობათა, კოლმეურნეობათა და დაწესებულებათა კოლექტივების სურვილითა და თხოვნით, და აგრეთვე, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შეამდგომლობით“, სტალინგრადი ვოლგოგრადი გახდა.

დღეს ქალაქის მოსახლეობის ნაწილი ქალაქის სრულ გავოლგოგრადებას ითხოვს ყოველგვარი 9-დღიანი გამონაკლისის გარეშე, მეორე ნაწილი კი – ძირითადად ვეტერანები და მათი შთამომავლები ქალაქის საბოლოოდ გასტალინგრადებას უჭერენ მხარს.

არის ვარაუდი, რომ ვოლგაზე მდებარე ამ ქალაქს 2024 წელს სტალინგრადის სახელი დაუბრუნდება.

ხოლო ბორის შებოლდაევი 1937 წლის 10 ივნისს დახვრიტეს.

აი, ასეთი ამბავია.

კაცთა და ორმოც-ფეხათა კოჭლობისა

თავის დროზე სტუდენტური პრაქტიკა თელავში, გაზეთ „ალაზნის“ განთავსებაში რედაქციამ გავიარე და მაშინ დავეუბნებოდი ზაზა კოლეიშვილს, დღეს ცნობილი და აღიარებულ მსახიობი, რომელიც იმ წელიწადს სკოლას ამთავრებდა. ზაზა ამჯერად იმ შუაშია, რომ ზაზას მამას, ვიქტორ კოლეიშვილს თელაველები ორხელა ვიქტორას ეძახდნენ. ეს – იმიტომ, რომ ცალხელა არ დაეძახათ მეორე თელაველი ვიქტორასათვის, რომელსაც ცალი ხელი არ ჰქონდა!

მაშინდელი ეს ხალხური თუ ბუნებრივი „პოლიტიკორექტულობა“ დღეს ლამის საკანონმდებლო დონეზე სავალდებულო ხდება. მთლად აკრძალული

დელიო, არც ექვთიმე თაყაიშვილზე იტყვის ვინმე, შშმ პირი იყო, არც ნიკოლოზ ბარათაშვილზე. ისინი სამუდამოდ კოჭლებად დარჩნენ. ამას წინათ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ ნიკოლოზ ბარათაშვილი გაიხსენა და დაწერა: „საქართველო არის კოჭლი გენიოსი მერანზე“. ბუნებრივია, მან აქ სიტყვა „კოჭლი“ პირდაპირი, ფიზიკური ნაკლის მნიშვნელობით იხმარა და არა გადატანითი მნიშვნელობით გენიოსთან მიმართებაში, როგორც იხმარება ეს სიტყვა, ვთქვათ, სონეტთან კავშირში.

რამდენიმე წლის წინათ ჩემს სიმამრს ფეხი მოჰკვეთეს, მაგრამ არც მე არც არავის მასზე კოჭლი არ გვითქვამს.

ჩემს ბავშვობაში თბილისში ჯერ კიდევ ბევრი იყო ომის ინვალიდი, სრულიად უფეხო ადამიანი, რომლებიც ქუჩაში ბორბლებიან ხის დაფებით მოძრაობდნენ ხისავე სპეციალური სახელურების მოშველებით.

ბავშვები ვიყავით, მაგრამ არასოდეს დაგვიძახია მათთვის კოჭლი.

უხერხული იყო და მორჩა! სიძულვილის ენა არაფერ შუაშია. უხერხულია და მორჩა!

და მეკლობელი? მეკლობელი რომ დაუძახებო? როგორც ბრმას ვეძახით უსინათლოს?

მეკლობელი ძველი ქართული სიტყვაა, კოჭლის სინონიმი.

სიტყვა „კოჭლს“ სხვაც მრავალი სინონიმი აქვს:

აი, რას გვეუბნება ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“:

კოჭლი, კოჭლაბუხა, მკელობელი, კვანჭლა, კვანჭლიანი, ქლიბუხა, კოჭინტარა, ფაუზა, ფუხუცა, ფეხა, ფეხათრული, ფეხკოტიტა, თარყაყაში, ჩოდახი, ჩარუხა, ხახუნა, ჩლახუნა, ჩითახო...

ქართული ფოლკლორი, მისი სიბრძნე, სახისმეტყველება, ალეგორიულობა, მაღალმხატვრულობა, უანრული მრავალფეროვნება, ემოციური მოქმედების დიდი ძალა ჩვენი დიდი სიმდიდრეა და ბევრ რამეს გვასწავლის. გავიხსენოთ ერთი ხალხური ფილოსოფიური ლექსი: „წუთისოფელი რა არი? / აგორებელი ქვა არი. / რა წამს კი დავიბადებით, / იქვე საფლავი მზა არი. / საცა სოფელში მიხვდები, / სუყველგან ორი გზა არი, / შუაში არის ხმელეთი, / გარშემო დიდი ზღვა არი. / ყველა ადამის შვილი ვართ, / თათარიც ჩვენი ძმა არი. / თუ ქალი გეტყვის დობასა, / ის უკეთესი და არი – / თუ არ იწამებ ამასა, / მუცლით ნაშობი რა არი? / აგრეთი გქონდეს ბუნება, / ვით მოწმენდილი ცა არი!“

ეს მრავალმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანი ტექსტია. ამჯერად გამოვყოფთ ერთ საკითხს: „ყველა ადამის შვილი ვართ, თათარიც ჩვენი ძმა არი“ („თათარი“ ქართულ სივრცეში ზოგადად მუსლიმს ნიშნავს). ე.ი. ქართველებს მიაჩნდათ, რომ მთელი მსოფლიოს ყველა ხალხი ერთი საერთო წინაპრის შთამომავალია, სამყაროს შემოქმედი ღმერთი ერთია, ოღონდ სხვადასხვა ერი სხვადასხვა სახელით მოიხსენიებს – ეს არის ჩვენი რწმენა და ძლიერება. ბუნებრივია, შეუძლებელია, ისე იცოდეს სხვადასხვა ერის ხალხური შემოქმედება, როგორც საკუთარი, მაგრამ, ვფიქრობთ, მსგავსი რამ არცერთი ხალხის ფოლკლორში არ მოიძებნება; სამაგიეროდ ვარკვად ვიცით ერთი რამ: ქრისტიანებსა და მუსლიმებს იყენებდა და არიან ადამიანები, რომლებიც კაცობრიობისთვის ყველაზე მძიმე პერიოდში, დამანგრეველი ომების დროსაც კი, ახერხებდნენ მოწინააღმდეგესთან საერთო ენის გამოჩენას – მეტიც, ეხმარებოდნენ; ინარჩუნებდნენ თავიანთ ეროვნულ და სარწმუნოებრივ ღირსებას, მაგრამ ადამიანური ურთიერთობები ყველაფერზე მაღლა იდგა. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ჩვენი დიდი მეფე დავით აღმაშენებელი, რომელმაც თბილისის დაბრუნების შემდეგ „ჩასხა“ ქალაქის მაჰმადიანი მოსახლეობა, ქრისტიანებზე ნაკლები გადასახადი დაუნესა და მუსლიმებით დასახლებულ უბნებში ღორის დაკვლაც აკრძალა. ასევე, ისტორიაში სულდიდი ადამიანის სახელით დარჩა ეგვიპტის სულთანი სალადინი, რომელმაც ჯვაროსნებს წაართვა იერუსალიმი და ქრისტიანებს მშვიდობიანად წასვლის საშუალება მისცა (გამოსასყიდი კი აიღო). ცნობილია, რომ მას კავშირი ჰქონდა თამარის კართანაც.

სულ ახლახან, 2022 წლის მარტში, იორდანისის პაშემიტური სამეფოს მეფემ, თვით მუსლიმთა დიდი წინასწარმეტყველის, მუჰამედის შთამომავალმა აბდულა II-მ საქართველოს გადასცა მდინარე იორდანის ნაპირას, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მდებარე 4 000 კვადრატული მეტრი მიწა, სადაც ქართული კულტურული ცენტრი აშენდება. ეს არის დიდი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი ჩვენი ქვეყნისათვის – საქართველოს ოდითგან ჰქონდა ტაძარ-მონასტრები წმინდა მიწაზე, რაც უამთა უკულმართობის გამო ვერ შევინარჩუნეთ, ახლა კი, ღვთის მადლითა და მეფე აბდულა II-ის კეთილი ნებით, კვლავ გვექნება ადგილი, სადაც შეიძლება „თავი მივიდრიკოთ“.

სადღეისოდ ძალზე ფასეულია ურთიერთობები აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთთან. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს ხელი-სუფლებასთან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ბაქო-სუფსის ნავთობსადენებისა და მრავალ სხვა საკითხში და ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება: საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიაშვილი და ახლანდელი პრეზიდენტი ილჰამ ალიევი აქტიურად თანამშრომლობენ ევროკავშირის პროექტზე „შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი“, რომელიც ითვალისწინებს წყალქვეშა მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის მოწყობას, საქართველოს დაკავშირებას რუმინეთთან. ინიციატივა მიზნად ისახავს სამხრეთი კავკასიის რეგიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპასთან დაკავშირებას შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი კაბელით. ასევე აღჭურვილი იქნება ციფრული კავშირით, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ტელე-

„ყველა ადამის შვილი ვართ...“

კომუნიკაციის რუმინეთსა და საქართველოს შორის.

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ევროპისა და კავკასიის რეგიონის ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებას, განახლებადი ენერჯის სექტორის განვითარებას და გაზრდის სატრანზიტო შესაძლებლობებს ამ რეგიონებს შორის. ასევე მნიშვნელოვანი საქმიანი, კეთილმეზობლური და მეგობრული ორმხრივი კავშირები აქვს საქართველოს თურქეთთან.

ვფიქრობთ, მაგალითები საკმარისია. კვლავ წარსულს დავუბრუნდეთ და უფრო ახლოს გავიხსენოთ მეჰმედ II (უფრო სწორად, ქრისტიანებთან მისი ურთიერთობა); იგი ოცდაერთი წლისა იყო, როდესაც მამის, სულთან მურად II-ის გარდაცვალების შემდეგ სათავეში ჩაუდგა უზარმაზარ იმპერიას და დაიწყო ბიზანტიის იმპერიის ადგილზე მძლავრი ოსმალური სახელმწიფოს დაარსება, რაზეც მამამისი ოცნებობდა. სულთანი მეჰმედ II, გარდა სამხედრო ნიჭისა, გამოირჩეოდა თავისი განათლებით – თურქული ჩათვლით ფლობდა ექვს ენას, მათ შორის, სლავურს; კითხულობდა ნაწარმოებებს ალექსანდრე მაკედონელისა და იულიუს კეისრის საგმირო საქმეების შესახებ, კარგად იცოდა ბიზანტიელი იმპერატორების ისტორიები. აღმოსავლელი ისტორიკოსები აღნიშნავენ მის რელიგიურობას, სამართლიანობას, პატივისცემას მეცნიერებისა და პოეტებისადმი, ინტერესს ასტროლოგიისადმი.

ნესს, დედაქალაქიდან მოშორებით, სადაც ცხოვრობდნენ იმპერატორის ძმები.

ბერძენი ისტორიკოსები ერთხმად აღნიშნავენ იმპერატორი კონსტანტინე XI-ის პატიოსნებას, კეთილშობილებას, ენერჯიას, სიმამაცესა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს.

იმპერატორი კონსტანტინე გრძნობდა მოახლოებულ საფრთხეს და ომისთვის მზადების პარალელურად, მოლაპარაკებებს აწარმოებდა მეჰმედ II-სთან, სთავაზობდა ძალიან დიდ თანხას მშვიდობის სანაცვლოდ. ამაზე სულთანს ასეთი პასუხი გაუცია: „მე არ შემიძლია კონსტანტინოპოლიდან წასვლა. ან მე ავიღებ ქალაქს, ან ის ცოცხალს ან მკვდარს ამიღებს მე. თუ გინდა, მე მოგცემ მორგას, შენს ძმებს – სხვა ტერიტორიებს და ვიცხოვროთ მშვიდობიანად. თუ მე ბრძოლით შემოვალ, იცოდე, რომ ამოგვლეთ შენც და შენს უშუალო გარემოცვასაც, ქალაქს კი გასაძარცვავად მივცემ. მე ცარიელი ქალაქიც მეყოფა!“ (ნიგნიდან „ქრონიკა კონსტანტინეს, ასტროვიციელი მიხეილ კონსტანტინეს ძის თურქული საქმეებისა, რომელიც ოსმალებმა ტყვედ აიყვანეს“, თავი მე-12).

კონსტანტინოპოლის დაცვაში მონაწილეობდნენ ვენეციელები და გენუელები. იმპერატორი კონსტანტინე XI განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა გენუელ მხედართმთავარ ჯოვანი ჯუსტინიანიზე, რომელიც ორი დიდი გემით თავის ჯგუფთან ერთად ჩამოვიდა და ბოლო მომენტში შეუერთდა

იმპერატორი და მისი თანმხლები პირები ჩატარებული რიტუალის შემდეგ გამოემშვიდობნენ პატრიარქს.

ეს წირვა, ფაქტობრივად, სამგლოვიარო აღმოჩნდა – ყველა ხვდებოდა, რომ ერთმანეთთან ურთიერთობის ბოლო წუთები იდგა.

28 მაისის მსახურება წმ. სოფიას ტაძარში ყველაზე ტრაგიკული რიტუალი იყო. მეორე დღეს, 29 მაისს, გამთენიისას, დაიწყო კონსტანტინოპოლის შტურმი. იგი სულ რამდენიმე საათს გაგრძელდა.

სულთანს მეჰმედ II იყო ისტორიაში პირველი მმართველი, რომლის არმიასაც ნამდვილი არტილერია ჰქონდა. ტიტანური ზომის თურქული ბრინჯაოს საარტილერიო დანადგარები ისროდნენ უზარმაზარ ქვის ლოდებს, რომლებსაც კონსტანტინოპოლის მრავალსაუკუნოვანი მძლავრი კედლები ვერ უძლებდა.

იმპერატორი კონსტანტინე XI გმირულად იბრძოდა, როგორც რიგითი მეომარი. არ არსებობს ზუსტი ცნობები მისი დაღუპვის შესახებ, რადგანაც იმ დროს მის გვერდით არცერთი ისტორიკოსი არ იმყოფებოდა. გადმოცემით ცნობილია მხოლოდ ის, რომ თურქების მიერ ამოუცნობი მისი ცხედარი, 800 სხვა დაღუპული მეომრის გვამთან ერთად, რამდენიმე დღის განმავლობაში ღია ცის ქვეშ ეგდო.

ისტორიულად დამტკიცებულია, რომ ხოცვა-ჟლეტის დამთავრებისთანავე მეჰმედ II-მ ბრძანება გასცა, მოენახათ იმპერატორის ცხედარი. დიდი ხნის ძებნის შემდეგ მას მიუტანეს კონსტანტინე XI-ის მოკვებითი თავი, რომელიც იმპერატორ იუსტინიანეს



კონსტანტინოპოლის დაპყრობის იდეამ მთლიანად გაიტაცა ახალგაზრდა სულთანი. მეჰმედ II-ს თავისი ოცნების განხორციელებაში თვითონ ქრისტიანებმა შეუწყვეს ხელი: ჯერ იყო, 1204 წელს IV ჯვაროსნული ლაშქრობის „ქრისტეს მსდრობა“ კონსტანტინოპოლს მიაღწია, ძირფსვიანად გაძარცვა და იმხელა ზიანი მიაყენა, რომ ქვეყანა წელში ვეღარ გაიძარცა, ვეღარ უმკლავდებოდა მოძალბებულ თურქმანებს, რომლებიც ზედიზედ იპყრობდნენ მის მიწებს. მეორეც, ბიზანტიის იმპერიის ასეთ კრიტიკულ მომენტში კონსტანტინოპოლში კვლავ დაიწყო ბრძოლა უნიის (უნია – მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიების გაერთიანება) მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის.

1452 წელს, დაქირავებულ მცირე რაზმთან ერთად, დედაქალაქში ჩამოვიდა რომის პაპის მიერ გამოგზავნილი ბერძენი რეგენტი ისიდორი. დასავლეთის მხრიდან დახმარების სანაცვლოდ მან მოითხოვა უნიის დამტკიცება, რამაც ხელახლა გამოიწვია უნიის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მღელვარება და დაპირისპირება.

ამ დროს ბიზანტიას განაგებდა – სამწუხაროდ, უკანასკნელი იმპერატორი – კონსტანტინე XI პალეოლოგოსი, რომელიც 1451 წელს ავიდა ტახტზე. ტერიტორია, რომელზეც ვრცელდებოდა მისი ძალაუფლება, მოიცავდა მხოლოდ კონსტანტინოპოლს თავისი გარეუბნებით და პელოპო-

ქალაქის დამცველებს.

მდგომარეობა კონსტანტინოპოლში სულ უფრო და უფრო იძაბებოდა. 1453 წლის აპრილში მეჰმედ II-მ კონსტანტინოპოლს ალყა შემოარტყა როგორც ზღვიდან, ისე ხმელეთიდან.

1453 წლის 28 მაისს ღამით წმ. სოფიას ტაძარში გაიმართა უკანასკნელი ქრისტიანული წირვა. ბიზანტიელ მემატიანეთა წყაროებზე დაყრდნობით, ინგლისელმა ისტორიკოსმა ე. პირსმა აღწერა ეს დაუფინყარი მოვლენა.

ღამის ცერემონიალი და წირვა, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა მსოფლიოს ისტორიულ სპექტაკლებს შორის, იყო ბოლო ქრისტიანული მსახურება წმ. სოფიას ტაძარში... იმპერატორი და მასთან დაახლოებული საზოგადოება იმყოფებოდნენ შენობაში, რომელიც უკანასკნელად გაივსო მორწმუნე ქრისტიანებით. არ არის საჭირო, გქონდეს დიდი ფანტაზია, რომ წარმოიდგინო ეს სანახაობა. ტაძრის ინტერიერი იყო ქრისტიანული ხელოვნების ყველაზე ძვირფასი ნაწარმოები. ამ სილამაზეს კიდევ უფრო აძლიერებდა ბრწყინვალე სანათები.

ტაძარში მყოფი კონსტანტინოპოლები, ვენეციელები, გენუელები – ყველანი გრძნობდნენ მოახლოებულ საშინოვანებას. ისინი ხვდებოდნენ, რომ მათი მრავალსაუკუნოვანი წინააღმდეგობა და დაპირისპირება მოსალოდნელ უბედურებასთან – არაფერი იყო.

ძეგლის გვერდით გამოფინეს, შემდეგ კი გაიტანეს მცირე აზიის ქალაქებში საჩვენებლად. იმპერატორის სხეული მიაბარეს მშობლიურ მიწას. სამწუხაროდ, დღეს მისი საფლავი უცნობია.

საუკუნეების განმავლობაში შეიქმნა მრავალი ლეგენდა იერუსალიმის შემდეგ აღმოსავლეთ ქრისტიანთა მთავარი წმიდა ტაძრის ალების შესახებ. ერთ-ერთი ასეთია: იმ მომენტში, როდესაც თურქები შეიჭრნენ წმ. სოფიას ტაძარში, მიმდინარეობდა ლიტურგია. მღვდელი, რომელსაც ხელში ეჭირა ტაძრის უწმიდესი ძვირფასი ბარძიმ-ფეშხუმი, მუსლიმების დანახვისთანავე შებრუნდა და შევიდა კედელში, რომელიც მის წინ გაიხსნა. ლეგენდა ამბობს იმასაც, რომ როდესაც კონსტანტინოპოლი კვლავ გადავა ქრისტიანების ხელში, ისევ აღველინება მართლმადიდებლური ღვთისმსახურება წმ. სოფიაში, მღვდელი გამოვა იმ კედლიდან და გააგრძელებს ლიტურგიას.

სხვა ლეგენდა გვიყვება, რომ სულთანს მეჰმედ II ფათიჰი (დამპყრობელი) ცხენზე ამხედრებული შევიდა გვამებით მოფენილ ტაძარში.

ეს – ლეგენდები, ისტორიკოსები კი ასე აღწერენ მომხდარს: ხოცვა-ჟლეტა შეწყდა მამინე, როგორც კი სულთანი კონსტანტინოპოლის ქუჩებში გამოჩნდა. წმ. სოფიას-

▶ დასაწყისი 83.13



კონსტანტინე XI, ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორი

თან მიახლოებული, ჩამოხდა ცხენიდან და ფეხით შევიდა ტაძარში. ხოცვა მაშინვე შეწყდა. უფრო მეტიც, მან თავისი ხმლით განგმირა თურქი, რომელიც, უგუნურობითა და ფანატიზმით შეპყრობილი, აზიანებდა მარმარილოს ფილებით განწყობილ ჯვრებს.

„თქვენ გაყოფათ ფული და ტყვეები - ტაძარი ჩემია!“ - უთქვამს სულთანს.

ტაძარში შესვლის შემდეგ მან მუხლი მოიყარა, დაიწყო ლოცვა და ბრძანა, წმ. სოფია მეჩეთად გადაეციათ.

კონსტანტინოპოლის აღება იყო ერთ-ერთი უდიდესი კატასტროფა ქრისტიანობის ისტორიაში. მომდევნო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ოტომანთა იმპერიის გავლენას დაექვემდებარა თითქმის მთელი ქრისტიანული აღმოსავლეთი.

დგებოდა ახალი ეპოქა, მაგრამ მართლმადიდებლური ეკლესიისთვის ცვლილება არ აღმოჩნდა ისეთი ფუნდამენტური, როგორსაც მოელოდნენ. საუკუნეების მანძილზე ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოები მუსლიმების გამგებლობაში იმყოფებოდნენ, XI საუკუნიდან კი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპარქიები თანდათან აღმოჩნდნენ თურქეთის საზღვრებში, 1453 წლისათვის უკვე თითქმის მთელი მისი სამწყსო მოექცა სულთნის მფლობელობაში.

ბიზანტიის ქრისტიანულ იმპერიაში ეკლესია და სახელმწიფო ერთ მთლიანობას წარმოადგენდა. იმპერატორი რეალურ ცხოვრებაში შეიძლება სრულიად უფლებო ყოფილიყო, მაგრამ თეორიულად ქრისტიანული მსოფლიოს მეთაური, თავისი ხალხის წინაშე ღვთის წარმომადგენელი, დემოკრატია კი ხალხის შუამდგომელი იყო. ახლა ეკლესია სახელმწიფოს გამოეყო, „მეორე კლასის“ მოქალაქეთა ასოციაციად იქცა. ამასთან, ეს ასოციაცია იყო ერთადერთი, რისი შექმნაც „მეორე კლასის“ მოქალაქეებს შეეძლოთ; გარეგნულად ძალიან გაიზარდა ეკლესიის დისციპლინური ძალაუფლება თავის სამწყსოზე, მაგრამ მას არ გააჩნდა უმთავრესი - თავისუფლება. დამპყრობელმა სულთანმა კარგად იცოდა ეკლესიის პრობლემები და გულწრფელად მიაჩნდა, რომ მის კეთილდღეობას თავისი სახელმწიფოს სასარგებლოდ გამოიყენებდა. კონსტანტინოპოლის აღებამდე მეშვიდე მუსულმანური მტრის სახელი ჰქონდა, მაგრამ მიზანს მიაღწია და თავს ნება მისცა, დადსულვანებმა გამოევიწყა. მის ძარღვებში ბერძნული სისხლიც ჩქეფდა. მას საიმოვნებდა, რომელი იმპერატორების მემკვიდრედ წარმოედგინა თავი. მზად იყო, ეკისრა წინამორბედთა რელიგიური მოვალეობაც - ცხადია, იმდენად, რამდენის შესაძლებლობასაც საკუთარი რელიგია მისცემდა. მას უნდოდა, რომ ქრისტიანებს მშვიდობიანად და კეთილდღეობით ეცხოვრათ, კმაყოფილი ყოფილიყვნენ მისი მმართველობით და წესიერად ეხადათ გადასახადები.

სულთანს კარგად ესმოდა, რომ ბერძნები მისი იმპერიის დიდ ფასეულობას წარმოადგენდნენ. თურქები გამოდგებოდნენ ჯარისკაცებად და ხელისუფლებაში, მაგრამ არ იცოდნენ ვაჭრობა და უხეირო მეზღვაურები იყვნენ, სოფლის მეურნეობაში კი მინათმოქმედებას მეცხოველეობა ერჩინათ. ამგვარად, ოსმალეთის იმპერიის ეკონომიკური ცხოვრება ბევრად იყო დამოკიდებული ბერძნებზე. სულთნის აზრით, ქრისტიანებს მის იმპერიაში თურქებთან თანხმობით უნდა ეცხოვრათ და ჰქონოდათ გარანტირებული უფლებები - რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ მას თავიანთ უმაღლეს მბრძანებლად აღიარებდნენ.

მეშვიდე კონსტანტინოპოლის აღდგენას მიჰყო ხელი. დაპყრობამდე იმპერიის დედაქალაქის მოსახლეობა 50 ათასს არ აღემატებოდა; რამდენიმე ათასი ბრძოლებში დაიღუპა, ამაზე ბევრად მეტი - ტყვედ წაიყვანეს. დამპყრობელმა სულთანმა არა მხოლოდ დაუტოვა ბერძნებს საცხოვრებლად რამდენიმე უბანი, არამედ ყოველწლიურად უწყობდა ხელს მათ იმიგრაციას თავის ახალ დედაქალაქში, ზოგჯერ იძულებასაც არ ერიდებოდა. მაგალითად, ტრაპიზონის (ტრაპიზონის) მოქალაქეები კონსტანტინოპოლში გადაასახლეს. ასევე გამოიყვანეს ბერძნები ანდრიანოპოლიდან, კუნძულ ლესბოსიდან 1462 წელს მისი ოკუპაციის შემდეგ; კიდევ 2 ათასი ბერძნული ოჯახი - არგოსიდან. XVI საუკუნის შუახანებში კონსტანტინოპოლში ცხოვრობდა 30 ათასი ბერძნული ოჯახი, დაახლოებით 200 ათასი სული და მათი რაოდენობა სულ იზრდებოდა.

დამპყრობელ სულთანს ევალებოდა, შეემუშავებინა ახალი წესები თავისი ქრისტიანი ქვეშევრდომებისათვის. მისი პირველი ამოცანა იყო, აერჩია პატრიარქი. მეშვიდე სულთანმა კარგად იცოდა სირთულეები, რაც მოჰყვებოდა, მართლმადიდებლური ეკლესიისათვის ძალით მოუხევათ თავს რომთან უნია. კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ მან მალევე გაიგო სასიამოვნო (თავისთვის) ამბავი, რომ საპატრიარქო ტახტი თავისუფალია - პატრიარქ გრიგოლ მამას გაქცევა ადამიანების შეგნებაში გადადგომის ტოლფასი იყო; შესაბამისად, დადგა მისი შემცვლელის პოვნის საჭიროება. მეშვიდემა შეერჩია ცნობილი და მიიღო გადაწყვეტილება, რომ პატრიარქი გიორგი სქოლასტიკოსი, ახლა გენადის სახელით ცნობილი მონაზონი, გამხდარიყო. გენადი არ იყო მხოლოდ იმ ხანებში კონსტანტინოპოლში მცხოვრები ყველაზე გამოჩენილი სწავლული, არამედ უდიდესი ავტორიტეტი მოიხვეჭა თავისი მაღალი ზნეობისთვის თვისებების გამო და ძალზე პატივცემული იყო. ამასთანავე, უნის მონინააღმდეგე, ანტიდასავლური პარტიის ლიდერიც გახლდათ - ცხადია, ის არ გაბამდა პოლიტიკურ ინტრიგებს დასავლეთთან.

ქალაქის დაცემიდან ერთი თვის შემდეგ მეშვიდემა დაავალა მსახურებს გენადის მოძებნა, მაგრამ იგი ვერ იპოვეს. ქალაქში შეტევის დროს გენადი პანტიკლაქტორის მონასტერში, თავის სენაკში იმყოფებოდა. დამპყრობლები შეცვივდნენ საგანში, გაძარცვეს, წაიღეს მთელი ფასეულობა და ტყვედ წაიყვანეს მონაზვნებიც. გენადი ერთ ანდრიანოპოლელ მდიდარ თურქს, რომელიც კმაყოფილი და შემცბარცი იყო, რომ ასეთი განათლებული და პატივცემული ტყვე შეიძინა და მას, როგორც საპატიო სტუმარს, ისე ეპყრობოდა.

გენადი გამოისყიდეს თავისი თავაზიანი პატრონისაგან და პატივით მიიყვანეს სულთნის კარზე, კონსტანტინოპოლში. მეშვიდემა დაარწმუნა იგი, დაეკავებინა პატრიარქის ტახტი, რის შემდეგაც ოლქში მყოფი ყველა ეპისკოპოსი სინოდის ხელმძღვანელს ჩასატარებლად მიიწვიეს. სინოდმა გამოაცხადა, რომ პატრიარქის ტახტი თავისუფალია და სულთნის წარდგინებით, გენადი აირჩია პატრიარქად. ამის შემდეგ გენადიმ და სულთანმა ერთად შეიშუშვეს ოტომანთა იმპერიაში მართლმადიდებელთა ცხოვრების ახალი წესები. ძირითადი პუნქტები, ეტყობა, დაინერგა მანამ, სანამ სულთანი ივლისის ბოლოს ანდრიანოპოლში წავიდოდა, თუმცა გენადი ოფიციალურად მხოლოდ 6 თვის შემდეგ გახდა პატრიარქი.

ქიროტონია და ინტრონიზაცია გაიმართა 1454 წლის 6 იანვარს, მეშვიდის კონსტანტინოპოლში დაბრუნების შემდეგ. პროცედურა ბიზანტიური ცერემონიის მიხედვით ჩატარდა. სულთანმა გენადი თავის რეზიდენციაში მიიღო და გადასცა პატრიარქის პატივის ნიშნები: შესამოსელი, კვერთხი, გულსაკიდი ჯვარი. ორიგინალური ძველი ჯვარი დაიკარგა - სავარაუდოდ, გრიგოლ მამამ წაიღო რომში - ამიტომ მეშვიდის ბრძანებით, ახალი, ვერცხლის მოოქროვილი დიდებული ცვარია დაამზადეს. აღსადგინების ფორმულა ვოკათი შეიცვალა. სულთანმა წარმოთქვა: „იყავი პატრიარქი და წარმატება გქონდეს. დარწმუნებული იყავი ჩვენს მეგობრობაში და გქონდეს ყველა ის პრივილეგია, რითაც სარგებლობდნენ ადრინ-

დელი პატრიარქები“. შემდეგ გენადი ამხედრდა სულთნის ნაჩუქარ დიდებულ მერანზე და გაემართა წმ. მოციქულთა ეკლესიაში - წმ. სოფია უკვე მეჩეთად იყო გადაკეთებული - ამ ტაძარში მას ელოდებოდა პერაკლელი მიტროპოლიტი, რომელიც ქიროტონიასა და ინტრონიზაციას ხელმძღვანელობდა. შემდეგ იმავე ცხენზე მჯდარი პატრიარქი სათავეში ჩაუდგა პროცესიას, რომელმაც შემოიარა ქალაქის ქუჩები და დაბრუნდა მოციქულთა ტაძარში, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობდა მისი რეზიდენცია.

რომმა, რომელიც ერთადერთ კანონიერ პატრიარქად გრიგოლ მამას მიიჩნევდა, არ ცნო ეს ქიროტონია.

მოგვიანებით პატრიარქი გენადი წმ. მოციქულთა დიდი ეკლესიიდან ბერძნებით დასახლებული უბნის, ფანარის პამაკარისტას დედათა მონასტერში გადავიდა (დედები გაასახლეს).

პამაკარისტა ას ნელზე მეტ ხანს იყო პატრიარქის რეზიდენცია. მეშვიდე II აქ დრო და დრო სტუმრობდა თავის მეგობარ გენადის, რომელსაც დიდ პატივს სცემდა. ჩვეულებრივ, სულთანი არ შედიოდა ეკლესიაში - შიშობდა, რომ მის მეტად გულმზურვალე თავყვანისმცემლებს მერე არ წაერთმიათ. ის და პატრიარქი გენადი, როგორც ნესი, საუბრობდნენ გვერდითა სამლოცველოში, მსჯელობდნენ პოლიტიკისა და რელიგიის საკითხებზე. სულთნის თხოვნით გენადიმ დანერგა მოკლე, მშვიდობიანი ტრაქტატი, რომელშიც ახსნილია, რით განსხვავდება ქრისტიანობა ისლამისაგან.

ახალი წესები ქრისტიანებისთვის მხოლოდ ზეპირი მოლაპარაკებით იყო შეთანხმებული. მეშვიდე სულთნის მიერ ნახსენები პრივილეგიები მოიცავდა პატრიარქის პირად ხელმეფეობას, ყველა გადასახადისაგან გათავისუფლებას, საყდრის შენარჩუნების გარანტიას, გადაადგილების სრულ თავისუფლებას და ამ პრივილეგიების სამუდამოდ გადაცემის უფლებას თავისი შემცვლელისთვის. ასეთივე პრივილეგიები ჰქონდათ მიტროპოლიტებსა და წმინდა სინოდის წევრებს. ამასთან, ტახტის შენარჩუნების გარანტია, რა თქმა უნდა, ვერ აუქმებდა წმინდა სინოდის უფლებას, შეეცვალა პატრიარქი, თუ მის არჩევას არაკანონიერად გამოაცხადებდა, რაც არაერთხელ მომხდარა ბიზანტიის ისტორიაში.

საპატრიარქოს მომდევნო საუკუნის მემკვიდრეობა მტკიცებით, მეშვიდემა გენადის გადასცა დოკუმენტით, რომლითაც ეკლესიას შეეძლო, კანონიერად აეღო ჯვრისწილისა და დაკრძალვის მოსაკრებელი; ქრისტიანებს ეძლეოდათ უფლება, სამი დღე ეზიემათ აღდგომა, ექნებოდათ გადაადგილების თავისუფლება ამ დღეების განმავლობაში და ამის შემდეგ არცერთ ეკლესიას აღარ გადააკეთებდნენ მეჩეთად. მაგრამ პატრიარქისთვის ნაჩუქარი მთავარი „პრივილეგია“ აღმოჩნდა ის, რომ მიენიჭა სამოქალაქო ძალაუფლება ოტომანური იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ქრისტიანზე. ამასთან, მუსლიმური კანონით, ყველა ქრისტიანი წარმოადგენს ერთ ხალხს (მილეთი) - არანაირი კონფესიური, ენობრივი ან ეროვნული განსხვავება მხედველობაში არ მიიღებოდა. ქრისტიანები იყვნენ მუსლიმთა ქვეშევრდომები, მაგრამ უწარჩუნდებოდათ ნაწილობრივი თვითმმართველობა შინაურ საქმეებში; ყველა ასეთი საკითხი წყდებოდა რელიგიური წესებით პატრიარქის პირადი გადაწყვეტილებით. ამგვარად, იგი იქცა თავისებურ ქრისტიან ხალხად და პასუხს აგებდა ყველა ქრისტიანისთვის სულთნის წინაშე. ასე აღმოჩნდა ბერძენი იერარქების ხელში უზარმაზარი სამოქალაქო და რელიგიური ძალაუფლება, ზოგიერთ ასპექტში იმაზე მეტიც კი, რასაც ოსმალურ მმართველობამდე ფლობდნენ.

მსოფლიო პატრიარქის პრაქტიკულად უსაზღვრო ძალაუფლება ვრცელდებოდა არა მხოლოდ მისი საკუთარი ტერიტორიის, არამედ აღმოსავლეთის საპატრიარქოებში მცხოვრებ ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანზე, მას ემორჩილებოდნენ ოტომანურ იმპერიაში მოსახლე სხვა ქრისტიანებიც.

მართლმადიდებლური კანონიკური სამართლით, სხვა პატრიარქები კონსტანტინოპოლის პატრიარქის თანასწორნი იყვნენ, თეორიულად ჰქონდათ უფლება, დამოუკიდებლად ემართათ თავიანთ იურისდიქციაში მყოფი მართლმადიდებელი მრევლი, მაგრამ უმაღლეს პორტასთან ურთიერთობა პრაქტიკულად



მეშვიდე II დამაპყრობელი

მხოლოდ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მემკვიდრეობით შეეძლოთ. მართლმადიდებელი ეპისკოპოსები მსოფლიო პატრიარქს „თავიანთ მმართველს, თავიანთ იმპერატორსა და პატრიარქს“ უწოდებდნენ. სწორედ ამ დროიდან მიიღეს კონსტანტინოპოლის პატრიარქებმა ბიზანტიის იმპერატორთა ხარისხის ნიშნები: იმპერატორის გვირგვინის ფორმის მიტრა, არწივი, დიკირ-ტრიკირი, საკო და გაიზარდეს თმა. თავისი როლით „მილეთი-ბაში“ - „ქრისტიანი ხალხის მეთაური“, ანუ ბერძნულად „ეთნარქი“ - პატრიარქი, არსებითად, გაუქმებული ბიზანტიის იმპერიის რეგენტად, ოტომანური იმპერიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად იქცა.

ეკლესიის უფლება, ემართათ ქრისტიანული თემი, ჩანს, თავისთავად იგულისხმებოდა, თუ ვიმსჯელებთ ოსმალური ხელისუფლების მიერ მოგვიანებით გამოშვებული ბერძნების (ბრძანებულება-ლიცენზია, მმართველობის უფლება) მიხედვით, რომლებიც მტკიცდება ეპისკოპოსების არჩევა და ჩამოთვლილია მათი მოვალეობები. საეკლესიო სასამართლოს ეძლეოდა უფლება, განეხილა რელიგიასთან დაკავშირებული მართლმადიდებელთა ყველა საქმე: ქორწინება, განქორწინება, ანდრძი და მცირეწლოვანთა მეურვეობასთან დაკავშირებული საკითხები. მათი ყველა სხვა სამოქალაქო საქმე გადაეცემოდა პატრიარქის დაარსებულ სამოქალაქო სასამართლოს. მხოლოდ სისხლის სამართლისა და ის საქმეები, რომლებიც მუსლიმებსაც ეხებოდა, გადადიოდა ოსმალურ სასამართლოში.

ეკლესიას არ ევალებოდა სახელმწიფო გადასახადების აკრეფა, ეს ადგილობრივი ადმინისტრაციის მოვალეობა იყო. სამღვდლოება გათავისუფლებული იყო გადასახადებისაგან, მაგრამ შეეძლო, „ნებაყოფლობით“ გაეღო შესანიშნავი. ქრისტიანთაგან მხოლოდ სასულიერო პირებს ჰქონდათ უფლება, გაეზარდათ წვერი. ქრისტიანებს უნდა ეტარებინათ განსხვავებული ტანსაცმელი, არ ჰქონდათ ცხენზე შეჯდომის უფლება (გარდა პატრიარქისა); გარედან ეკლესიაც არ უნდა ყოფილიყო თვალში საცემი; აკრძალული იყო ზარების რეკვაც; მაგრამ ყველაზე მძიმე და აუტანელი იანიჩართა გამორჩევის კანონი იყო.

მეშვიდე II და მისი მრჩეველები გაიზარდნენ იმ დროს, როცა კონსტანტინოპოლი კულტურის ცენტრი, ბერძნული მეცნიერება კი მთელ მსოფლიოში განთქმული იყო. მათ არ შეეძლოთ, არ ჰქონოდათ პატივისცემა ბერძენებისადმი. მეშვიდე II ამაყობდა იმით, რომ გახდა კეისართა მემკვიდრე - არა მხოლოდ სულთანი, არამედ რომელი იმპერატორი და უნდოდა, რომ ასე მიეღოთ მის ქვეშევრდომ ქრისტიანებსაც.

ბაკურ გულუა,
სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საზოგადოების თავმჯდომარე
თიბიშრაზ ხორხომელიძე,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი
სალომე ზვიბაძე,
ფილოლოგიის დოქტორი

P.S. ამ სტატიის მომზადების პერიოდში მოხდა 6 თებერვლის დამანგრეველი მიწისძვრა თურქეთსა და სირიაში, რამაც სულის სიღრმეებში შეგვიძრა; განვიცდით მეზობელი და მოძმე ხალხის უბედურებას... თანავფიქრობით და ვუსამძიმრებთ დაღუპულთა ოჯახებს და თურქ და სირიელ ხალხს, ვუსურვებთ მათ გამძლეობას, დაშავებულებს კი - გამოჯანმრთელებას.

▶▶ დასასრული. დასაწყისი "ლს. №2,3



ლომინი ვიარი

ანგაჟირებული ახალი ფორმა

რას ნიშნავს, ამ შემთხვევაში, ანგაჟირებული? თანამედროვე ეპოქაში რომანი არანაირ იდეოლოგიურ დოქტრინას არ ემორჩილება. აღარც „იდეოლოგიური რომანი“ არსებობს, აღარც „ფიქტიური ავტორიტეტის“ (სიუჟან სულეიმანი) ერთგულება. თუმცა, რაღა თქმა უნდა, რომანისტი არ გაურბის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ საკითხების განხილვას. აქ პროცესმა ბუნება იცვალა: სარტრის (თუნდაც მალროსა და არაგონის) პოზიციისგან განსხვავებით, ანგაჟირებულობის ახალი ფორმები მნიშვნელოვანწილად გულისხმობს უფრო კრიტიკულ, ვიდრე მხატვრულ დისკურსს. ასეთი ფორმები არ ემორჩილება რაიმე სისტემას ან დიდაქტიურ მიზნებს. მათში აისახება ის რეალობა, რომელიც საზოგადოებამ იცის, მაგრამ არ სურს გააანალიზოს.

აქედან მოდის „უპატრონო სივრცეები“, რომლებზეც სოციოლოგი მარკოზე ნერს და რომელიც თვალსაჩინო ხორცშესხმას ჰპოვებს ფრანსუა ბონის ტექსტებში, დიდ დენიუსისა თუ ჟან როლენის ჩანაწერებში; აქედანვე – სოციალური დეტერმინიზმი, რომლის გავლენა პიროვნების ცხოვრებაზე კარგად წარმოჩნდება ბერგსონისა და ანი ერნოს შემოქმედებაში. სხვა მაგალითები: კლოდ სიმონმა ლიტერატურა გაათავისუფლა დისკურსის „მომხარაგებლის“ როლისგან და უპირატესობა მიანიჭა რეალურ განცდებსა და ქმედებებს, რითაც ახლებურად დაგვიანაბრა ისტორია. ისტორიით დაიწყო თავისი „პოლიტიკური ფიქციონი“ რამდენიმე ბუჯედრამ. როგორც ის წერდა, „ლიტერატურას ისტორიის ნიალიდან ამოაქვს შიში, შფოთვა, ეჭვი და ტკივილი“. ამიტომ დღეს ლიტერატურის ანგაჟირებულობა უზენაესი აუცილებლობის წინაშე გამოჩენილი მორჩილების შედეგი კი არ არის, როგორც სარტრი ფიქტობდა, არამედ პოლიტიკური ნაბიჯია, ფართო გაგებით, მხატვრული პროზის სცენაზე გამოსვლა. ახლა ჩვენ ვსაუბრობთ არა ლიტერატურის ანგაჟირებულობაზე, არამედ ანგაჟირებულობაზე ლიტერატურის დახმარებით ან ლიტერატურის, როგორც სივრცის, მიზეზით, რომელიც არის ადგილი დისკურსის სრულიად სხვადასხვა ტიპის გასავითარებლად. ამ თვალსაზრისით, რომანი მჭიდროდ უკავშირდება თეატრს (ბერნარ-მარი კოლტესი, ვალერ ნოვარინა, მიშელ ვინავერი, ოლივიე პი...).

ლიტერატურული პრაქტიკები

ლიტერატურის ნოსტალგია 60-70-იან წლებში გამართულმა კამათმა ლიტერატურის „გამოფიტვის“ შესახებ ძლიერი გავლენა იქონია მომდევნო თაობებზე, განსაკუთრებით მათზე, ვინც მორის ბლანშოსა და ლუი-რენე დეფორეს ჩრდილში გაიზარდნენ, იმ დეფორე-

დაეჭვების ლიბერატივა: თანამედროვე რომანის პროლეგა

სი, რომლის ბუნდოვანი სახე იკვეთება ლამარმ-ვადელის მდუმარე ტუსალში („მისი ცხოვრება, მისი შემოქმედება“).

ჟან-ბენუა პუემიცი მოიხიბლა ამ ლანდისებრი სახით და გამოგონილი შუამავლის, ბენჟამინ ჟორდანის, დახმარებით, რომელსაც თავისი კალამი „ანდო“, „აქვეყნებდა“ და „აკომენტირებდა“ მის ნაწარმოებებს („რომანის სწავლება“). რომანში აღადგენს ლუი-რენე დეფორეს ორეულს – დელაკრუას. პიერი მიშონს, რომელიც თავის ტექსტში ცდილობს დაიცვას „მაღალი სტილის“ ელემენტურობა, შესანიშნავად ესმის მოძველებული ხერხების ამაოება და ამიტომ მისი შემოქმედება შეგვიძლია განვიხილოთ როგორც სიმბოლო ნოსტალგიისა ლიტერატურის მიმართ. მაშინ, როცა მიშონი ცდილობს აღადგინოს მქუხარე სახელების (რემბოს, ბალზაკის, ფოლკენის) ჭარბინტენსიური სტილი და შეუფარდოს ის ანტიპოდებს – მორის ბლანშოსა თუ ლუი-რენე დეფორეს, ხომ არ სურს მას გათავისუფლდეს „გამოფიტული ლიტერატურისგან“, რომლისგანაც ამჟამად მოჯადობებული არიან მისი თანამემამულეები? სხვა თუ არაფერი, კრიტიკის მახვილს საკუთარი თავის წინააღმდეგაც მიმართავს („ჩვენ ყველანი ლიტერატურული ვირთხები ვართ“) და არც თანამედროვეობას უკმეც გუნდრუკს („თანამედროვეობის ამაყი ბორცვი, სადაც არაფერი ხარობს, თანამედროვეობის გარდა“). კულტურული მემკვიდრეობის მძიმე ტვირთი, რომელშიც მრავალი შესანიშნავი, დაუფინყარი და ღირსსახსოვარი ტექსტები შედის, მოსვენებას არ აძლევს თანამედროვე მწერლებს.

პარიციები რომანის თემაზე

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ცოდნა ლიტერატურისა და მისი ისტორიის, წერის მეთოდებისა და ფორმების შესახებ მეტისმეტად ფართოა საიმისოდ, რომ მაინც გაბედოს მწერლობასთან გულუბრყვილო შეთანხმება, ბევრი ისე იქცევა, თითქოს არაფერი მომხდარა. ისინი იბრძვიან იმისათვის, რათა დაეუბრუნდეთ კლასიკურ რომანს, იცავენ წარმოსახვის თავისუფლებას და ლამის სამხედრო წესებით მოითხოვენ ისეთი ლიტერატურის აღიარებას, რომელიც არანაირ რთულ შეკითხვას არ სვამს და მთლიანად „ახალი ფიქციონის“ სიტუბობას ეძლევა (მარკ პტი, ფრედერიკ ტრისტანი, ფრანსუა კუპრი, იუბერ ადადი...) და ჭრის მას წარსულ საუკუნეთა თარგზე (სტივენსონი, კონრადი, დიკენსი...). მათი მიდგომები განსხვავდება, მაგრამ ყველა მათგანი გაფაცოცებით ექვს ტრადიციის გაგრძელებას გულისხმობს. ბევრი ლიტერატურას უყურებს არა როგორც მოდელს მიბაძვისათვის, არამედ როგორც პრაქტიკას და მემკვიდრეობას, სადაც შეგიძლია მოიპოვო მასალა ახალი ნაწარმოებისთვის.

წერდე ვილანის შემდეგ ამ მწერლებისათვის ნიშნავს წერდე ვილანის დახმარებით. მაგალითად, კლოდ ოლიე ერთობლივად იკვლევს ნარატიულ და რომანულ ფორმებს. არა იმისათვის, რომ გადმოაკოპიროს ისინი თავის ნაწარმოებებში, არამედ სახე უცვალავს, სხვა კუთხით შემოაბრუნოს, ახლებურად დასვას აქცენტები. საერთოდ, ხომ ცნობილია, რომ თუ რამე არის საინტერესო მსგავს ტექსტებში, მხატვრულ ფრაგმენტ-

ებში, რომლებიც სამეცნიერო ფანტასტიკიდან სესხულობენ ხერხებს, პირველ ყოვლისა, ეს არის შეჯახება სივრცეებთან, სადაც არც პარონია და არც კონკრეტული დრო („ფელეტონი“, „აბერაცია“, „ნინასტორია“). ტრადიციული თხრობა აქ საფრთხის წინაშე დგას, რადგან მწერლები ესწრაფვიან ნოვატორობას, რომელიც ხშირად მოლოდინს ვერ ამართლებს და ამიტომ ფართოდება რომანის საზღვრები. ასეთი ტექსტები, რომლებშიც მუდმივად ბორგავს გამომგონებლობის დაუოკებელი სული, შეგვიძლია მივიჩნიოთ საუკეთესო სივრცედ ექსპერიმენტებისათვის. მათში არის საკმაო ამბიცია და ნებელობა, რათა დაიწყონ მთელი სამყაროს სინთეზირება (როლენის „სამყაროს გამოგონება“, ბაიუს „წყნარი კონტინენტი ამ სამყაროში“, დევის „უსასრულობის პრობა“). ეს ლიტერატურული ვარიაციები ანტუან ვოლოდინს უკიდურესობამდე მიჰყავს, ჟანრიდან გამომდინარე, ტექსტებს გარდაქმნის „ნარატებად“, „პოსტგეგოტიკურ ტექსტებად“, „საგებად“, რომლებსაც ზოგჯერ ვერც კი განსაზღვრავს, სახელსაც კი ვერ მოუძებნი. თუმცა მას სხვა, თავისი, განსაკუთრებული მიზნები აქვს. მისი რომანები „პოლიტიკურ ფიქციონს“ უფრო უახლოვდება, ვიდრე ექსპერიმენტულ რომანს. ის ბუნდოვან მომავალში მიდის, რათა კვლავ დაეუბრუნდეს გაურკვეველ ანწყოს (და გუშინდელ წარსულს), გაორჯულს, წინააღმდეგობრივ რეალობას.

გადაუშავების ისტორია

ცნებას „გადაუშავება“ (ფრედერიკ ბრიო) სწორედ ვოლოდინის შემოქმედებასთან მიმართებით იყენებდნენ, თუმცა არც იმ რომანისტების თხზულებათა ანალიზისათვის გვეუცხობს, რომლებიც რომანის ნაწარმებზე აგებენ თავიანთ შემოქმედებას. ირონიკი მწერალი-ინტელექტუალები, მაგალითად, ჟაკ რუბო (პორტენზიას ციკლი, „ლონდონის დიდი ხანძარი“) ან ჟილერ ლასკო („420 ნუთი აწრდილთა ქალაქი“) თავიანთ ნიჭს იუმორის გრძობას უმატებენ და ჟონგლირებენ იმ ლიტერატურული ფორმებითა და მოტივებით, რომლებიც გვიბილავს OULIPO-ს (პოტენციური ლიტერატურული საამქროს, მთარგ.) მსგავსი გამოგონებლობითა და ფანტაზიით. წარსულის კულტურული ყამირის დამუშავების თანამედროვე მეთოდების სათამაშო ხასიათი ლიტერატურას სტიმულს აძლევს იმისათვის, რათა დასახმარებლად მიმართოს არა მარტო მე-19 საუკუნეს, არამედ დანტეს, ჰომეროსს, კენოსა თუ რობ-გრისს. რომელიღაც ავტორებიდან, ცხადია, რობ-გრისი არის ის, ვისაც ყველაზე მეტად ახასიათებს საკუთარი ნაწარმოებების დახვეწა-გადაუშავება – რად ღირს თუნდაც რომანის სათაური: „განმეორება“. ეს ვირტუოზული პოეტიკა, რომელსაც ხშირად „პოსტ-მოდერნისტულს“ უწოდებენ (მაგალითად, მასთან ახლოს არის უმბერტო ეკოს რომანები), რენო კამიუს აქვს გამოყენებული თავის ორ ნაწარმოებში: „მეფე რომანი“ და „მეფე რომანი“. ეს არის ისტორიული და სანტიმენტალური რომანების პაროდია – მათში ჩართული ირონიული მსჯელობებით ლიტერატურაზე – რომელსაც ტოლი არ მოეძებნება არც ფრანგულ საგამომცემლო სივრცეში და, მით უმეტეს, არც ამ ავტორის შემოქმედებაში.

კულტურასთან მსგავსი თამაში – გაცილებით გულუბრყვილო ტონალობითა და ნაკლებ დახვეწილი მანერით – შეგვიძლია ვიხილოთ ჟან-ფილიპ ტუსენის რომანებში („ფოტოაპარატი“, „ტელევიზია“). ავტორის ცივი მახვილგონიერება, რაღაცით უფრო ალენს რომ მოგვაგონებს, ერთდროულად მთხრობელსაც მიემართება და გარემომცველ სამყაროსაც მთელი მისი ყოველდღიურობის გამოკრისტალებული უხამსობით. ამგვარივე პარადიული ფორმით სთავაზობს მითხველს ჟან ემზოზი სხვადასხვა ჟანრს: დეტექტიურ რომანს „ჩე-როკები“, სათავგადასავლო რომანს „მაღალი ექსპედიცია“, სამეცნიერო-ფანტასტიკურ რომანს „ჩვენ ორნი ვართ“, ჯაშუშურ რომანს „ტბა“, ფანტაზიას „მაღალი ქერა ქალები“... ტანგი ვილის ტექსტებშიც გვხვდება ფორმათა იმპამაშება მარგინალური ვარიანტები, რომელიც მნიშვნელოვანწილად კინემატოგრაფიით არის შთაგონებული („კინო“, „მკვლელობის აბსოლუტური სრულყოფილება“). ეტყობა, ემზოზს უნდა, ლიტერატურის ირონიულ სარკედ იქცეს, ალბათ ამიტომაც ეთამაშება მარგინალურ რეალისტურ პროზას („ერთი წელი“) და „ალუმფოთველ“, მინიმალისტურ რომანს, რომელზეც სპეციალიზდება გამომცემლობა „მინიუსი“ („მე მივდივარ“) ბევრი ავტორი.

პარადოქსული რომანი

როგორ გინდა ამონური ამხელა თემა და ვრცელ მიმოხილვას ბოლო გამოუჩინო. ნებისა თუ უნებლიეთ მრავალ ნიგნს არ შეგებებიარ. ჩვენ კიდევ გავიგებთ ახალგაზრდა ავტორების ახალ სახელებსა და ნიგნებს, რომლებიც დაგვიანტერესებს, რომელთა ნაკითხვაც მოგვინდება... მაგრამ 80-იანი წლების გრანდიოზული ესთეტიკური ცვლილებების შემდეგ არ შეიძლება ითქვას რომანზე, რომელიც მოულოდნელად, გამოუცნობი იმპულსებით იქმნება, რა გამოვარჩიოთ, რა გამოვყოთ ამ ტექსტებში აღმოჩენილი ტერიტორიებიდან? ამ სტატიაში ხომ მხოლოდ დროებითი ჭეშმარიტებები წარმოვაჩინეთ. თანამედროვე რომანს საამოვინებთ ვუნოდებდი პარადოქსს ამ ტერმინის ყველა მნიშვნელობისა და ნიუანსის გათვალისწინებით. პირველ რიგში, ყველაზე უფრო პარადოქსულია ის, რომ „რომანი“ მარკიტ ქვეყნდება აურაცხელი ნიგნი და არცერთი მათგანი არ შეესაბამება საზოგადოების მოლოდინსა და მარკეტინგულ კლასიფიკაციებს, და არც არანაირი საერთო არ აქვს მასობრივ ლიტერატურასთან, რომლის შესახებ აქ არ გვისაუბრია. ნაწარმოებებს, რომლებიც განვიხილავთ, ცოტა რამ აქვს საერთო ისეთ ცნებასთან, როგორიცაა დოქსა (ურყევი კონცეფცია, მთარგ.), რომანების ფორმა და შინაარსი არ პასუხობს ტრადიციის მოთხოვნებს და არ ჯდება ჟანრის კლასიკურ განსაზღვრებებში.

თანამედროვე რომანის შინაარსი გამომდინარე არ არის: ავტორები იყენებენ მონშეთა ჩვენებებს, გამოიძებნენ – ბიოგრაფიულსა თუ ისტორიულ მასალას. არა იმისათვის, რომ ზუსტად ასახონ სინამდვილე, რომელიც აუცილებლად დეფორმირდება, როცა ლიტერატურად გადაიქცევა, არამედ იმისათვის, რომ წერის დროს, წარსული ევემერული სახის შექმნის პროცესში, ახლებურად შეხედონ სიძველეს, გარდასულ დროებს. თხრობითი ფორმა დღეს

გადააზრებასა და გადაშუშავებას საჭიროებს, ვინაიდან რომანის მიზანია არა მარტო თხრობა მოვლენათა შესახებ, არამედ ამ მოვლენათა გაგება, გამოწვლილვა, განხილვა, მათში დაეჭვება, ჩაძიება, ჩაღრმავება. თანამედროვე ლიტერატურა მოწოდებულია აითვისოს ახალი სივრცეები და არა მოიგონოს ახალი ზღაპრები ან გაიმეოროს წარსულის მონათხრობები. უნდა ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ ვარიაციულობა და საკუთარი ჩარჩოებიდან გასვლა ყოველთვის განაპირობებდა რომანის სიცოცხლისუნარიანობას, ის მუდმივად იცვლებოდა, არასოდეს კმაყოფილდებოდა ერთი რომელიმე ფორმითა და მკაცრად განსაზღვრული ნორმებით. თანამედროვე რომანი პარადოქსულია კიდევ იმიტომ, რომ მას ახასიათებს პოლემიკის იმპლიციტური (ფარული) და ექსპლიციტური (ლია) ფორმები. ის ეწინააღმდეგება ენასა და დისკურსს. თავის თავს ქმნის იდეათა გაზარებისა და მიღებული გამოცდილების მეშვეობით, აანალიზებს აზრებს, რომლებსაც კი არ უარყოფს, არამედ ახალ ეჭვებად და შეკითხვებად გარდაქმნის. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: საუბარია არა პროვოკაციულ რომანებზე აზრთა სტანდარტული ნაკრებით, რომელიც წინასწარ დაგეგმილი სკანდალის აგორებას ემსახურება, არამედ ისეთ ნაწარმოებებზე, რომლებიც უშუალოდ ცოცხლად ეხება მკითხველის განცდებს.

არის თუ არა დაკავშირებული თანამედროვე რომანის პრობლემა მის მცირე მასშტაბთან, რასაც ათწლეულების განმავლობაში აბრალვდნენ? ალბათ არა. უბრალოდ, მასშტაბის გაგება შეიცვალა. რომანი აღარ ესწრაფვის ყოვლისმომცველობას, რომელიც უკვე განახორციელა ეპიკურმა რეალიზმმა მეოცე საუკუნის დასაწყისში და კლოდ სიმონმა თავის რომანებში (ტიფანი სამოიო). ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როდესაც რომანი უარს ამბობს თავის წარმომავლობაზე, უარყოფს იმას, რომ წარმოიშვა ეპოპისგან და მიზნებიც აღარ აქვს ძველბურად პატრიმოყვარე; ხელი აიღო განზრახვაზე, ყოფილიყო „ყოვლისმომცველი“ ნაწარმოები. მორჩა, აღარ არსებობს სოციუმი, რომელსაც განავრცობდა განავითარებდა, აღარ არსებობს მითები, რომლებსაც გადააზრებდა გათავართოვებდა, აღარ არსებობს „დიადი ნაწარმოებები“, რომლებიც დიდების მოსახვეჭად იწებოდდა, აღარ არსებობს შემოქმედებითი აზრის ქაოტური მოძრაობა, რომელსაც ხორცი უნდა შეასხა ყოველ მიზეზ გარეშე. დღეს რომანის ამბიციები არც ღირსების ძალით იზომება და არც აღწერილი სივრცეების რაოდენობით. ამბიციები უკავშირდება რომანის ეთიკურ ბუნებასა და გამუდმებულ დაეჭვებას, რომელიც ხელს უშლის წარმოსახვის მუშაობასა და თხრობის ძველბური სულისკვეთების განვითარებას, მოკლედ, გატაცებით აღარ გაკითხვს თავს. ამას ბევრი საყვედრობს თანამედროვე რომანს. მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია შევავსოთ ასეთი მიდგომა, ასეთი სტილი და ვთქვათ, რამდენად ახალია, რამდენად ღირებულია ის, თუ არ ვაღიარებთ, რომ შეიცვალა მხატვრული ლიტერატურის ცნება და გაგება, თუ არ გავიციანობიერებთ, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ცვლილება. თანამედროვე რომანში ყალიბდება არა „დანაწევრებული ცნობიერება, რომელიც ჩვეული ორიენტირებისაგან გვაშორებს“ (ჟან-მარი შეფერი, „რატომ მხატვრული ლიტერატურა?“), არამედ კრიტიკული აზრების მთელი ნყება, რომელსაც, გვინდა-არ გვინდა, უნდა შევეჯახოთ.

თარგმნა მაქსაზ ივანიაძე

ზაალ ეხანოიძე

თუ რამეს ვმღერო...

ჰამლეტ გონაშვილს,ომარ კელაპტრიშვილს ხვართქლა შემოვასორე ვენახს, გრამაფონისყვავილება და ისეთი ლილაფერი, თეთრეული გაივლება. ვენახიდან რო ღვინო დაყენდება და დაილევა, მაშინ მაინც ვიმღერებ: „ყვავილების ქვეყანა, ჩოქვით შემოვიარე, რო მითხარი მოვალო!..“ მოსვლას არ დამპირებხარ, მე თავად დავირწმუნე თავი და გელოდი; რო უნდა მეტირა,-ვმღეროდი და უდარდელი ვეგონე ხალხს. დარდი ისეთი რამეა, სულ უკითხავად ფრთას შლის, შუადღე შუადამეა დარდის კაცების თვალში. თვალი? – გიჟის და ბრძენის, მზერა? – გიჟის და ბრძენის, შვენი და ამდიდრებს სამყაროს... და მაინც – გვეკრძალება შენი! და მაინც – გვეშინია შენი! და მაინც – მონები ვართ შენი, მდორე და მასიურო ყაყანო! ყაყანით დალილს ჩამეძინა, იმ დღეს, რაც მეწყინა და ვერავის გაგრძობინეთ, სიზმარში იჩინა თავი. იმდენი ვიტყვო და ვიმღერე, თქვენამდეც მოაღწევდა ხმა. გამთენიისას, შეშლიფებული ტან-ტომავით რომ კარში გამომავდო და გამლიქვა მსოფლიო ორკესტრების შურმა და გულის ხეთქვამ-ჩიტების გალობა-ჟრიაამულმა, ერთი კაცი გამახსენდა: – ტყის ფრინველების ვალი მანვალეფსო,

თუ რამეს ვმღერო, სულ იმათ მასწავლესო... ჰანგების მეფე და ჰანგების მონა შვილი, ჰამლეტი გამომიტყდა,ერთხელ გონაშვილი: „შეითვალა უკვე ხილი ნიფობელის „მოძახილით.“ „მთლად თვლემასავით თბილი, მთენთავს კარანის „გვრინი“. ვენახ-ვენახ ჩიტი ლაჟოს, ხმა მგონია „პირიკატო“. „და კოდალას აბერტონი ხმა მგონია კამერტონის.“ „ნიავეს ჩამოტყდება და მჩატე აქცენტით, ჩირგვიდან გამოდგება ჭინჭრაქა – ფალცეტი“ „შაშვი – ბარტონი, ტენორი – ბულბული, რეჩიტატივი სკვინჩასი; აქა-იქ მესკიის მინორით ჟღერტული, ქორო ბელურათა – ანსამბლი ძვირფასი“ დანართი: – როცა გონაშვილი ღერის, ამოჩუხჩუხდება ყელით ჰანგი ცხრა მუხის და ცხრა წყაროს. ქალი გამოდგება ბანზე (რალა სათქმელია, ველეავე); და მეც მორჩილ სალაშს ვაძლევე, ვალში ჩავარდნილი ყელამდე. როცა სალამური კენესის – თვალი კელაპტრიშვილს უმზერს; თქორად გადაიარს ლექსი მერე მეც მივდენი ფარას, ვებრძვი ლამეებს და მონყენას, მუხლში მემატება ძალა, ლერწმის წკრიალი რო მომწვდება. ოცნებით შეგუყვები ალაზანს, მერცხალი მემველება ფრთებით; ან ვდგავარ მოსამკელ ყანასთან და ტანში ვიმტვრევი და ვთბები. „გლესავო!“ – მომესმება ამ დროს და სისხლს ამიჩქროლებს ონავარს; ვისაც თქვენ უმღერით და დარდობთ მეც იმის ერთგული და მონა ვარ.

თქვენთვის არის თქვენთვის



ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი დაფუძნდა 1920-1930-იან წლებში შესრულებული ექსპერიმენტული კვლევების შედეგად, რომელიც ჰიდროდინამიკის ვერც ერთი სახელმძღვანელო და მონოგრაფია დღესაც ვერ უვლის გვერდს.

17 მარტი პარასკევი – 12.00 „ფრთხილად, ალამსაგი“ 19.00 ნოვებლები 18 მარტი შაბათი – 13.00 „ალადინი“ 16.00 „რწყილი და ჭინჭრული“ 19.00 „ფრთხილად, ალამსაგი“ 19 მარტი კვირა – 12.00 „რწყილი და ჭინჭრული“ 13.00 „ნითელკანინათა ბალადი“ 16.00 „შვლის ნუკრის ნაამოკი“ 19.00 „ფრთხილად, ალამსაგი“ 21 მარტი სამშაბათი – 12.00 „სამი გოჭი“ მცირე დარბაზი 12.00 „ურჩხული და ლამაზგანი“ დიდი დარბაზი 19.00 „მე, გავია, ილიკო და ლიარიონი“ 22 მარტი ოთხშაბათი – 12.00 „ნითელკადა“ 20.00 „11“ 23 მარტი ხუთშაბათი – 12.00 „ზღაპარი დაპარბულ დროზე“ 15.00 „ურჩხული და ლამაზგანი“ 19.00 „არ ღამივიწყო“ 24 მარტი პარასკევი – 12.00 „ზღაპარი დაპარბულ დროზე“ დიდი დარბაზი 19.00 „სიმარტოვი“


12.00 „თქვენთანაც აბრახუნებანე“ მცირე დარბაზი 17.00 „არ ღამივიწყო“ 19.00 „მე ვხვდავ მზეს“ 25 მარტი შაბათი – 13.00 „ურჩხული და ლამაზგანი“ 16.00 „სამი გოჭი“ 19.00 „ეს მე ვარ, ნიკოლოზ ბარათაშვილი“ 26 მარტი კვირა – 13.00 „ნითელკანინათა ბალადი“ 16.00 „თქვენთანაც აბრახუნებანე“ 19.00 „სარა პარა გვინა გვგოიბ ანუ მე ვინ მიყვარხარ“ 28 მარტი სამშაბათი – 12.00 „რწყილი და ჭინჭრული“ 15.00 „ალადინი“ 19.00 „მე, გავია, ილიკო და ილიარიონი“ 29 მარტი ოთხშაბათი – 12.00 „მე, გავია, ილიკო და ილიარიონი“ 15.00 „ალადინი“ 19.00 „მზავრის წარიღები“ 30 მარტი ხუთშაბათი – 12.00 „თაგუნები და ყველი“ დიდი დარბაზი 12.00 „სპილილი დალაქი“ 15.00 „ნითელკანინათა ბალადი“ 20.00 „ღამი და თუთიყუში“ 31 მარტი პარასკევი – 12.00 „ალადინი“ 19.00 „ოტალო“ 20.00 „სიმარტოვი“

გაზეთ „ლიტერატურული საქართველო“ რედაქცია იუნყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი პოეტი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, მთვარისა კარაქალიძე და თანაურგძნობს განსვენებულის ოჯახს.

ჟურნალ „დილის“ რედაქცია მწუხარებით იუნყება პოეტისა და ჟურნალისტის მთვარისა კარაქალიძის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ისევ უნდა ვიხსენებ

„ლიტერატურული საქართველო“ ამ წლის 3 მარტის ნომერში გამოქვეყნებულია გიზო ზარნაძის ერთობ ტაქტიანი და ღრმა-აზროვანი დიდაქტიკური ტონალობის წერილი „პეპერას ბარათი ხეივა კვარაცხელიას“. ავტორი წერს: „ჩემო ხეივა, დარწმუნებული ვარ, ჩემ გარდა, უამრავი გეფერება და გექებადიდება“... ამის დასტურად მოვუსმინოთ ხეივას ტალანტით აღფრთოვანებულ იტალიელ ჟურნალისტს, ანტონიო ჯორდანოს, „...ფე-ნო-მე-ნი! დანარჩენს მნიშვნელობა არ აქვს. ეს არის ცხელი ჰაერი, ეს არის კვარა, ეს არის ფეხბურთი... წყალია, ჰაერია, სინათლეა, მზეა, ახალი ღმერთია... რომელმაც ნეაპოლი მოაჯადოვა და შოკისმომგვრელ ფეხბურთს თამაშობს. ის კვარაა, ფე-ნო-მე-ნი!“ ასე რომ, ბატონმა ანტონიომ, ჩვენი და იტალიელთა საყვარელი დიდოსტატი ფეხბურთელის, ჩვენებური ხეივა კვარაცხელიას შესამკობად თითქმის ყველა ეპითეტი მოიშველია. მაღლობის მეტი რა გვეთქმის. მაგრამ გამორჩა ის, რომ ქართველი მზეჭაბუკია. მაგრამ ეს არაფერი. ბ-ნი გიზო წერს: ბოლოს კი ჩემმა მეგობარმა, ჩინებულმა პოეტმა ირაკლი (ვახტანგ) ვაშაყმაძემ, თავისი ლექსით „მენ ხარ კვარაცხელია!“ ყველაზე ლამაზი წერტილი დაუსვა ჩემს სათქმელსო. და რაშიც ცამდე მართალი ბრძანდება. და ბოლოს, გავბედვად და ვისურვებ, რომ ეს პუბლიკაცია იტალიურად ითარგმნოს და გამოქვეყნდეს იტალიაშიც.



პროფესორი და უნიკალური

პროფესორ რევაზ ქავთარაძის ნიგნი, რომელიც გამოცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა, მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომია. მასში პირველადაა გაანალიზებული მსოფლიოში ცნობილი ქართველი მეცნიერის ივანე (იოჰან) ნიკურაძის ღვაწლი ჰიდრო- და აეროდინამიკის განვითარებაში. კერძოდ, სასაზღვრო შრის პრანდტლ-ნიკურაძე-კარმანის თეორიის (PNK თეორიის) შექმნაში. ი. ნიკურაძე მოღვაწეობდა გეოტინგენისა და ბრესლაუს უნივერსიტეტებში, ასევე კაიზერ ვილჰელმის ჰიდროდინამიკის ინსტიტუტში. დღეისათვის როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოში, ი. ნიკურაძის შესახებ გამოქვეყნებული მასალების უმეტესობა, მათ შორის ენციკლოპედიური გამოცემებიც კი, სცოდავს უზუსტობებით, მასმედიაში არსებული ინფორმაცია

კი ხშირად მითებისა და ლეგენდების დონეზეა. ნიგნი მოყვანილია ი. ნიკურაძის დაზუსტებული ბიოგრაფია და მოკლედ აღწერილი მისი კლასიკურად აღიარებული, 1920-1930-იან წლებში შესრულებული ექსპერიმენტული კვლევების შედეგები, რომელიც ჰიდროდინამიკის ვერც ერთი სახელმძღვანელო და მონოგრაფია დღესაც ვერ უვლის გვერდს. მოყვანილი დოკუმენტებისა და ფოტოსურათების (მათ შორის ნიკურაძეების ოჯახის არქივიდან) უმეტესობა პირველად ქვეყნდება. ნიგნის ავტორის ყველა მოსაზრება, რომელიც ნინამორბედებისას არ ეთანხმება, დასაბუთებულია დოკუმენტურად. ნიგნი პირველ წყაროებზე დაყრდნობით მოგვითხრობს ასევე ი. ნიკურაძის მასწავლებლის ლუდვიგ პრანდტლისა და მისი სამეცნიერო სკოლის სხვა წარმომადგენლების შესახებ. საინტერესო, დღემდე გამოუქვეყნებელ დეტალებს გაეცნობა მკითხველი ი. ნიკურაძის ძმის, ცნობილი ფიზიკოსის პროფესორ ალექსანდრე ნიკურაძის, ქართველი მეცნიერების ნიკო მუსხელიშვილის, ილია ვეკუას, ანდრია რაზმაძისა და სამსონ ქუთათელაძის მოღვაწეობიდან. ნიგნი გამიზნულია როგორც სპეციალისტებისთვის, ასევე მკითხველთა ფართო წრისთვისაც.

მთავარი რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი მთავარი რედაქტორის მოადგილე ელისაბედ მატრიაშვილი ფინანსური მენეჯერი ქატიკან დამატრიაშვილი კომპიუტერული უზრუნველყოფა: ბაქა ვაქალისანი, მზინა პარაქაძე დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური პოლდემარ ვანსკი

„ლიტერატურული საქართველო“ საბანკო ანგარიშის ნომერი: საქართველოს ბანკი, GE43BG000000161665862

გაზეთი გაეცალა 2 კვირის შემდეგ დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის 57